ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №128 (2500) ხუთშაბათი, 5 ივნისი, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისის გარეთ 45 თეთრი.

დღის აქცენტი

## სამშობლოზე ფიქრმა უნდა გაგვაერთიანოს

ჩვენს საზოგადოებას ალბათ ჯერ არ განელებია ის სულისკვეთება, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის აღორძინების დღეს, დედაქალაქში დიდი ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის – დავით აღმაშენებლის ძეგლის გახსნის დროს რომ სუფევდა, ამით თანამედროვეობამ ერთგვარი ხარკი გადაუხადა ღირსეულ წინაპარს, პიროვნებას, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული საქართველოს სრული ერთიანობა, სიმტკიცე, ძლიერება, მეცნიერებისა და კულტურის აყვავება, თბილისის მოქცევა ერთიანი საქართველოს შემა-

იხ. მე-2 გვ.

აფხაზეთი – ტკივილი ჩვენი

## თევფიქ ოქიაიუზი უარყოფს

საქართველოში თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა თევფიქ ოქიაიუზმა კატეგორიულად უარყო რუსეთისა და აფხაზეთის საინფორმაციო საშუალებათა ცნობა იმის თაობაზე, რომ თითქოს მას რაღაც დიპლომატიური კონტაქტები ჰქონდა აფხაზ სეპარატისტთა ხელისუფლებასთან. ოქიაიუზის განცხადებით, აფხაზეთში მისი გამგზავრება შეთანხმებული იყო საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებასთან და იგი მიზნად ისახავდა კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საქმეში თურქეთის შესაძლო მოლაპარაკებათა შესაძლებლობების გარკვევას.

ოქიაიუზის თქმით, იგი აფხაზეთში იმყოფებოდა, როგორც საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში.

## მასპინძლები შეშფოთებული არიან

მოსკოვში იმყოფება საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ელდარ შენგელაიას ხელმძღვანელობით. დელეგაცია შეხვდა რუსეთის „დუმის" თითქმის ყველა საპარლამენტო ფრაქციის და დეპუტატთა ჯგუფის წარმომადგენლებს. შენგელაიას განცხადებით, მასპინძლები შეშფოთებულნი არიან აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ჯარის გამოყვანის პერსპექტივით და აცხადებენ, რომ ამას შეიძლება საქართველოსა და აფხაზეთს შორის ომის განახლება მოჰყვეს.

პოზიცია

## დეპუტატისთვის იარაღი მიუღებელია

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში უკანასკნელ ხანს მიმდინარეობს დისკუსია „ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის, შენახვისა და ტარების შესახებ" კანონპროექტის თაობაზე. 1993 წელს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე იარაღის ტარების უფლება პარლამენტის წევრებს უნარჩუნდებოდათ უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც. აღნიშნულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის პროცესში ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მიმდინარე წლის საგაზაფხულო სესიაზე კიდევ ერთხელ დაადასტურა წინა მოწვევის პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, როდესაც მეორე მოსმენით მხარი დაუჭირა მას.

სმკ ხელმძღვანელობას არა ერთხელ განუცხადებია საკითხის ამგვარი გადაწყვეტისადმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულების შესახებ. სწორედ ეს გახლდათ მიზეზი ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საკითხის მესამე, საბოლოო მოსმენით გატანამდე ამ განცხადების ავტორები შევეცდებით დავარწმუნოთ ჩვენი კოლეგები დეპუტატთათვის იარაღის ტარების უფლების დაკანონების მიუღებლობაში.

ამასთანავე, აღვნიშნავთ, რომ ჩვენთვის მიუღებელია ამ საკითხთან დაკავშირებით გამართული პოპულისტური დისკუსიაც, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ თავიანთი დემაგოგიური გამოსვლებით ცალკეული პიროვნებები, რომელთა მთავარი მიზანი საზოგადოების თვალში ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დისკრედიტაციაა.

იმედს გამოვთქვამთ, რომ პარლამენტის მრავალი წევრი გაიზიარებს განცხადებაში გამოთქმულ მოსაზრებებს და შეუერთდება მათ.

ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" წევრები:

**ალექსანდრე ჯავახიშვილი, ლანა ღოღობერიძე, მიხეილ მაჭავარიანი, გიორგი ბარამიძე, ნოდარ ამაღლობელი, დავით ტყეშელაშვილი, ელენე თევდორაძე, რევაზ ადამია, რომან კუსიანი, ილია მაღალაშვილი, მიხეილ სააკაშვილი, ნინო ბურჯანაძე, დავით ონოფრიშვილი, კახა ჩიტაია, ხათუნა ხოფერია.**




აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

## ადამიანის უფლებათა დაცვა, როგორც უმაღლესი ღირებულება, გარანტირებული უნდა იყოს

საქართველოს მთავრობის მორიგი სხდომა, რომელიც 4 ივნისს გაიმართა ქვეყნის პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით, დაიწყო იუსტიციის მინისტრის თედო ნინიძის მიერ წარმოდგენილი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის განხილვით. როგორც ცნობილია, ამჟამად საქართველოში მოქმედებს 37 წლის წინათ მიღებული სისხლის სამართლის კოდექსი. ამ ხნის განმავლობაში კოდექსში არაერთი ცვლილება და დამატება იყო შეტანილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც მინისტრმა აღნიშნა, კოდექსმა უკვე მოჭამა თავისი დრო, რადგან არ შეესაბამება კონსტიტუციის ფუძემდებელ პრინციპებსა და ნორმებს. ცხოვრებამ თავად დააყენა დღის წესრიგში დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს პირველი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შემუშავება. ამ მიზნით ჯერ კიდევ 1993 წელს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით, სამართლებრივი რეფორმის კომისიის შემადგენლობაში შეიქმნა ქვეკომისია, რომელმაც იკისრა ამ საკმაოდ რთული ამოცანის გადაწყვეტა. პროექტში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დიფერენციაციას საფუძვლად უდევს საზოგადოებრივი უშიშროების ინტერესები. კოდექსის ერთ-ერთი მთავარი სიახლე, შეიძლება ითქვას, ის არის, რომ სიკვდილით დასჯა თავისუფლების სამუდამო აღკვეთით, უვადო პატიმრობით შეიცვალა.

პროექტის განხილვის დროს გამოსულმა მთავრობის წევრებმა მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ კოდექსს. აღინიშნა, რომ კომისიამ დიდი მუშაობა გასწია მაღალ პროფესიულ დონეზე. პროექტი ასახავს ლიბერალიზაციის იმ გეზს, რომელიც დამახასიათებელია დემოკრატიული ქვეყნებისათვის. წინა პლანზეა წამოწეული ადამიანის უფლებანი, როგორც უმაღლესი ღირებულება, რომელთა

(დასასრული მე-2 გვ.)

ბათუმი

## „ბულადი" გვთავაზობს



როგორც ვიუწყებოდით ქ. ბათუმის საზღვაო ნავსადგურში შევიდა საქართველო-ბულგარეთის ერთობლივი ფირმა „ბულადის" RO-RO ტიპის ბორანი. მისი სიგრძე 135 მეტრს აღწევს.

ბორნის საშუალებით შესაძლებელია 70 დიდი ტრაილერის და 150 კონტეინერის გადაზიდვა.

საქართველო-ბულგარეთის ერთობლივი ფირმა „ბულადი" გვთავაზობს რეგულარულად, ყოველ პარასკევს ბათუმიდან და ყოველ ორშაბათს ვარნიდან კონტეინერების, ავტობუსების, სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანების გადაზიდვას. სატრანზიტო დრო 46 საათია.

**სურათზე:** სატვირთო ბორანი ბათუმის ნავსადგურში.

**სეირან ბაროიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).**

პარლამენტი

## მშვიდობიან დიალოგს ალტერნატივა არ გააჩნია

4 ივნისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიმდინარე პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით ბრიფინგი გამართა.

როგორც ცნობილია, ამ დღეებში საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება რუსეთის სამშვიდობო ძალების კონტინგენტის საქართველოში ყოფნის შემდგომი მიზანშეწონილობის შესახებ, რაც განპირობებულია იმ ვითარებით, რომ წელიწადნახევარზე მეტია გრძელდება ჯარების სტაგნაცია და მათ ასეთ ყოფნას საქართველოს ხელისუფლება უსასრულოდ ვეღარ გააგრძელებს. საქართველოს პარლამენტის ამ დადგენილებას რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პრესმდივანმა იასტრჟემბსკიმ პოლიტიკური შანტაჟი უწოდა.

– ეს საკმაოდ შემაშფოთებელი განცხადებაა, – აღნიშნა ზურაბ ჟვანიამ. ყველაზე სამწუხარო ის ფაქტია, რომ რუსეთის მხარეს სურვილიც არა აქვს შეასრულოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამიტის გადაწყვეტილებანი, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ბატონ იასტრჟემბსკის განცხადება პროვოკაციულ ელემენტებს შეიცავს, უმჯობესი იქნება, თუ დარჩენილ ორ თვეში სამშვიდობო ძალები, ბოლოს და ბოლოს, შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, – დასძინა მან.

კავკასიის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის შექმნასთან დაკავშირებით ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ კავკასიის მასშტაბით მშვიდობის დამყარებისათვის უკვე ორ წელიწადზე მეტია მიმდინარეობს გზების ძიება. მან ილაპარაკა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის როლზე ამ საქმეში, რომელიც ინიციატორია მოძრაობისა „მშვიდობიანი კავკასიისათვის". კისლოვოდსკის შეხვედრამ საბოლოოდ დააფიქსირა, რომ კავკასიის ხალხებს შორის მშვიდობიან დიალოგს ალტერნატივა არ გააჩნია. ეს საკითხი რუსეთის ფედერაციის სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილის საქართველოში ვიზიტის დროსაც დაისვა, ასამბლეის შექმნას მხარს უჭერენ ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხებიც.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ აღნიშნა, იგი ასამბლეას არ შეადარებს იმ კონფედერაციას, რომლის შექმნის მიზანიც თავიდანვე ნათელი იყო. ასამბლეის შტაბ-ბინასთან დაკავშირებით კი განაცხადა, რომ ისურვებდა იგი თბილისში ყოფილიყო, საამისოდ შესაბამის პირობებსაც შექმნიდნენ, მაგრამ ეს მაინც მოლაპარაკების საგანია.

იმავე იასტრჟემბსკის განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც შავი ზღვის ფლოტის გაყოფას შეეხება და რომელშიც იგი აცხადებს, რომ ფლოტი უკვე გაყოფილია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა 1992 წლის სამიტის გადაწყვეტილების საფუძველზე, პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა: მართალია, შავი ზღვის ფლოტის გაყოფის შესახებ არსებობს გადაწყვეტილება, მაგრამ მაშინ საქართველო თანამეგობრობაში არ შედიოდა და, რა თქმა უნდა, იგი წინ ვერ აღუდგებოდა ამ გადაწყვეტილების მიღებას. საქართველოს აქვს უფლება და ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ ფლოტის კუთვნილი ნაწილის დასაბრუნებლად, აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

საქინფორმი.

ინფორმაცია

### აქეთ ჩამობრძანდითო!..

„იბერიის" კორესპონდენტს მოსკოვში საქართველოს საელჩოდან აცნობეს, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა მოსკოვში შეხვედრაზე დაიბარა რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების პრეზიდენტები და გამოთქვა აღშფოთება კისლოვოდსკის ბოლო შეხვედრის გამო, რომელზეც ჩეჩნეთის წარმომადგენელმა მოვლადი უდუგოვმა წამოაყენა კავკასიაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის შექმნის იდეა – ცენტრით თბილისში. ბორის ელცინი ძალზე გაღიზიანებულია იმით, რომ ამ წინადადებას ბევრმა ჩრდილოკავკასიელმა პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა.

### განიხილეს აქტუალური საკითხები

4 ივნისს გამართულ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზე მისმა წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია – პროგრამაში „მშვიდობა პარტნიორობისათვის" საქართველოს მონაწილეობის შესახებ. განიხილეს აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე ყოფილი საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების განკარგულებაში არსებული სამხედრო ქონების აღრიცხვისათვის შექმნილი კომისიის მიერ გაწეული მუშაობის წინასწარი შედეგები.

იმსჯელეს რამდენიმე კანონპროექტის შესახებ.

### ჰესების გასამაგრებლად

რუსთაველი მეცემენტეები ენგურჰესზე კიდევ 2000 ტ ცემენტს გაგზავნიან. სადგურის სარემონტო სამუშაოების პირველ ეტაპზე რუსთაველებმა სპეციალური მარკის წყალგამძლე ცემენტის დიდი პარტია მიაწოდეს მშენებლებს. რუსთაველები ასევე ამარაგებენ ჟინვალჰესსაც. ცემენტის ეს ქარხანა ამიერკავკასიაში ერთადერთია, რომელიც ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისათვის პორტლანდცემენტს ამზადებს.

### ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე

4 ივნისს თბილისის ბანკთამორის სავალუტო ბირჟაზე გაიმართა მორიგი ვაჭრობა, რომელშიც 5 ბანკი მონაწილეობდა. გაყიდვის მოცულობამ 284.200 ამერიკული დოლარი შეადგინა. ერთი დოლარის ოფიციალური კურსი არ შეცვლილა და კვლავ 1,3 ლარის დონეზეა. არ შეცვლილა ლართან მიმართებაში არც სხვა უცხოური ვალუტების კურსი, რომელიც 5 ივნისისათვის დაადგინა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა.

### საგადასახადო ინსპექცია უბრუნებს ფულს

სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციაში შექმნილმა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიამ ჩამოაყალიბა სპეციალური ჯგუფი მეწარმეებისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით. პირველ ოთხ თვეში განიხილეს გადამხდელთა 17 პროტესტი. დადგინდა, რომ 12 სამართლიანი იყო. გადამხდელებს 750 ათას ლარზე მეტი დაუბრუნეს.

### იმპორტი სჭარბობს ექსპორტს

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი გაუარესდა.

მაისის დამდეგისათვის სავაჭრო ბრუნვა 291,7 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენდა, რაც აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს. ამასთან, განსხვავება იმპორტსა და ექსპორტს შორის იზრდება: ექსპორტი ახლა შეადგენს 55,1 მილიონ ამერიკულ დოლარს, ხოლო იმპორტი – 236,5 მილიონ ამერიკულ დოლარს. გასულ წელს ეს შეფარდება შესაბამისად უდრიდა 67,3 და 196,7 მილიონ ამერიკულ დოლარს.

ამასთან, საქართველოს პარტნიორი ქვეყნების რიცხვი თოთხმეტით გაიზარდა და ახლა 80-ს შეადგენს. მათგან მხოლოდ თორმეტთან აქვს საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი.

### მორიგი ჭორი

თითქოს პრეზიდენტის ფონდიდან გამოყოფილი თანხით აფხაზეთის მთავრობის გავლენიან წევრებს თავისი შვილებისა და შვილიშვილების დასვენება „ჩაუწყვიათ" საბერძნეთში, – აბსოლუტური სიცრუეა, ნათქვამია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ დღეს გავრცელებულ განცხადებაში.

აფხაზეთიდან გაემგზავრა არა 15, არამედ 17, ხოლო მთლიანი ჯგუფი 32 ბავშვისაგან შედგებოდა, დამსვენებელთაგან 15 სამაჩაბლოელი დევნილი მოზარდია. ეს გაკეთდა არა პრეზიდენტის ფონდიდან გამოყოფილი თანხით, არამედ საქართველოს ყოფილი მოქალაქის, აფხაზეთის ომის შემდეგ საბერძნეთში დაბრუნებული სოხუმელი ბერძენის იოანე კარდისიდის მიწვევით და მთლიანი დაფინანსებით, ნათქვამია განცხადებაში.

### ვინ ითვისებდა პენსიებს

კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის შედეგად სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებაში ამხილეს სოცუზრუნველყოფის სამინისტროს პენსიების და დახმარებების დარიცხვის და გაცემის რესპუბლიკური ცენტრის წამყვანი სპეციალისტი ელენე ავაზაშვილი და „საქართველოს ფოსტის" საბურთალოს რაიონის 94-ე საფოსტო განყოფილების უფროსი ნუცა კაცაძე.

მათ ბრალად ედებათ ის, რომ წინასწარი შეთანხმებით, 1994-97 წლებში არარსებულ და გარდაცვლილ პირებზე პენსიების გაცემის ფიქტიური დოკუმენტაციის გაფორმებით დაიტაცეს 5300 ლარი.

### ნარკოტიკები „ივერიაშიც" აღმოაჩინეს

მიღებული ოპერატიული ინფორმაციის შედეგად, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა დააკავეს სასტუმრო „ივერიაში" მცხოვრები მედიკო ლომიძე, რომელსაც აფთიაქის ჯიხურში და საცხოვრებელ ბინაშიც აღმოაჩნდა 3.950 კაფსულა „ტრამალი", 40 აბი „როდედორმი", 26 ამპულა „რელანიუმი", 600 აბი „სონაპაქსი", 30 ამპულა „დიმედროლი" და 284 აბი „სიბაზონი". მ. ლომიძემ ეს პრეპარატები შეიძინა ქარელში მცხოვრებ მანანა კაპანაძისგან, რომლის ბინაში აღმოჩნდა აღნიშნული პრეპარატების დიდი რაოდენობა.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „მოამბე-ექსპრესმა", „იბერიამ".

დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 3 ივნისი ქ. თბილისი

**საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სისტემის მუშაკთა ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

პურპროდუქტების მრეწველობის საწარმოთა სიმძლავრეების შენარჩუნების, მოსახლეობის პურით შეუფერხებლად მომარაგების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და კვალიფიციური მომსახურებისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სისტემის მუშაკები დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით:

**აბესალომ ბერბერაშვილი** – თბილისის სააქციო საზოგადოება „დიდუბის წისქვილქარხნის" დირექტორი

**სპარტაკ გოგინავა** – თბილისის სააქციო საზოგადოება „კრწანისის პურის" დირექტორი

**ნოდარ გორგოშიძე** – სააქციო საზოგადოება „აჭარპურის" წამყვანი სპეციალისტი

**მალხაზ დოლიძე** – სააქციო საზოგადოება „თბილისის № 4 პურის ქარხნის" დირექტორი

**იოსებ კუხიანიძე** – თბილისის სააქციო საზოგადოება „თემქაპურის" გენერალური დირექტორი

**გურამ ფირცხალაიშვილი** – რუსთავის სააქციო საზოგადოება „ხაბაზის" გენერალური დირექტორი

**ტარიელ ქანთარია** – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ზუგდიდის პურპროდუქტების კომბინატის" გენერალური დირექტორი

**თეიმურაზ შავგულიძე** – ქუთაისის სააქციო საზოგადოება „წისქვილის" დირექტორი

**შურა ჯანხოთელი** – ქუთაისის № 3 პურის ქარხნის მუშა.

ე. შევარდნაძე.

## ამაღლება

აღდგომიდან ორმოცი დღის განმავლობაში იესო ქრისტე მოწაფეებს ცოცხლად ეჩვენებოდა და მათ ღმრთის სასუფეველზე მოუთხრობდა. მეორმოცე დღეს ზეთისხილის მთაზე აიყვანა ისინი, აკურთხა, კურთხევისას დასცილდა და ღრუბელმა ცად აიტაცა. მოწაფეებს, რომელნიც ცას შეჰყურებდნენ, ორი სპეტაკი სამოსელით შემოსილი კაცი წარუდგა, რომელთა უთხრეს: რად დგახართ და შეჰყურებთ ცას? იესო, რომელიც ზეცად ამაღლდა, ისევე მოვა, როგორც ზეცად ამავალი იხილეთ (საქმე 1,9-11). გახარებულმა მოწაფეებმა თაყვანი სცეს ამაღლებულ უფალს და იერუსალიმში დაბრუნდნენ.



ამ დღეს ქრისტესთან დაშორებას კი არ ზეიმობს ეკლესია, არამედ ქრისტეს ცად ამაღლებას. უფლის ჩვენი მსგავსი კაცობრივი ბუნება (თვინიერ ცოდვისა) მკვდრეთით აღდგა, სიკვდილს სძლია, უკვდავი და უხრწნელი გახდა და ზეცად ამაღლდა საუკუნო ნეტარ სამყოფელ ში. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანი, რომელიც მაცხოვრის მეორედ მოსვლისას განმართლდება, ასევე სხეულებრივად ამაღლდება ზეცად და სამარადისოდ განღმრთობილი ადგილს ცათა სასუფეველში დაიმკვიდრებს.

დიახ, ღმერთი ჩამოვიდა მიწაზე, რათა ჩვენ აემაღლებულიყავით ზედაც! აი, ამას დღესასწაულობს ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანი მაცხოვრის ამაღლების დღეს. ამისთვის გვიყვარს ღმერთი, ყოვლად წმიდა სამება, ყოველთვის განვადიდოთ იგი და ვემსახუროთ მას.

5 (ახ.) ივნისი

კადრები

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1997 წლის 3 ივნისი ქ. თბილისი

**თ. შაშიაშვილის ქალაქ ქუთაისის მერის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ**

განთავისუფლდეს იმერეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული **თემურ შაშიაშვილი** ქალაქ ქუთაისის მერის თანამდებობიდან „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 32 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად.

ე. შევარდნაძე.

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1997 წლის 3 ივნისი ქ. თბილისი

**დ. მელქაძის ქალაქ ქუთაისის მერად დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს **დავით მელქაძე** ქალაქ ქუთაისის მერად.

ე. შევარდნაძე.

### აკადემიკოს ნოდარ ჯანბერიძის დამკრძალავი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შეიქმნა ცნობილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის აკადემიკოს ნოდარ ჯანბერიძის დამკრძალავი კომისია ბადრი შოშიტაიშვილის თავმჯდომარეობით.

აკადემიკოსი ნ. ჯანბერიძე დაიკრძალება დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

## უკანასკნელ საათს

მოსკოვი. გუშინ რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი შეხვდა ფედერაციის სუბიექტების ხელმძღვანელებს, გააცნო მათ კრემლის „მაისის მაღლისხმევის მიღწევები", დაწვრილებით გააშუქა კიევის ვიზიტი და იქ ხელმოწერილი ხელშეკრულებანი.

ანკარა. დაიწყო თურქეთის სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების დაგეგმილი მანევრები „ზღვის მგელი-97", რომელიც მარმარილოს, ეგეოსისა და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვებში 27 ივნისამდე გასტანს. მანევრებში მონაწილეობს 60-მდე ხომალდი და წყალქვეშა ნავი, სადესანტო და საიერიშო ქვეგანაყოფები.

ბრაზილია. ბრაზილიის დედაქალაქში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი იაპონიის იმპერატორი აკიჰიტო სიტყვით გამოვიდა რესპუბლიკის ეროვნულ კონგრესში და ილაპარაკა იმ დიდმნიშვნელოვან როლზე, რომელსაც საკანონმდებლო ხელისუფლება ასრულებს ბრაზილიაში დემოკრატიულ უფლება-თავისუფლებათა აღდგენის საქმეში. დღეს იმპერატორი მეუღლითურთ არგენტინაში ჩავიდა.

საქართველოს რესპუბლიკა
№128. ხუთშაბათი, 5 ივნისი, 1997 წელი

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

# ადამიანის უფლებათა დაცვა, როგორც უმაღლესი ღირებულება, გარანტირებული უნდა იყოს

დაცვა გარანტირებული უნდა იყოს. რაც შეეხება სიკვდილით დასჯის შეცვლას სამუდამო პატიმრობით, ხაზგასმით აღინიშნა, რომ სახელმწიფოს, რომელიც დემოკრატიულ ღირებულებათა დამკვიდრებისათვის იბრძვის, სავსებით შეუძლია გადადგას ეს ნაბიჯი. მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება მისცეს კომისიას შესაძლებლობა, კიდევ უფრო დახვეწოს კოდექსი გამოთქმულ შენიშვნათა გათვალისწინებით, ხოლო შემდეგ განსახილველად წარუდგინოს პარლამენტს.

მთავრობის სხდომაზე განიხილეს კანონპროექტი „საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესახებ“, რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა. იგი განსაზღვრავს საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების, შესრულებისა და შეწყვე-

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

ტის წესს კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად. მოიწონეს აგრეთვე პროექტი კანონისა „კოლექტიურ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა შესახებ“, რომელიც შრომის, სოციალური დაცვისა და დასაქმების სამინისტრომ წარმოადგინა. კანონპროექტი ქმნის კოლექტიური ხელშეკრულებისა და შეთანხმების შემუშავების, დადებისა და შესრულების სამართლებრივ საფუძვლებს.

სხდომაზე განიხილეს და მოიწონეს საქართველოს მუნიციპალური განვითარების სახელმწიფო პროგრამა, რომელშიც ჩამოყალიბებულია ხანმოკლე და საშუალო პერიოდებისათვის ქვეყნის მუნიციპალური განვითარების ორგანიზაციული, სოციალურ-ეკონომიკური და ინფორმაციული უზრუნველყოფის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი. მუნიციპალური განვითარება, თავის მხრივ, გულისხმობს ადგილობრივი საზოგადოებრივი მომსახურებისა და ადმინისტრაციული ფუნქციების ეფექტიანობის გადიდებას ადგილობრივი და საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების, თვითმმართველობასა და ადგილობრივი საზოგადოების თვითორგანიზაციაზე მოქალაქეთა უფლებების გარანტიების უზრუნველყოფის საფუძველზე.

სხდომაზე ფრიად მწვავე შეფასება მიეცა სამხარეო და ადგილობრივი გამგეობის ორგანოების მუშაობას მიმდინარე წლის იანვარ-მაისის ბიუჯეტის შესრულებისათვის. ამ მიმართულებით მუშაობის შედეგების შეჯამება, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, ფაქტობრივად სამხარეო და ადგილობრივ ადმინისტრაციათა ხელმძღვანელების ატესტაცია გახდება. ბოლოსდაბოლოს უნდა შევიგნოთ, რომ ბიუჯეტზეა დამოკიდებული ხელფასების, პენსიებისა და ლტოლვილთა დახმარების გაცემის მდგომარეობა. რეზერვები აქ საკმარისზე მეტია და ისინი უნდა გამოვიყენოთ მოქალაქეთა სოციალურ უზრუნველყოფაში ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

პედაგოგთა ატესტაციის მიმდინარეობის შესახებ სხდომაზე ინფორმაცია გააკეთა განათლების მინისტრმა თამაზ კვაჭანტირაძემ. როგორც მან აღნიშნა, ქვეყნის განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში უამრავ ღონისძიებათა შორის განსაკუთრებით აქტუალური გახდა პედაგოგთა ატესტაცია, რომელიც თავისთავად მთელი სისტემის საკადრო უზრუნველყოფის არსებითი მომენტია. იგი, როგორც წესი, ხუთ წელიწადში ერთხელ ეწყობა და ახლანდელი ატესტაცია რაღაც საგანგებო გადაწყვეტილების შედეგი კი არა, არამედ მორიგი აქციაა. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ იგი მიმდინარეობს ახალი მოდელისა და დებულებების საფუძველზე. მისი ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ის არის, რომ შეიქმნას მასწავლებელთა შედეგიანი საქმიანობის მოტივაციისა და სტიმულირების პირობები. როგორც ხაზგასმით ითქვა, განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმას აქტიურად უჭერენ მხარს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, სხვა საერთაშორისო სტრუქტურები, რაც ქმნის შესაძლებლობას საგრძნობლად გაიზარდოს პედაგოგთა შრომის ანაზღაურება, რომელთა კვალიფიკაციის დონე შესაბამისად შეფასდება. ამავე დროს აღინიშნა, რომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოირიცხოს მასწავლებლებისათვის ხელფასის გაცემის დაგვიანების შემთხვევები და აქ კვლავ თავიანთი სიტყვა უნდა თქვან ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა. სიახლე ყოველთვის გარკვეულ სიძნელეებს აწყდება, მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეუშალოს ჩვენს ძალისხმევას პროგრესულ გარდაქმნათა დამკვიდრებისათვის ბრძოლაში.

**თენგიზ გრიგალაშვილი,**
საქინფორმის კორ.

დღის აქცენტი

# სამშობლოზე ფიქრმა უნდა გაგვაერთიანოს



დგენლობაში და მისი სატახტო ქალაქად გადაქცევა. მართლაც რომ სიმბოლურია იმ პიროვნებისათვის ძეგლის დადგმა საქართველოს დედაქალაქში, რომელმაც მთელი კავკასია გააერთიანა და საქართველოს სახელმწიფოს გაელენა მსოფლიო მნიშვნელობის დონეზე აიყვანა. ერწუხისა და დიდგორის ბრძოლების მომგები მეფე აიძულებდა მომავლის მემატიანეებს, რომ ქართველობაზე განზოგადოებული დასკვნა გაეკეთებინათ „არა არს წესი ქართველთა, რამეთუ იხილოს მტერი თვისკენ მომავალი შეუბმელად, ზურგი შეაქციოს, დალათუ იტყვის სიკვდილიო“. უგანათლებულესი და შთამომავლობისაგან წმინდანად შერაცხული დავით აღმაშენებლის ეს ძეგლი დღეს განსაკუთრებულად გვჭირდება, სჭირდება დღევანდელ საქართველოს. იგი ხმამაღალი მოწოდებაა ქვეყნის სიძლიერის განმტკიცების, გაერთიანების, შინაგანი და გარეშე მტრების დათრგუნვის, საქართველოს კულტურის, განათლების, ეკონომიკის აღორძინება-აყვავებისაკენ. სწორედ განათლებაზე, ერის განათლებაზე დიდი ყურადღების მიქცევამ, მისთვის დიდძალი სახსრების განკარგვამ მისცა საშუალება საქართველოს დანგრეული, გაპარტახებული ქვეყნიდან მთელს წინა აზიასა და მახლობელ აღმოსავლეთში უძლიერეს სახელმწიფოდ გადაქცეულიყო. უბადლო „გალობანი სინანულისანის“ ავტორი დავით აღმაშენებელი უპირველესად ქვეყნის განათლების სიმბოლოა. მის მიერ დაარსებული გელათის აკადემია „ახალ ათინად“ და „მეორე იერუსალიმად“ — სიბრძნისა და რწმენის ცენტრად იწოდებოდა.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

ამიტომ იყო, რომ პირველი უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში — თბილისის უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით, სწორედ დავით აღმაშენებლის მოსახსენებელ დღეს გაიხსნა. არც ის არის შემთხვევითი, რომ უკანასკნელ ხანს თბილისის უნივერსიტეტის ეზოში აიგო ტაძარი დავით აღმაშენებლის სახელზე.

დღეს, როგორც არასდროს, ისე გვჭირდება გაერთიანება-გამთლიანება. და არა მხოლოდ ტერიტორიული: სულიერი, გონებისმიერი. თანამოაზრეობა გვჭირდება. ქვეყანა უნდა ამოვიდეს უკიდურესი გაჭირვებიდან. ვის შეუძლია ამის გაკეთება — მხოლოდ ჩვენ, ჩვენს გასათოხნს და მოსამკელს სხვა არ გათოხნის და არ მომკის. ჩვენი წასაკითხი წიგნი ჩვენ უნდა წავიკითხოთ, ჩვენი დასაწერიც ჩვენვე უნდა დავწეროთ, გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი — ერი და ბერი. მხოლოდ ერთმანეთის გვერდიგვერდ ყოფნით მოხერხდება გაერთიანება. დღეს სულიერება გვასაზრდოებს ჩვენ, ყოველი გამოვლინება ამპარტავნობისა და ქვეყნის ერისა თუ ბერის ანუ საერთოდ მრევლის გახლეჩისა უნდა ამოიძირკვოს: ამას ქადაგებდა მესიის მფარველად წოდებული დიდი დავითი; მისი მოწოდება კვლავ ეხმიანება ჩვენს დღევანდელობას, გაერთიანებისკენ მოგვიწოდებს ღირსეული წინაპარი.

სრულიად საქართველომ, საქართველოს მთელმა მოსახლეობამ, ქართველობამ თუ ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებმა სხვა ერის წარმომადგენლებმა, მართლმადიდებლებმა, ქრისტიანებმა თუ სხვა სარწმუნოების აღმსარებლებმა რომ ვიღვაწოთ საქართველოსთვის, ვიქნებით თანამოაზრენი ქვეყნის მომავლის თეორიულ განსაზღვრასა თუ რეალურ აღმშენებლობაში.

დიდი დავით აღმაშენებელი გვასწავლიდა ქვეყნისა და მოძმის სიყვარულს, იგი მტრის წინააღმდეგ მამაცური ბრძოლისა და სიმტკიცის მაგალითს იძლეოდა. განათლებისადმი, კულტურისადმი დიდ სიყვარულს გვიკიჟინებდა, ყოველივე ეს კი სამშობლოს სიძლიერისა და სიმტკიცის აუცილებელ პირობად მიაჩნდა.

დავიწყებას ნუ მიეცემა დავითის მოძღვრება — მოძღვრება ურთიერთსიყვარულისა, სამშობლოს სიძლიერისა და სიმტკიცისათვის ზრუნვის მიზნით გაერთიანებისა. გვახსოვდეს 9 საუკუნის შარავანდედით განათებული დიდი წინაპრის მოძღვრება — ერთიანი, ძლიერი, მტკიცე, განათლებული, ეკონომიკურად აღორძინებული კულტურული საქართველოს სიმბოლოსი.

შერიგების იდეამ მტკიცედ უნდა მოიკიდოს ფეხი. როგორც ეს ხდება ცივილიზებულ ქვეყნებში, პარტიებს შორის ურთიერთობები მიმართული უნდა იყოს ერთი საერთო მიზნისკენ — ქვეყნის ერთიანობისა და ძლიერებისაკენ. მათი პროგრამები ემთხვევა ერთმანეთს — ყველა საქართველოსთვის სიკეთის მოტანას ქადაგებს. რაკი ყველას სამშობლოს სიყვარული გვაერთიანებს — მაშინ დღეს საქართველოს პრობლემამ, კრიზისიდან მისი გამოყვანის პროცესმა, საქართველოს საზრუნავმა ერიც და ბერიც, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ერთიანი ქვეყნის ბედზე პარტიების ზრუნვამაც უნდა გაგვაერთიანოს, ერთად ვიღვაწოთ საქართველოსთვის.

... გავიხსენოთ მანიფესტი, რომელიც სწორედ რესპუბლიკის მოედანზე გამოქვეყნდა — იქ, სადაც დღეს დიდი დავითის, საქართველოს გამაერთიანებლის ძეგლია აღმართული. გამოქვეყნდა სწორედ მაშინ, როცა სამოქალაქო ომის შავი ღრუბელი ის-ის იყო ჩამოწვა, მაშინ დაარქვა მას პრეზიდენტმა შერიგების მანიფესტი, იმ მანიფესტის იდეებმა თავისი როლიც შეასრულეს.

... მაგრამ ეროვნული და საერთო სახელმწიფოებრივი ზავი ჯერ კიდევ გარანტირებული არ არის. საზოგადოების გათიშულობისა და დაპირისპირების კვალი იმდენად ღრმაა, რომ მისი დაძლევა დროს, მოთმინებას, სახელმწიფოს გაძლიერებას, ცხოვრების დემოკრატიული ნორმების დამკვიდრებას მოითხოვდა და მოითხოვს.

მიუხედავად ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისა, მოვიდა დრო, როცა დღის წესრიგში დგება საზოგადოებაში აგრესიული ანტაგონიზმის დაძლევის პროგრამა, სხვა გზა არ არის, უნდა შევრიგდეთ.

— „ხელისუფლება დგამს ნაბიჯს შერიგებისა და ეროვნული თანხმობისაკენ, თანხმობისა და ურთიერთგაგებისაკენ, მოდით, ვითანამშრომლოთ ხელისუფლების სტრუქტურებშიც, მხოლოდ იმ პირობით, რომ ყველანი დავიცავთ დემოკრატიულ მონაპოვართ, ერთად ვიშრომებთ და ვიბრძოლებთ საქართველოს საკეთილდღეოდ, *მე ყველას ხელს ვუწვდი, ვინც ამ პრინციპს გაიზიარებს, პრაქტიკულ ნაბიჯებსაც პირველი გადავდგამ*“, — ეს პრეზიდენტმა პარლამენტის სხდომაზე განაცხადა.

მე კი თავიდან გავიმეორებდი იმ სიტყვებს, რაც დიდი დავითის ძეგლის გახსნაზე წარმოვთქვი, თანაც შემდეგს დავუმატებდი: — ვიკამათოთ, იყოს აზრთა სხვაობა, ოღონდ ყველა გაგვაერთიანოს მთავარმა — საქართველოს სიყვარულმა, ადამიანების უფლებების ცოდნამ, ურთიერთკეთილმოსურნეობის ნიადაგზე პატივისცემამ იმ უფლებებისადმი, რაც მოგვეცა. გვახასიათებდეს სერიოზული დამოკიდებულება შრომისადმი, ვიცოდეთ დროის ფასი, რადგან ქვეყნის სიყვარულით გაერთიანებულთ თანამოაზრეობა გვჭირდება, ყველაფერი გავაკეთოთ კრიზისიდან ქვეყნის გამოსაყვანად, ჩვენი წასაკითხი წიგნი, მოდით თავად ჩვენ წავიკითხოთ... დარწმუნებული ვარ, შეგვწევს ამის ძალა და უნარი.

**როინ მეტრეველი,**
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი.

ევრაზიის დერეფანი

# დამხმარედ მოდის ლაზერის სხივი

მსოფლიოში მიმდინარე დაჩქარებული სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი სულ უფრო მწვავედ და გადაუდებლად აყენებს კომუნიკაციების კონსტრუქციებისა და მანქანა-დანადგარების უსაფრთხოების, მათი მუშაუნარიანობის ამაღლებისა და შესაძლო კატასტროფათა თავიდან აცილების საკითხს. სამწუხაროა, რომ ტექნიკური პროგრესის წინსვლასთან ერთად იმატა ავარიებმა და კატასტროფებმა, რასაც თან ახლავს აუნაზღაურებელი ფინანსური, პოლიტიკურ-სოციალური შედეგები და ადამიანთა დიდი მსხვერპლი.

სამშენებლო კონსტრუქციებისა და მანქანა-დანადგარების კატასტროფები განპირობებულია ან ბუნებრივი მოვლენებით, ან დაგეგმარების, დამზადების და ექსპლუატაციის დროს დაშვებული ტექნიკური და ორგანიზაციული შეცდომებით.

დღეს აღარ შეიძლება უბრალოდ „ვისწავლოთ შეცდომებზე“, რომლებსაც კატასტროფამდე მივყავართ. საჭიროა შევქმნათ კომუნიკაციების, კონსტრუქციებისა და მანქანების ტექნიკური მდგომარეობით რეალურ დროში შეფასების მეთოდები და დიაგნოსტიკისათვის საჭირო საშუალებები — ხელსაწყოთა ტექნიკა. ეს საშუალებას მოგვცემს დროულად გამოვავლინოთ დეფექტები კონსტრუქციებში და განვახორციელოთ მათი პასიური და აქტიური კომპიუტერული დაცვა მუშაობის რეგლამენტის შენარჩუნებით და კატასტროფების თავიდან აცილებით, ან მინიმუმამდე შემცირებით მაინც.

აქედან გამომდინარე, სამშენებლო კონსტრუქციებისა და მანქანების მუშაუნარიანობისა და საიმედოობის შეფასება უნდა მოვახდინოთ არა „დროის რესურსით“, როგორც აქამდე იყო მიღებული, არამედ მათი „ტექნიკური მდგომარეობის“ მიხედვით, რაც გაცილებით ეკონომიურია.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევებით დამტკიცდა, რომ ამ მეტად რთული პრობლემის გადაწყვეტისათვის პერსპექტიულია ლაზერული ბოჭკოვან-ოპტიკური სისტემების გამოყენება. აქ შემუშავებულ მეთოდებს და პრინციპებს ეფუძნება კონსტრუქციებში დაზიანებათა დიაგნოსტიკის აქტიურ-კომპიუტერული დაცვის განხორციელება.

მეცნიერებაში ყოველი ახალი ტექნიკური მიმართულება ძნელად იკვლევს გზას. მას ჰყავს როგორც აქტიური მომხრენი, ასევე მოწინააღმდეგენიც. ასე იყო ლაზერული ბოჭკოვან-ოპტიკური სისტემების გამოყენების საკითხის მიმართაც, მაგრამ ბოლო დროის მოვლენებმა ნათლად დაადასტურა მათი დიდი პერსპექტიულობა კონსტრუქციებისა და მანქანების კატასტროფებისაგან დაცვაში.

ლაზერული ბოჭკოვან-ოპტიკური გასაზომი სისტემების განმასხვავებელი თავისებურებაა, ჯერ ერთი, სამშენებლო კონსტრუქციებსა და მანქანებში ფიზიკური პარამეტრების (ტემპერატურა, წნევა, დეფორმაცია და ა. შ.) ცვლილებების შესახებ სიგნალის ლაზერის სხივით გადაცემა, ხოლო მეორე მხრივ, სისტემაში შემავალი ცალკეული ელემენტების ერთმანეთთან შუქსატარებით დაკავშირება. ფიზიკური პარამეტრების გაზომვა ხდება შუქსატარში კანალიზებული ლაზერის სხივის ხუთი პარამეტრიდან (ამპლიტუდა, ფაზა, ტალღის სიგრძე, დროში მოდულაცია და პოლარიზაცია) — ერთ-ერთის ცვალებადობის კონტროლის საფუძველზე.

ამრიგად, შუქსატარში კანალიზებული სინათლის სხივი გვაძლევს უნივერსალური პარამეტრების მთელ გამას ფიზიკურ სიდიდეთა ზუსტი გაზომვისათვის. ამასთან, შუქსატარში კანალიზებული სინათლის სხივზე გავლენას არ ახდენს მაგნიტური ველი, რადიაცია და ა. შ.

ლაზერულ ბოჭკოვან-ოპტიკურ სისტემაში შესაძლებელია სხვადასხვა ფიზიკური სიდიდის გაზომვის მონაცემების დისტანციური შეყვანა, გადმოცემა, კომპიუტერული სისტემებით მათი ამოცნობა და ბრძანების მომზადება მანქანებისა და კონსტრუქციების დასაცავად შიგ ჩადგმული აქტიური სისტემებისათვის, რათა თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი ავარია ან კატასტროფები.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ამ საკითხებზე 40-მდე გამოგონება აქვს. დამუშავებულია ახალი მეთოდები და პრინციპები ფიზიკურ სიდიდეთა ბოჭკოვან-ოპტიკური გადამწოდებით გაზომვისათვის.

ახალ მეთოდებზე შექმნილმა გაზომვის ლაზერულ ბოჭკოვან-ოპტიკურმა სისტემებმა მრავალ გამოფენაზე დაიმსახურა მედლები, მათ შორის ოქროს მედალი და დიპლომი მსოფლიო გამოფენაზე 1984 წელს. უკვე არსებობს საფუძველი, რომ ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი კომუნიკაციების, კონსტრუქციებისა და მანქანა-დანადგარების უსაფრთხოება უახლესი ტექნიკური საშუალებებით, კერძოდ კი, ლაზერულ ბოჭკოვან-ოპტიკური სისტემებით დავიცვათ. ეს პირველ რიგში შეეხება ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფანს, არსებულ და მშენებარე ნავთობსადენებს, მაგისტრალურ გაზსადენებს, საქართველოს ენერგოსისტემას და სხვ.

საქართველოში 1995 წელს პროექტების შემუშავებისა და კონვერსიის შესახებ მოწვეულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე ითქვა ლაზერული ბოჭკოვან-ოპტიკური გასაზომ სისტემათა კონსტრუქციების უსაფრთხოების სამსახურში ჩაყენების აუცილებლობაზე. ასეთი სისტემებით დიდ დაინტერესებას ადასტურებს ისიც, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ერთობლივ პროექტში „უსაფრთხოება“ ჩართულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ დამუშავებული ზემოაღნიშნული სისტემების გამოყენების პროექტი. მასში გათვალისწინებულია ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფანში საავტომობილო გზის ვიდეოკონტროლი, ამ მაგისტრალში შემავალ ყველა მნიშვნელოვან ობიექტში (ხიდები, ესტაკადები, გვირაბები, საყრდენი კედლები და ა. შ.) დეფექტების გამოვლენა და დაცვის ღონისძიებები. ანალოგიური სამუშაოებია გათვალისწინებული სარკინიგზო მაგისტრალზე, გაზსადენზე და სხვ.

დღეისათვის განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს მშენებარე ნავთობსადენში უსაფრთხოების სისტემის დანერგვა ლაზერული ბოჭკოვან-ოპტიკური სისტემის გამოყენებით. ამჟამად დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს ნავთობსადენის საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები, რათა უკვე 1998 წლის ბოლოსათვის ახალმა ნავთობსადენმა გაატაროს პირველი ნავთობი. ამ სამუშაოებში ამთავითვე უნდა გავითვალისწინოთ უსაფრთხო ექსპლოატაციის უზრუნველყოფა ლაზერული ბოჭკოვან-ოპტიკური სისტემებით. ანალოგიური უსაფრთხოების სამსახურისა და ტექნიკის საშუალებათა გამოყენება საქართველოს ენერგოსისტემაში საგრძნობლად შეამცირებს ავარიულ შემთხვევებს და უზრუნველყოფს სტაბილურ ენერგომომარაგებას.

ამ და სხვა მნიშვნელოვანი სამუშაოების წარმატებით შესრულება წარმოუდგენელი იყო ამ დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა და სათანადო ორგანიზაციული ღონისძიებების გატარების გარეშე. ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატმა ჯერ კიდევ 1993 წელს შექმნა საგანგებო კათედრა და სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი კონსტრუქციების დაზიანების დიაგნოსტიკაში.

ახალი კათედრა და სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი მუშაობს ხუთი მთავარი მიმართულებით: 1. მაღალკვალიფიციური სპეცია-
ლისტების მომზადება კონსტ[...]
ქციების დაზიანების ტექნი[...]
დიაგნოსტიკასა და ექსპერ[...]
ზაში; 2. სამშენებლო კონსტ[...]
ქციებისა და მანქანების და[...]
ანების იდენტიფიკაცია; 3. [...]
შენებლო კონსტრუქციებისა [...]
მანქანების დაზიანების ტექ[...]
კური დიაგნოსტიკისადმი მ[...]
ნიერული სისტემური მიდგო[...]
საკითხები; 4. კონსტრუქციებ[...]
და მანქანების დაზიანების [...]
ქნიკური დიაგნოსტიკის არ[...]
ბული მეთოდების და ხელსა[...]
ყოთა ტექნიკის მესწავლა [...]
ახლის შექმნა; 5. დარღვევა[...]
ბუნების შესწავლა, ანალიზი [...]
ინფორმაციის მომზადება გა[...]
წყვეტილების მისაღებად.
საზღვარგარეთის, კერძოდ, [...]
გლისის გამოცდილება (აქ პრ[...]
რ. კოლლაკოტმა პირველ[...]
მსოფლიოში შექმნა დაზიანებ[...]
ტექნიკური დიაგნოსტიკის ი[...]
ტიტუტი, და გამოდის ჟურნა[...]
„ტექნიკური დიაგნოსტიკა“), [...]
ზიანების ტექნიკური დიაგნო[...]
ტიკის სამსახურის ორგანიზ[...]
ციაში გვიჩვენებს, რომ ასე[...]
სამსახური უნდა მოიცავდეს [...]
აგნოსტიკურ ცენტრსა და სარ[...]
მონტო ბრიგადებს.
დიაგნოსტიკური ცენტრი ა[...]
ნალიზებს იმ ინფორმაციას, რ[...]
მელთაც მანქანებში და სამ[...]
ნებლო კონსტრუქციებში ჩა[...]
გმული და მისგან განუყოფელ[...]
ხელსაწყოები იძლევიან. ამა-
სთან, ინფორმაცია გადმოი[...]
მა დიდი მანძილიდან და აის[...]
ხება მონიტორებზე, ე. ი. გამო[...]
ყენებული სისტემები აპარატულ[...]
პროგრამულია (გაზომვისა [...]
მართვის ფუნქცია ეკუთვნის კ[...]
მპიუტერს). ანალოგიურ ინფო[...]
რმაციას მიიღებენ, აგრეთვე [...]
ნტრის თანამშრომლებისა [...]
სხვა პერსონალისაგან, რომლ[...]
ბიც შესამოწმებელ ობიექტებ[...]
რეგულარულად უკავშირდებ[...]
ან.
სარემონტო ბრიგადის წევრ[...]
ბმა უნდა შესძლონ დეფექტებ[...]
დროული აღდგენა და საჭირ[...]
დახმარების აღმოჩენა.
დარწმუნებული ვართ, რომ[...]
რესპუბლიკაში ამჟამად უკვე მ[...]
ვავედ მდგარი პრობლემებ[...]
შუქზე ჩვენი მოსაზრებები ს[...]
თანადოდ შეფასდება რესპუ[...]
ლიკის ხელმძღვანელობის მხ[...]
რიდან, რათა შემდგომში მანა[...]
ნჩალათა რიგებში არ აღმო[...]
ვჩნდეთ.

**ჯემალ ბახტაძე,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კონსტრუქციების დაზიანების ტექნიკური დიაგნოსტიკისა და ექსპერტიზის კათედრის გამგე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ბორის სალუქვაძე,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კონსტრუქციების დაზიანების ტექნიკური დიაგნოსტიკის, ექსპერტიზისა და აღდგენის სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი.

**აგული სოხაძე,**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო კონსტრუქციების კათედრის გამგე, პროფესორი.



**ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფანში ლაზერულ ბოჭკოვან-ოპტიკური სისტემის ფუნქციონირების სქემა**

1. — ბოჭკოვან-ოპტიკური კაბელი, 2 — მთავარი გა[...] დამრთველი, 3, 4, 5, 6 — სელექტორული გადამრთვე[...]ლები 7, 8 — პროცესების მართვის ბლოკი, 9 — ც[...]ლადი დენის სამართავი მოწყობილობა, 10 — ტერმი[...]ნალური კონტროლის ბლოკი, 11 — გადამწოდების კო[...]ნცენტრატორი, 12 — მართვის პანელი, 13 — დისპლ[...]ები ტერმინალებით, 14 — ბოჭკოვან-ოპტიკური კაბ[...]ლი კონტროლისათვის, 15 — ბოჭკოვან-ოპტიკური კ[...]ბელი მართვისათვის, 16 — ხიდები, 17 — ესტაკადებ[...] 18 — ავტო-სატრანსპორტო მაგისტრალი, 19 — სარ[...]კინიგზო მაგისტრალი, 20 — სამედიცინო პუნქტი, [...] — ავტოგასამართი სადგური, 22 — ავტო-ტექმომსა[...]ხურების სადგური, 23 — აეროპორტი, 24 — გვირა[...]ბი, 25 — ბოჭკოვან-ოპტიკური კავშირგაბმულობის კაბელ[...]

5 ივნისი გარემოს დაცვის დღეა

# საჭიროა გრძელვადიანი ეკოლოგიური პოლიტიკა

ჩვენი სიცოცხლე მთლიანად ბუნებისა და მისი რესურსების დაცვაზეა დამოკიდებული.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ბუნების გამოყენება მსოფლიო მასშტაბით ახალი ეკოლოგიური აზროვნების საფუძველზე ხდება, დღის წესრიგში მაინც მწვავედ დგას ეკოლოგიური პრობლემა. ასეთ სიტუაციას განაპირობებს, ჯერ ერთი, ქვეყნების მძლავრი ეკონომიკური განვითარება, რომელიც ბუნებრივი რესურსების დიდი რაოდენობით მოხმარებას მოითხოვს; მეორე, ეკონომიკური სიმჭიდროვის ზრდა, რაც თავის მხრივ ეკოლოგიურ დატვირთვას იწვევს და მესამე — ახალი რაიონების სწრაფი და ერთდროული ეკონომიკური ათვისება.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში ბუნებრივ გარემო სისტემას საზოგადოების გონიერულად ჩაურევლად და დაუხმარებლად კვლავწარმოება არ შეუძლია. ამიტომ საჭიროა, დავეხმაროთ ბუნებას, რომ უფრო სრულად გამოავლინოს თავისი ცხოველმყოფელი ძალები. გარემოს გაჭუჭყიანების წინააღმდეგ ბრძოლის მრავალი გზა არსებობს: მათ შორის მთავარია სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებიდან მავნე ამონაფრქვევი გაზების გაწმენდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს გზა, ჯერჯერობით, ნაკლებეფექტიანია, რადგანაც არ იძლევა, ჯერ ერთი, პრობლემის კარდინალურად გადაწყვეტის საშუალებას, (გამწმენდი ნაგებობებით ყოველთვის არ ხერხდება ბიოსფეროში მავნე ნივთიერებათა მოხვედრის სრული გამორიცხვა), მეორეც, გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობა ძვირი ჯდება და მიწის დიდ ფართობს იკავებს.

ჯანსაღი ბუნებრივი გარემოს შენარჩუნების უფრო კარგი საშუალებაა წარმოების ახალი, პროგრესული ტექნოლოგიის შემუშავება და დანერგვა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა უტილიზებულ იქნეს ბიოსფეროსთვის მავნე ყველა ნივთიერება.

ამ თვალსაზრისით, მრავალი პრობლემაა გადასაწყვეტი საქართველოშიც. უკანასკნელ დროს შავი ზღვის სანაპიროს გაჭუჭყიანების საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელების მიუხედავად, რესპუბლიკაში მაინც აღინიშნება სამეურნეო-საყოფაცხოვრებო, სამრეწველო ნარჩენებით, ნავთობპროდუქტებით ზღვის სანაპიროების გაჭუჭყიანების აშკარა ფაქტები. აღნიშნულის გამო ფოთისა და სოხუმის ნავსადგურების აკვატორიების სანიტარიული მდგომარეობა არ აკმაყოფილებს დასაშვებ ნორმებს, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენები, ნახმარი წყალი გაუსუფთავებლად ჩადის ზღვაში, ირღვევა გამწმენდი მოწყობილობის მუშაობის რეჟიმი, სრულად არ გამოიყენება აღნიშნული ქალაქების ნავსადგურების აკვატორიების გამწმენდი ტექნიკური საშუალებანი, რაც ნავსადგურების აკვატორიების დასაშვებ ნორმებზე მეტად გაჭუჭყიანებას იწვევს.

ატმოსფერული ჰაერის გაჯანსაღების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წარმოების რაციონალურ განლაგებას, ქვეყნის ქალაქებისა და რაიონული ცენტრების დასაშვები ზომით განტვირთვას ისეთი სამრეწველო საწარმოებით, რომლებიც სამრეწველო ამონაფრქვევებითა და წარმოების ნარჩენებით აჭუჭყიანებენ ატმოსფერული ჰაერის აუზს.

ბუნებრივი გარემოს დაცვის, გაჯანსაღებისათვის გრძელვადიანი ეკოლოგიური პოლიტიკის შემუშავებაა საჭირო. ამ პოლიტიკამ უნდა მოიცვას პრობლემის ყველა ასპექტი.

კვლავწარმოების პროცესში ცალკეული ბუნებრივი რესურსების გამოყენების რაციონალიზაციის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. აქედან, ყველაზე საყურადღებოა მიწის რესურსები. ჩვენში საგრძნობია მიწის რეკულტივაციის დარგში არსებული ნაკლოვანებები. ჯერ კიდევ არასაკმარისი ღონისძიებები ხორციელდება სამთო ეროზიის, მეწყერების, ზვავების, წყალდიდობების, ღვარცოფების და სხვა სტიქიური მოვლენების მინიმუმამდე შემცირებისათვის.

მიწის ფონდის რაციონალურად გამოყენების ერთ-ერთი მიმართულებაა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების პროდუქტიულობის ყოველმხრივი ამაღლება. ეს კი მიიღწევა ისეთი აგროტექნიკური ღონისძიებების განხორციელებით, რომლებიც არსებითად შეამცირებენ მიწათმოქმედების დამოკიდებულებას ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წყლისა და ქარისაგან გამოწვეული ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებას.

დიდი მნიშვნელობა აქვს ტყის დაცვას, მის გონიერულ გამოყენებას. მიუხედავად ამისა, ამ სფეროში არსებობს ნაკლოვანებები, განსაკუთრებით, ტყის ხელოვნურად გაშენებასა და დაცვაში.

ატმოსფერული ჰაერის გაჯანსაღებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს „მწვანე სამოსელს“. პირველ რიგში, აუცილებელია ქვეყნის ქალაქების ყველა ნაწილში შეიქმნას სრულყოფილი მიკროკლიმატი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წლის სეზონების მიხედვით მცენარეთა ჯიშების შერჩევას, ფსიქოთერაპიულ ფაქტორს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მტვრის, გაზისა და ხმაურის დამჭერი მდგრადი ჯიშების გაშენება.

ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების დაახლოებით ნახევარი ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მავნე გამონაბოლქვზე მოდის. ამ უკანასკნელის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი საშუალებაა ავტოსატრანსპორტო საშუალებათა შიდაწვის ძრავების სრულყოფა, ახალი სახეობის თხევად საწვავზე გადასვლა, ელექტრომობილების გამოყენება და სხვა.



ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა წარმოების ნარჩენების უტილიზაციას ენიჭება, რადგან ამ უკანასკნელით გამოთავისუფლდება ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ფართობები, რომლებიც ამჟამად ნარჩენსაყრელადაა გამოყენებული.

მეორადი ნედლეულის უტილიზაციითა და გამოყენებით საწარმოების დაინტერესების მიზნით საჭიროა, დღესვე გატარდეს საფინანსო-ეკონომიკური ღინისძიებანი, თორემ ხვალ გვიან იქნება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წყლის რესურსების დაცვას და რაციონალურ გამოყენებას.

ბუნებრივი გარემოს დაცვის, გაჯანსაღებისა და მისი რესურსების რაციონალურად გამოყენებაში განსაკუთრებული როლი სამართლებრივმა ნორმებმა და ეკონომიკურმა ბერკეტებმა უნდა შეასრულონ. ეკონომიკის პირველადი საწარმოო რგოლების პროგრამებში თავიდანვე უნდა იქნეს გათვალისწინებული წარმოების განვითარების ფონდის ხარჯზე ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფს ამ საწარმოთა მოქმედების ზონაში ბუნებრივი გარემოს დაცვას, მის გაჯანსაღებასა და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას.

**პარმენ ლემონჯავა,**
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს კანონი

# სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო კარანტინის ღონისძიებებს, მისი განხორციელების პრინციპებს და მიმართულია სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ სასოფლო-სამეურნეო კარანტინის ნორმების დასაცავად.

### თავი I
### ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1. კანონში გამოყენებული ტერმინების განმარტება**

კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) კარანტინი — შემზღუდავ ღონისძიებათა სისტემა მცენარეთა, ცხოველთა და ადამიანთა ინფექციებისა და მავნებლების გავრცელების თავიდან ასაცილებლად;

ბ) კარანტინის ზონა — ტერიტორია, რომელზეც ვრცელდება საკარანტინო ღონისძიებები;

გ) სასოფლო-სამეურნეო კარანტინი — ფიტოსანიტარიულ და ვეტერინარულ სახელმწიფო საკარანტინო ღონისძიებათა სისტემა;

დ) ფიტოსანიტარიული კარანტინი — სახელმწიფო საკარანტინო ღონისძიებათა კომპლექსი მცენარეთა საკარანტინო ორგანიზმების შემოტანისა და გავრცელების თავიდან ასაცილებლად;

ე) ვეტერინარული კარანტინი — სახელმწიფო საკარანტინო ღონისძიებათა კომპლექსი ცხოველებისა და ადამიანებისათვის საერთო, აგრეთვე ცხოველთა სხვა ინფექციური და გადამდები დაავადებების საქართველოში შემოტანისა და გავრცელების თავიდან ასაცილებლად;

ვ) ფიტოსანიტარიული კარანტინის ობიექტი — მავნებელი, მცენარეთა დაავადების გამომწვევი აგენტი და სარეველა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე არ არის ან შეზღუდულადაა გავრცელებული;

ზ) ვეტერინარული კარანტინის ობიექტი — დაავადებული ან მასზე საეჭვო ცხოველი, ფრინველი, თევზი, ფუტკარი, მათი განთავსების ან შენახვის ადგილი და ტერიტორია, ინფიცირებული ან მასზე საეჭვო მეცხოველეობისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, ნედლეული, ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული სხვა პროდუქტი, ნედლეული, ტვირთი და მასალა;

თ) ფიტოსანიტარიულ კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქცია, მასალა და ობიექტი — პროდუქცია, მასალა და ობიექტი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია საკარანტინო ობიექტების გავრცელება;

ი) ვეტერინარულ კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქცია, მასალა და ობიექტი — ცოცხალი ორგანიზმი, პროდუქცია, ტვირთი, მასალა და ობიექტი, რომელსაც შეუძლია ან რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ინფექციური და გადამდები დაავადებების გავრცელება:

კ) მცენარე — მცენარე და მისი ნაწილი, თესლის ჩათვლით;

ლ) მავნე ორგანიზმი — მცენარეული, ცხოველური და სხვა პათოგენური აგენტი, რომელიც ვნებს მცენარეს და მცენარეულ ნაწარმს, ცხოველს, ფრინველს და მათგან წარმოებულ პროდუქტ-ნედლეულს, აქცევს მათ ინფექციის გავრცელების წყაროდ.

**მუხლი 2. სასოფლო-სამეურნეო კარანტინის საფუძველი**

1. ფიტოსანიტარიული კარანტინი ხორციელდება ამ კანონის, „მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2. ვეტერინარული კარანტინი ხორციელდება ამ კანონის, „ვეტერინარიის შესახებ" საქართველოს კანონის, ვეტერინარული კანონმდებლობისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

**მუხლი 3. სასოფლო-სამეურნეო კარანტინის ძირითადი ამოცანები**

1. ფიტოსანიტარიული კარანტინის ძირითადი ამოცანებია:

ა) ქვეყნის ტერიტორიის დაცვა სხვა სახელმწიფოებიდან საკარანტინო ობიექტების შემოტანისა და გავრცელებისაგან;

ბ) გავრცელებული საკარანტინო ობიექტების დროული აღმოჩენა და გავრცელების კერების ლოკალიზაცია — ლოკალიზაციის ორგანიზება, კონტროლი ამ ღონისძიებათა შესრულებაზე;

გ) სახელმწიფო კონტროლის დაწესება საკარანტინო წესების შესრულებაზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების, ტრანსპორტირების, შენახვის, გადამუშავებისა და რეალიზაციის დროს.

2. ვეტერინარული კარანტინის ძირითადი ამოცანებია:

ა) ქვეყნის ტერიტორიის დაცვა სხვა სახელმწიფოებიდან ცხოველებისა და ადამიანებისათვის საერთო, აგრეთვე ცხოველთა სხვა ინფექციური დაავადებების გამომწვევთა შემოტანისა და გავრცელებისაგან;

ბ) ცხოველებისა და ადამიანებისათვის საერთო, აგრეთვე ცხოველთა სხვა ინფექციური და გადამდები დაავადებების დროული აღმოჩენა, გავრცელების კერების ლოკალიზაცია-ლიკვიდაციის ორგანიზება;

გ) სახელმწიფო ვეტერინარული კონტროლის დაწესება საკარანტინო წესების შესრულებაზე ცხოველის, ფრინველის, თევზის, სხვა ცოცხალი ორგანიზმის, მეცხოველეობისა და ცხოველური წარმოშობის პროდუქტ-ნედლეულის, ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული სხვა პროდუქტებისა და მასალების წარმოების, შენახვის, გადამუშავების, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის დროს.

**მუხლი 4. საკარანტინო მომსახურების ხარჯები**

საკარანტინო მომსახურება ფასიანია. ფიტოსანიტარიული საკარანტინო მომსახურების ტარიფებს განსაზღვრავს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით, ხოლო ვეტერინარული საკარანტინო მომსახურების ტარიფები მტკიცდება „ვეტერინარიის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

### თავი II
### სასოფლო-სამეურნეო კარანტინის სახელმწიფო სამსახურები

**მუხლი 5. სასოფლო-სამეურნეო კარანტინის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოები**

1. სასოფლო-სამეურნეო კარანტინის ორგანიზებას და კონტროლს ახორციელებენ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურები. მათი საქმიანობა განსაზღვრულია ამ კანონით, „მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ" და „ვეტერინარიის შესახებ" საქართველოს კანონებით, შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით.

2. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე მოქმედი სასაზღვრო ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული ზედამხედველობის საკარანტინო სამსახურები ექვემდებარებიან საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამის ცენტრალურ სამსახურებს.

**მუხლი 6. სასოფლო-სამეურნეო კარანტინის სამსახურების კომპეტენცია**

1. ფიტოსანიტარიული კარანტინის სახელმწიფო სამსახურის კომპეტენციაა:

ა) საკარანტინო ობიექტების ნუსხის განსაზღვრა, ქვეყანაში გაუვრცელებელი ან კერობრივად გავრცელებული დაავადებების, მავნებელთა და სარეველების სახეობრივი შემადგენლობის დაზუსტება და ფიტოსანიტარიული კარანტინის ჩატარების წესებისა და ინსტრუქციების პროექტების შემუშავება;

ბ) კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციის ქვეყნიდან გატანა-შემოტანისას ფიტოსანიტარიული საკარანტინო შემოწმებისა და ლაბორატორიული ექსპერტიზის ჩატარება, მათ შორის, მცენარეულ მასალაში, საფოსტო გზავნილებში, ხელბარგში, ტარაში, შესაფუთ და სატრანსპორტო საშუალებებში;

გ) კონტროლი იმ სანერგეებზე, ჯიშთა გამოცდის ნაკვეთებზე, საცდელ და სასელექციო სადგურებზე, სათბურებზე, რომლებიც აწარმოებენ თესლებს, ჩითილებს, ნერგებს და რეალიზაციას უკეთებენ მათ, იღებენ თესლებსა და სარგავ მასალას ქვეყნის გარედან;

დ) კონტროლი ამ სფეროში მიღებული ნორმატიული აქტების შესრულებაზე;

ე) საქართველოს სახელმწიფო ინტერესების ფიტოსანიტარიული კარანტინის საერთაშორისო ორგანიზაციებში წარმოდგენა.

2. საიმპორტო საკარანტინო უფლება თესლებზე, სარგავ და კარანტინს დაქვემდებარებულ სხვა მასალაზე, პროდუქციასა და ობიექტებზე და ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაცემის უფლება აქვს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურას, რომლის საქმიანობა განსაზღვრულია „მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით.

3. ვეტერინარული კარანტინის სახელმწიფო სამსახურის კომპეტენცია განსაზღვრულია „ვეტერინარიის შესახებ" საქართველოს კანონით, ვეტერინარული კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით.

**მუხლი 7. სასოფლო-სამეურნეო კარანტინის ობიექტები**

1. ფიტოსანიტარიული კარანტინი ვრცელდება:

ა) სასოფლო-სამეურნეო, სატყეო და დეკორატიული კულტურების თესლებსა და სარგავ მასალებზე, მცენარეებსა და მათ ნაწილებზე, აგრეთვე ნებისმიერ მცენარეული წარმოშობის პროდუქციაზე, სურსათზე, რომელიც შეიძლება საკარანტინო ობიექტის გადამტანი გახდეს;

ბ) სოკოებსა და მათ კულტურებზე, ბაქტერიებზე, ვირუსებზე, ნემატოდებზე, ტკიპებსა და მწერებზე;

გ) მწერების კოლექციაზე, დაავადებების გამომწვევებზე და ნიმუშებზე, აგრეთვე ჰერბარიუმებსა და თესლების კოლექციაზე;

დ) სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც ქვეყანაში შემოდიან მის ფარგლებს გარედან;

ე) სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებზე, ტარაზე, შესაფუთ საშუალებებზე, სამრეწველო საქონელზე, მცენარეული მასალით დამზადებულ ნაკეთობებზე, რომლებიც შეიძლება გახდნენ საკარანტინო ობიექტების გადამტანები, აგრეთვე ქანებსა და ნიადაგის ნიმუშებზე;

ვ) იმ დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ტერიტორიებსა და შენობებზე, რომლებიც ამზადებენ, ამუშავებენ, ინახავენ და რეალიზაციას უწევენ მცენარეული წარმოშობის პროდუქტებს, სასოფლო-სამეურნეო და სატყეო სავარგულებზე, საკარმიდამო და სააგარაკო ნაკვეთებზე და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე.

2. სახელმწიფო ვეტერინარული სამსახურის კონტროლს ექვემდებარებიან „ვეტერინარიის შესახებ" საქართველოს კანონით, ვეტერინარული კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრული საკარანტინო ობიექტები.

### თავი III
### სახელმწიფო საზღვრებზე სასოფლო-სამეურნეო საკარანტინო კონტროლი

**მუხლი 8. სახელმწიფო ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი**

1. სახელმწიფო ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო ღონისძიებებს საქართველოს საზღვრებზე საზღვაო ნავსადგურებში, აეროპორტებსა და სახმელეთო გასასვლელებში ატარებს ფიტოსაკარანტინო სამსახური საბაჟო სამსახურთან ერთად, საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე, საბაჟო კონტროლის ზონაში.

2. საქართველოში მცენარეული წარმოშობისა და კარანტინს დაქვემდებარებული სხვა პროდუქციის შემოტანა უცხოეთის ქვეყნებიდან ნებადართულია ამ პროდუქციაზე სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციის მდგომარეობის დამადასტურებელი საიმპორტო საკარანტინო უფლებისა და ექსპორტიორი ქვეყნის საკარანტინო სამსახურის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის არსებობისას.

3. კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტი იმ სახელმწიფოებიდან, რომელთაც არ გააჩნიათ ფიტოსანიტარიული კარანტინის სამსახური და შესაბამისად — ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი, ხორციელდება სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს იმ შესაბამისი სტრუქტურის მიერ გაცემული ნებართვით, რომლის საქმიანობაც განსაზღვრულია „მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით.

4. კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციისა და ტვირთის ტრანზიტი და რეექსპორტი საქართველოს ტერიტორიაზე ნებადართულია ექსპორტიორი ქვეყნის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატისა და საქართველოს ფიტოსანიტარიული კარანტინის სახელმწიფო სამსახურის საკარანტინო ნებართვით.

5. საქართველოს ტერიტორიაზე შემოსატანი, კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქცია და სატრანსპორტო საშუალება სასაზღვრო ზონებში ექვემდებარება აუცილებელ ფიტოსანიტარიულ შემოწმებას, საჭიროების მიხედვით — ლაბორატორიულ ექსპერტიზას და გაუსნებოვნებას.

6. კარანტინს დაქვემდებარებული ობიექტის აღმოჩენისას ასეთი პროდუქცია უნდა დაბრუნდეს ან გაუსნებოვნდეს, ხოლო თუ იგი არ ექვემდებარება გაუსნებოვნებას, მესაკუთრის ხარჯით უნდა გადამუშავდეს და გაიყიდოს ან განადგურდეს სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

**მუხლი 9. სახელმწიფო ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი**

სახელმწიფო ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლს საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში, აეროპორტებსა და სახმელეთო გასასვლელებში ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტი საბაჟო სამსახურთან ერთად, საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე, საბაჟო კონტროლის ზონაში, „ვეტერინარიის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

### თავი IV
### სასოფლო-სამეურნეო კარანტინის განხორციელება საქართველოს ტერიტორიაზე

**მუხლი 10. სახელმწიფო ფიტოსანიტარიული სამსახურის შიდასაკარანტინო ღონისძიებანი**

1. საკარანტინო ობიექტის აღმოჩენისას განსაზღვრული ტერიტორია ცხადდება საკარანტინო ზონად.

2. საკარანტინო რეჟიმის ტერიტორიაზე იზღუდება სატრანსპორტო საშუალებების შესვლა-გამოსვლა, აკრძალულია კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციის შეტანა-გამოტანა; ამასთან, ადგილზე ხდება მათი გაუსნებოვნება, ტექნიკური გადამუშავება ან განადგურება სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

3. საკარანტინო ზონიდან ფიტოსანიტარიული კარანტინის სამსახურის ინსპექტორების უნებართვოდ გამოტანილი, კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქცია უნდა დაბრუნდეს, ჩამორთმეულ იქნეს და გადაეცეს შესაბამის სავაჭრო-გადამამუშავებელ საწარმოებს ან განადგურდეს სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

4. სახელმწიფო ფიტოსანიტარიული სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე მმართველობის ადგილობრივი ორგანოები აცხადებენ ფიტოსანიტარიულ კარანტინს და შესაბამისად, საკარანტინო ღონისძიებების გატარებისას და დასნებოვნებული კერის ლიკვიდაციის შემდეგ ხსნიან მას, რის შესახებაც ეცნობება სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურს.

**მუხლი 11. სახელმწიფო ვეტერინარული სამსახურის შიდასაკარანტინო ღონისძიებანი**

საკარანტინო ღონისძიებებს ქვეყანაში ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტი აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ვეტერინარიის დეპარტამენტების, მის დაქვემდებარებაში მყოფი სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული პოლიციის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში მყოფი ვეტერინარული პოლიციის სამსახურის მეშვეობით. ვეტერინარული პოლიციის სამსახურისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები ვეტერინარიის დეპარტამენტს გამოეყოფა ეპიზოოტიური ხარჯებისათვის გათვალისწინებულ ასიგნებებში. საკარანტინო ღონისძიებები განსაზღვრულია „ვეტერინარიის შესახებ" საქართველოს კანონით, ვეტერინარული კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით. ვეტერინარიის დეპარტამენტი კარანტინის გამოცხადების შესახებ აცნობებს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურს.

### თავი V
### პასუხისმგებლობა ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევისათვის

**მუხლი 12. პასუხისმგებლობა ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კარანტინის მოთხოვნათა დარღვევისათვის**

პასუხისმგებლობა „სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ" კანონის მოთხოვნათა დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

### თავი VI
### დასკვნითი დებულებანი

**მუხლი 13. კანონის ამოქმედება**

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
**ედუარდ შევარდნაძე.**

თბილისი, 1997 წლის 15 მაისი.

---

## ეკლესია

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის 20 მაისის კრებამ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. საინფორმაციო საშუალებებმა საკვირველი ოპერატიულობით მოჰფინეს ქვეყანას ცნობა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან ჩვენი ეკლესიის გამოსვლის შესახებ, ამასთან, განსაკუთრებული ხაზგასმით წარმოადგენენ „სამწუხარო ფაქტსაც", რომელმაც თურმე ეს საზეიმო განწყობა „დაჩრდილა". საქმე ეხება სინოდის განჩინებას იმ სასულიერო პირთა შესახებ, რომელთაც გამოაცხადეს ევქარისტიული კავშირის გაწყვეტა საქართველოსა და სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან, და მამასადამე, ქრისტეს ეკლესიაში განხეთქილების ჩამოგდება სცადეს.

სინოდის განჩინება ქართულ პრესაში ყოველდღიური საუბრის თემა შეიქნა. მას კომენტარს უკეთებენ მოხალისე ჟურნალისტები, „პროფესიონალი თეოლოგები" და „ექსპერტები", ფსევდო-კოლექტიური წერილების მომდევნელნი...

ყველანი, თითქოს ერთი ცენტრიდან იმართებოდნენ, ერთ პირზე დამდგარან და დემაგოგიისა და სიცრუის მომარჯვებით ღვარძლიანად უტევენ ჩვენს სამოციქულო წმინდა ეკლესიას, მის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, ერთიანობას, ავტოკეფალიას.

ებთან: კონსტანტინეპოლისა, ალექსანდრიისა, კვიპროსისა, ელადისა და სხვ. სქიზმატურად გამოყოფილი ძველი კალენდრის მიმდევართა მთავარი დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ სიტყვის გაგონებაც არ სურთ თეოლოგიური დიალოგის შესახებ მოძმე მართლმადიდებლებთან. კანონიერი მართლმადიდებელი ეკლესიები კი, მიუხედავად იმისა, რომელ კალენდარს მისდევენ, ძველს თუ ახალს, ცდილობენ, რა თქმა უნდა, ისე, რომ არ უღალატონ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, — მეგობრული ურთიერთობა დაამყარონ განსხვავებული დოგმის ქრისტიანებთან. იმედოვნებენ, რომ საკითხთა სისტემატური გამუქებით და სხვა საშუალებებით შეძლებენ დაანახონ მათ მართლმადიდებლობის წიაღში არსებული ჭეშმარიტება განუყოფელი ეკლესიის შესახებ" („ლიტ. საქართველო", 25 აპრილი — 2 მაისი).

ამრიგად, მართლმადიდებელი ეკლესიები ეკუმენიზმს, როგორც სხვადასხვა აღმსარებლობის მიმდევრებთან სღვთისმეტყველო დიალოგის (დისპუტის) საშუალებას ისე უყურებენ, რომლის მიზანსაც ქრისტეს ჭეშმარიტი მოძღვრების, მართლმადიდებლობის, პროპაგანდით ეკლესიიდან განდგომილ შვილთა მის წიაღში დაბრუნებისათვის ხელისშეწყობა წარმოადგენს, რათა ყველამ ისმინოს ხმა უფლისა და ერთი მწყემსის — იესო ქრისტეს

სიის მოძღვრება, მართლმადიდებლური დოგმატის ჭეშმარიტება ყველგან და ყოველთვის და განსაკუთრებით კი, იმათთან უნდა დავიცვათ, რომელთაც ჭეშმარიტება დაკარგეს და გზასაცდენილნი არიან.

ვფიქრობთ, განსაკუთრებული გულისხმიერებით უნდა მოვეკიდოთ იმ მწვალებლურ მიმდინარეობათა წარმომადგენლებს, რომელნიც ერთ, წმინდა და კათოლიკე ეკლესიას საკუთარი მიზეზით კი არ განუდგნენ, არამედ ერეტიკული სწავლებანი მემკვიდრეობით ერგოთ წინაპრებისაგან და მათი პატივისცემის გამო დღემდე მისდევენ მათ.

ნუთუ მართლმადიდებელი მოძღვრის მოვალეობას ისიც არ წარმოადგენს, რომ განუმარტოს მათ: წინაპართა მიერ შემოტანილსა და აღიარებულ ნებისმიერ სწავლებაზე მაღლა ქრისტეს ეკლესიის ჭეშმარიტება დგას.

ქრისტიანული ეკლესიის ისტორია სავსეა მართლაღმსარებლობის დაცვისაკენ მიმართული ეკუმენურ (ეკლესიათაშორისი) სღვთისმეტყველო დიალოგების, ქრისტეს ჭეშმარიტების დამკვიდრებისათვის ბრძოლის მაგალითებით; მრავალთაგან ერთს გავიხსენებთ. წმინდა კეთილმსახური მეფის დავით აღმაშენებლის ცხოვრებიდან ცნობილია დისპუტი, რომელიც მისი

## რისი მადიდებლები არიან მართლმადიდებელი ეკლესიის კრიტიკოსები?

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II, ჯერ კიდევ სინოდის კრებამდე, 18 მაისს სიონის ტაძარში წარმოთქმულ ქადაგებაში ბრძანა, რომ განხეთქილების მოქმედთ „შესაძლებელია, არც ესმით რას სჩადიან, და მტრის ხელში მხოლოდ ბრმა იარაღს წარმოადგენენ".

იგივე ითქმის ყველა იმ პუბლიკაციის ავტორზე, რომელთაც ან არ ესმით, რას წერენ, ან განგებ აყალბებენ საქართველოს ეკლესიის დამოკიდებულებას ეკუმენიზმთან, წმიდა სინოდის 20 მაისის დადგენილებას და ა.შ.

ნაცვლად იმისა, რომ პატრიარქის სიტყვებს ჩაფიქრებოდნენ და განესაჯათ, მართლაც ხომ არ დგანან ამ ადამიანების უკან სხვა, არაეკლესიური, არამორწმუნე ძალები, რომელთაც ქართული ეკლესიის გათიშვა სურთ, ჩვენი პუბლიცისტები, მათგან განსაკუთრებით „თეოლოგიის ლექტორი" თ. დედაბრიშვილი (გაზ. „ჯორჯიან თაიმსი", № 28), აქტიურად ცდილობენ მშვიდობა, რომელიც ეკლესიაში წმ. სინოდის განჩინებას მოჰყვა შედეგად, ახლა სხვა მიზეზებით დაარღვიონ და მიწყნარებული შფოთი ხელახლა გააღვივონ.

დამაფიქრებელია ის ფაქტიც, რომ „სარწმუნოების სიწმინდისათვის" მებრძოლნი განსაკუთრებულ სიმპათიებს ამჟღავნებენ ბერძენ სქიზმატიკოსთა მიმართ. მსოფლიო პატრიარქის, ყოვლადუწმიდესი ბართლომე I თქმით, მათ ოფიციალურ ეკლესიასთან დაპირისპირების საბაბად გამოიყენეს კალენდრის საკითხი, რომელიც სრულიადაც არ მიეკუთვნება დოგმატთა სფეროს და ამდენად არამც და არამც არ შეიძლება იქცეს განხეთქილების მიზეზად.

„მომხდარ განხეთქილებას, — ბრძანებს ყოვლადუწმიდესი ბართლომე, — შედეგად ის მოჰყვა, რომ დედა ეკლესიის წიაღიდან მოწყვეტილი ძველი კალენდრის მიმდევართა ნაწილი განუწყვეტლივ ნაწევრდება ერთმანეთთან დაპირისპირებულ სულ უფრო მეტ დაჯგუფებებად და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში იქმნება ძველი კალენდრის მიმდევართა ახალი სქიზმები. ყველა ეს დაჯგუფებანი უკიდურესად დაპირისპირებულნი არიან კანონიერ მართლმადიდებელ სამყაროსთან და არ შეუძლიათ ზიარების საიდუმლო ჰქონდეთ ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიებთან (მაგ. იერუსალიმთან, მოსკოვთან, საქართველოსთან, წმიდა მთასთან და სხვა), რომელთაც, თუმცა არ მიიღეს ახალი კალენდარი, მაგრამ მიუხედავად ამისა, კანონიკური ურთიერთობები აქვთ ახალი კალენდრის მიმდევარ ეკლესი-

ერთ სამწყსოდ იქცეს (იოანე 10, 16).

რაც შეეხება იერუსალიმის პატრიარქს, დიოდოროსს, იგი ამ საკითხთან დაკავშირებით ბრძანებს: „მართლმადიდებელი ეკლესიის მონაწილეობა ეკუმენისტურ დიალოგებში მავნე და სახიფათოა. სღვთისმეტყველო დიალოგებს არამართლმადიდებლები მართლმადიდებლობის საზიანოდ იყენებენ" (ციტირება თ. დედაბრიშვილის ზემოხსენებული წერილიდან).

ის, რომ ეკუმენისტურ მოძრაობას საშიშროებაც ახლავს თან, მისმა უწმიდესობამ ილია II ბრძანა ზემოხსენებულ ქადაგებაში, მაგრამ მისივე თქმით, „ღმერთმა გონება იმიტომ მოგვცა, რომ განვსაჯოთ, ეს საშიშროება, კერძოდ, რაში მდგომარეობს".

მართლაც, ისმის კითხვა: როდესაც არამართლმადიდებლები სღვთისმეტყველო დიალოგებს მართლმადიდებლობის საზიანოდ იყენებენ, ამ დროს მართლმადიდებლები გულხელდაკრეფილნი სხედან? არაფერს მიუგებენ მოკამათეთ? არ ცდილობენ ნათელი შეიტანონ დოგმატური საკითხების გამუქებაში? თუ არ ყოფნით კომპეტენტურობა დოგმატური სწავლების სფეროში და მართლმადიდებლურ მოძღვრებას მთელი სიღრმით არ იცნობენ? უკეთუ ვინმე თავის თავს სღვთისმეტყველო კამათისათვის მოუმზადებლად ცნობს, რა თქმა უნდა, მან არც უნდა მიიღოს მონაწილეობა მასში, მაგრამ რატომ უნდა დაუმალოს სხვებს დაიცვან მართლმადიდებლობის ჭეშმარიტება და მოჰფინონ იგი მთელ სამყაროს?

მართლმადიდებლობა სღვთისმეტყველო ცოდნის უარმყოფელ ფანატიკოსთა სექტა ხომ არ არის, რომ ნაჭუჭში ჩაიკეტოს და ქრისტეს მოძღვრების დაუცხრომელ ქადაგებაზე უარი თქვას? ასეთ შემთხვევაში, რა პასუხს მივცემთ უფალს, რომელიც ბრძანებს, მისი ჭეშმარიტება ექადაგოს „ყოველთა წარმართთა" (მათე 28, 19), „ყოველთა დაბადებულთა" (მარკოზი 16, 15).

მართლმადიდებელთ უფალი ჰპირდება, რომ მისცემს მათ სიბრძნეს ამაოდმეტყველ მოპაექრეთა დასამარცხებლად. „მე მოგცე თქუენ პირი და სიბრძნე, რომელსა ვერ უძლონ წინააღდგომად და სიტყვის-გებად ყოველთა წინააღმდგომთა თქუენთა" (ლუკა 21,15). ქრისტეს მოძღვრების მქადაგებელმა ეს უნდა შეძლოს; ისევ უფლის სიტყვებს დავიმოწმებთ: „უკეთუ არ აღემატოს სიმართლე თქვენი უფროს მწიგნობართა და ფარისეველთა, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა" (მათე 5,20).

მართლმადიდებლობა მარტო ამ სახელის მითვისებას როდი ნიშნავს, მისი გამომხატველნი სიტყვითა და საქმით უნდა ვიყოთ; ქრისტეს ეკლე-

ინიციატივით გამართულა ქართველ და სომეხ ღვთისმეტყველთა შორის. ღვთივგანბრძნობილ მეფეს მართლმადიდებლობის ისეთი ბრწყინვალე აპოლოგია წარმოუთქვამს, რომ სომეხი სჯულისმეცნიერნი განცვიფრებულნი დარჩენილან და საპასუხოდ ვერაფერი უთქვამთ.

ეს სწორედ ის დიდებული დავით მეფეა, რომლის ანდერძსაც სქიზმატიკოსი ბერები იშველიებენ: ქართლის კათალიკოზის საქმე არ არის „მღვიმესა ზედა", ე.ი. შიომღვიმის მონასტერს ავტონომია აქვს მინიჭებული და კათალიკოსს ნება არა აქვს მის საქმეებში ჩარევისაო („დილის გაზეთი", № 94, 17 მაისი). ანდერძი კი მოიშველიეს, მაგრამ ის ველარ გაითვალისწინეს, რომ დავით მეფე შიომღვიმეს სქიზმატიკოსების საკუთრებად როდი აცხადებდა, მით უფრო იმ სქიზმატიკოსებისა, რომელთაც ეკუმენურ დიალოგებში მონაწილეობის მიღება მწვალებლობად მიუჩნევიათ და აქედან გამომდინარე, ალბათ, თავად დავით მეფესაც მწვალებელთა რიცხვს მიათვლიან სომხებთან ეკუმენური დიალოგის გამო.

ახლა, რაც შეეხება, პრესაში რიტორიკულად დასმულ კითხვას, რისთვის დაისაჯნენ „სიმართლისათვის მებრძოლი" სასულიერო პირები. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ობიექტურად განწყობილ მკითხველს, რომელიც საქმეშიც ჩახედული იქნება, არ უნდა გაუჭირდეს. მათ სასჯელი იმ ცილისმწამებლური ბრალდებისათვის მიიღეს, რომელიც მთელ ქართულ ეკლესიას დასდეს და საკითხი, რომელიც განსჯას უნდა დაქვემდებარებოდა, გათიშვის საბაბად აქციეს.

მადლობა ღმერთს, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გამართულ დიალოგებს ქართულ ეკლესიაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია, რადგან, როგორც ამაზე სამართლიანად მიუთითებს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული წერილის „სარწმუნოება სინდისის სინონიმია" (№ 119, 25 მაისი) ავტორი: იგი დღეს „ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული ეკლესიაა, რომლის არც მოძღვრებასა და არც ღვთისმსახურებას არავითარი ცვლილება არ განუცდია".

მამასადამე, ის განგაში, რომელიც მართლმადიდებლობის ვითომ დამცველებმა ატეხეს, სინამდვილეში ეკლესიაში სიმშვიდისა და ერთიანობის წინააღმდეგაა მიმართული და მშობლიური ეკლესიისა და მშობელი ხალხის შეგნებულსა თუ შეუგნებელ მტრობას წარმოადგენს.

**დავით გელაშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკა

№128. ხუთშაბათი, 5 ივნისი, 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „მარშალის გეგმის“ — 50-ე წლისთავი

დასავლეთის რიგი სახელმწიფოს ლიდერების უშუალო მონაწილეობით ნიდერლანდის დედაქალაქ ჰააგაში საზეიმო ვითარებაში აღინიშნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკელთა დახმარებით ევროპის აღორძინებისა და განვითარების პროგრამის („მარშალის გეგმა“) 50-ე წლისთავი.

ამ პროგრამის იდეა წამოაყენა ჰარვარდის უნივერსიტეტში გამოსვლისას ამერიკელმა სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწემ, არმიის გენერალმა ჯორჯ მარშალმა. მან დაამთავრა ვირჯინიის სამხედრო კოლეჯი (1901). მსახურობდა ფილიპინებზე, ევროპაში, ჩინეთში (1924-27). პირველი მსოფლიო ომის დროს ეკავა ერთ-ერთი არმიის შტაბის უფროსის და მარშალ პერშინგის პირადი თანაშემწის თანამდებობა. მუშაობდა სამხედრო აკადემიაში. 1939 წ. 1 სექტემბერს დაინიშნა გენერალური შტაბის უფროსად. ეს თანამდებობა ეკავა 1945 წლამდე, მის სახელთანაა დაკავშირებული საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემოღება და მეორე მსოფლიო ომის დროს (1939-1945) ნორმანდიის სანაპიროზე დესანტის გადასხმა. იგი მონაწილეობდა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო კონფერენციებში (თეირანი, იალტა, პოტსდამი და სხვ).

1945-47 წლებში იყო პრეზიდენტ ჰარი ტრუმენის საგანგებო დავალებათა ელჩი ჩინეთში. 1947-1949 წლებში ეკავა სახელმწიფო მდივნის პოსტი, 1950 წლის სექტემბრიდან 1951 წლის სექტემბრამდე ქვეყნის თავდაცვის მინისტრის პოსტი.

ალბერტ შვეიცერთან ერთად 1953 წლის ნოემბერში მიიღო ნობელის მშვიდობის პრემია.

„მარშალის გეგმამ“ საფუძველი ჩაუყარა ევროპის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნას, გადამწყვეტი როლი ითამაშა დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამეურნეო და პოლიტიკურ კონსოლიდაციაში.

უკვე 1947 წლის დეკემბრისათვის ევროპელთა ძალისხმევით და ამერიკელთა დახმარებით (11,4 მლრდ. დოლარი) მიღწეული იქნა „მარშალის გეგმაში“ მონაწილე ქვეყნების ომამდელი დონე, თუმცა მაინც რჩებოდა საგარეო ვაჭრობის დიდი დეფიციტი. „მარშალის გეგმით“ გამოყოფილმა მთელმა თანხამ 20 მილიარდი შეადგინა. აქედან ამერიკელთა უსასყიდლო წილი 17 მილიარდს უდრიდა, დანარჩენი მონაწილე ქვეყნების დაახლოების წილი 3-5 პროცენტს არ აღემატებოდა. ეს თანხა გამოყოფილი იყო 5 წლის ვადით, მაგრამ სინამდვილეში საკმაო გახდა 13 მილიარდი (ამჟამად 80 მილიარდი) დოლარი 3-4 წლის განმავლობაში.

„მარშალის გეგმამ“ მძლავრი იმპულსი შემატა არა მარტო თვისობრივად ახალი შიდაევროპული ინტეგრაციული პროცესების დაწყება-განვითარებას, არამედ შეუქცევად ტრანსატლანტიკურ და გლობალურ ინტეგრაციულ პროცესებს.

ბუნებრივია, „მარშალის გეგმის“ ავტორებს მხოლოდ და მხოლოდ ქველმოქმედების გრძნობები და საკუთარი ეკონომიკური ინტერესები როდი ამოქმედებდა. იგი მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო დიდი შიშით, არ მომხდარიყვნენ ევროპის დაუძლურებული ქვეყნები მზარდი კომუნისტური მოძრაობების გაელენაში, რომელსაც საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობდა.

**ირაკლი ჯაფარიძე.**

## რუსეთის ექსპანსიონიზმის წინააღმდეგ

„ნატოს გაფართოება საიმედო ფარად მოგვევლინება რუსეთის ძლიერების აღორძინების წინააღმდეგ“, — ნათქვამია აშშ კონგრესის რესპუბლიკური პოლიტიკის კომისიის მოხსენებაში, რომელიც წარმომადგენელთა პალატას გაეგზავნა.

„ალიანსის წარმატებულ გაფართოებას საფრთხეს უქმნის რუსეთის დიპლომატიის შემტევი მოქმედება და კლინტონის ადმინისტრაციის არაადეკვატური რეაქცია ამ მოქმედებაზე“, — ხაზგასმულია მოხსენებაში.

შემდეგ დოკუმენტში ნათქვამია, რომ 27 მაისს პარიზში ხელმოწერილმა ფუძემდებელმა აქტმა შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს ჩრდილოატლანტიკური კავშირის სტრუქტურას. მასში ყველაზე დიდ შეშფოთებას იწვევს დებულება ნატო-რუსეთის მუდმივი გაერთიანებული საბჭოს შექმნის შესახებ, რომელიც ნატოს საბჭოს პარალელურად იმოქმედებს.

მთლიანად რუსეთის პოზიცია ნატოს გაფართოების შესახებ მიმდინარე მოლაპარაკებაზე მოწმობს არა რუსეთის შიშს აგრესიის წინააღმდეგ, არამედ შეგნებულ მისწრაფებას, დაიკავოს გაბატონებული მდგომარეობა ყოფილი საბჭოთა ქვეყნებისა და ყოფილი ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის ქვეყნების მიმართ, აღნიშნავენ მოხსენების ავტორები და ხაზს უსვამენ, რომ უკვე აშკარად გამოჩნდა „რუსეთის ექსპანსიონიზმის აღორძინების“ ნიშნები.

რუსეთმა მიაღწია ბელორუსიის შემოერთებას; მას „სერიოზული სასაზღვრო უთანხმოებანი“ აქვს უკრაინასთან; იგი არაერთგზის და უხეშად დაემუქრებია სამ ბალტიისპირა რესპუბლიკას, ნათქვამია მოხსენებაში. გარდა ამისა, რუსეთი ინარჩუნებს მნიშვნელოვან სამხედრო კონტიგენტს ლიტვისა და პოლონეთის მოსაზღვრე კალინინგრადის ანკლავში; რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა კონტროლი დაუწესეს მოლდავეთის ნაწილს; რუსეთი ხშირად ახორციელებდა მადესტაბილიზებელ და ძირგამომთხრელ მოქმედებას საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, რომლებსაც სტრატეგიული მდებარეობა აქვთ; რუსეთმა განალაგა თავისი შეიარაღებული ძალები უკრაინის, სომხეთისა და ტაჯიკეთის ტერიტორიაზე, და ამის ანგარიშგაუწევლობა არ შეიძლება, ნათქვამია დასასრულ მოხსენებაში.

## მაიმუნის წინაპარი კაციჭამია ყოფილა

კანიბალიზმის პირველი შემთხვევები ჯერ კიდევ 800 ათასი წლის წინათ იყო ცნობილი, წერს გაზეთი „სიდნეი ჰერალდ მორნინგი“. ამას მოწმობს ესპანელ არქეოლოგთა ჯგუფის მიერ ქვეყნის ჩრდილოეთში ნაპოვნი უძველეს ადამიანთა ნაშთები. სწავლულთა აზრით, კანიბალების მსხვერპლი გამხდარა ორი ქალი და ოთხი ბავშვი, რომელთა ნეშტი იპოვეს ბიზონების, ცხენებისა და ირმების ძვლებს შორის. გარდა ამისა, ადამიანებისა და ცხოველების ნაშთების შორიახლოს არქეოლოგებმა აღმოაჩინეს წვეტიანი ქვის იარაღები, რომელთა მეშვეობით, მეცნიერთა აზრით, კანიბალები უსწორდებოდნენ თავიანთ მსხვერპლთ. არქეოლოგები დარწმუნებულები არიან, რომ ამ წინათ უცნობი ტიპის უძველეს ადამიანთა წარმომადგენლები ევროპაში აფრიკიდან მოვიდნენ და მოგვიანებით, ევოლუციის შედეგად, ნეანდერტალელები გახდნენ. ამ ტიპის უძველესთა დანარჩენმა წარმომადგენლებმა, რომლებიც აფრიკაში დარჩნენ, ევოლუცია განიცადეს და ადამიანის მსგავს მაიმუნებად იქცნენ.



## ყოფილი უსაფრთხოების შეფი თავის ყოფილ შეფს მოსდგა

კრემლი სულგანაბული მოელის რუსეთის პრეზიდენტის უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი შეფის ალექსანდრე კორჟაკოვის წიგნის „გენერლის ჩანაწერების“ გამოსვლას, წერს ბრიტანული გაზეთის „ტაიმსის“ კორესპონდენტი. „სახელგამტეხი მასალების მეფეს“, ასე უწოდებს კორჟაკოვს სტატიის ავტორი, განზრახული აქვს თავის წიგნში აღწეროს ბორის ელცინის პოლიტიკური ცხოვრების ყველაზე „სამახსოვრო“ მოვლენები. მკითხველთა განსაკუთრებულ ყურადღებას, „ტაიმსის“ კორესპონდენტის აზრით, იმსახურებს ორი კურიოზული ამბავი, რომლებიც ელცინს შეემთხვა 1994 წელს. პირველი — შენონის აეროპორტში, როდესაც რუსეთის სახელმწიფოს მეთაური ირლანდიის პრემიერ-მინისტრსა და სხვა დამხვდურ ოფიციალურ პირებს თვითმფრინავის ტრაპზე მოევლინა გახეთქილი მთვრალი. და მეორე, — ბერლინში, როდესაც აღლუმის დროს ბორის ელცინმა ყველასთვის მოულოდნელად, კორჟაკოვის თქმით, „მანჭიასავით“ დაუწყო დირიჟორობა სამხედრო ორკესტრს.

## საზღვაო ძლიერების ბურჯი — იჯარით

პოლონური ლიბერალური „გაზეტა ვიბორჩა“ აქვეყნებს მასალას, რომელიც ეძღვნება კიევში გამართულ რუსეთ-უკრაინის მოლაპარაკებას. გაზეთის აზრით, რუსებს სულ ტყუილად ეშინია იმისა, რომ უკრაინა უახლოეს მომავალში მოინდომებს ნატოს შემადგენლობაში შესვლას და, ამის თავიდან ასაცილებლად მიმართავს ყოველგვარ ღონისძიებებს ორმხრივი მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად. გაზეთის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ დღემდე უკრაინის მთელი პოლიტიკა მოწმობდა არა რაიმე სტრუქტურებში ინტეგრირების სურვილს, არამედ მხოლოდ საკუთარი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის განმტკიცების მისწრაფებას. რუსეთის ხელმძღვანელებმა ეს ვერ დაინახეს და მთელი რიგი უპატიებელი საგარეო-პოლიტიკური შეცდომები ჩაიდინეს. გაზეთი გაოცებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთმა პრაქტიკულად უკამათოდ სცნო სევასტოპოლი უკრაინის ქალაქად და დათანხმდა, აელო მისი ნაწილი იჯარით, ნაცვლად იმისა, რომ რუსეთის ქალაქად აღიარება მოეთხოვა. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ დღემდე რუსეთის ყველა მბრძანებელს, ეკატერინე მეორიდან მოყოლებული, ესმოდა, რომ რუსეთი ვერ იწოდება დიდ სახელმწიფოდ, თუ სევასტოპოლი არ ექნა, და ვერ შეასრულებს იმ როლს, რომელსაც ყოველთვის ასრულებდა გეოპოლიტიკაში.



ნატოს წევრი ქვეყნები ერთობლივ ავიასანახაობას აწყობენ უნგრეთის სამხედრო ბაზაზე. ახალგაზრდები სიამოვნებით სხდებიან თვითმფრინავში და ათვალიერებენ მის მოწყობილობას.

## ალჯა ადრიატიკის სანაპიროზე მოიხდის სასჯელს, თან კოოპერატივში იმუშავებს

თურქმა ტერორისტმა მეჰმეტ ალი ალჯამ, რომელიც სამუდამო პატიმრობას იხდის 1981 წლის 13 მაისს რომის პაპზე იოანე პავლე II-ზე მკვლელობის მიზნით თავდასხმისათვის, ხელისუფალთ მიმართა თხოვნით, შეუმსუბუქონ სასჯელის მოხდის პირობები. როგორც იტალიის საინფორმაციო სააგენტო ანსა იუწყება, ალჯას სურს, რომ მას ნება დართონ საპატიმროში იყოს მხოლოდ ღამით. ტერორისტის ადვოკატს მიაჩნია, რომ მისი თხოვნა შეიძლება დააკმაყოფილონ იმ შემთხვევაში, თუ ალჯა კარგად მოიქცევა და იმოვის სამუშაოს. ალჯა რამდენიმე ვარიანტს განიხილავს. და ყველაზე შესაძლებლად მიიჩნევს იმას, რომ ალბათ, იმუშავებს ქალაქ ანკონის კოოპერატივში ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე.

## ზელანდიიდან ევროპაში — 11 წუთში

დანიის დედოფალმა მარგრეტე მეორემ კვირას გახსნა პირველი გვირაბი, რომელიც ქვეყნის დედაქალაქ კოპენჰაგენს აკავშირებს კონტინენტთან, იუწყება ასოშიეიტედ პრესი. ახალ გვირაბს მატარებელი გადის 11 წუთში. ავტომობილების მოძრაობისათვის გვირაბი გაისად გაიხსნება. პროექტის ღირებულებამ შეადგინა 6 მილიარდ 300 მილიონი დოლარი. დღემდე მგზავრები კონტინენტთან დასაკავშირებლად სარგებლობდნენ საბორნე გადასასვლელით სტორებელტის ყურეზე, რომელიც ერთმანეთისგან ჰყოფს ზელანდიის კუნძულს, სადაც კოპენჰაგენი მდებარეობს, და იუტლანდიის ნახევარკუნძულს. ბორნის გადასვლას 50 წუთი სჭირდებოდა.

## განურჩევლად ერისა, სქესისა და ზნეობისა...

კანადის „გლოუბ ენდ მეილი“ სტატიას უძღვნის შეერთებულ შტატებში მიმდინარე პრეზიდენტ ბილ კლინტონისა და პოლა ჯოუნსის საქმის სასამართლო გარჩევას. ბევრ პრეზიდენტობის კანდიდატს ამერიკის სახელმწიფოს მეთაურად გახდომაში ხელს უშლიდა საზოგადოებაში გაბატონებული სხვადასხვაგვარი ცრურწმენები. ბევრი კი პრეზიდენტი გახდა ამ ცრურწმენების საწინააღმდეგოდ და მიუხედავად. მაგალითად, ჯონ კენედიმ დაამტკიცა, რომ კათოლიკეც შეიძლება გახდეს აშშ პრეზიდენტი. შესაძლოა, თვით ბილ კლინტონმა არცკი იცოდეს, რომ იგი ახალ ეთიკურ კლიმატს ქმნის ამერიკის საზოგადოებაში. ამჟამად, „გლოუბ ენდ მეილის“ აზრით, ვერც სქესი, ვერც კანის ფერი, ვერც ეროვნება, და ვერც სექსუალური ორიენტაცია გახდება იმის მიზეზი, რომ კაცმა ვერ იყაროს კენჭი შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე. ბილ კლინტონის მაგალითი ადასტურებს, რომ პოლიტიკოსის პირადი მორალური თვისებები უკვე ველარ ახდენს უწინდებურად ძლიერ გავლენას ამერიკელთა არჩევანზე. ამომრჩევლები მზად არიან შეურიგდნენ თავიანთი პრეზიდენტის არცთუ კრისტალურად სპეტაკ პირად ცხოვრებას, მიაჩნია „გლოუბ ენდ მეილის“. ახლა ამერიკელებისათვის პრეზიდენტის არჩევისას პირადი მორალური თვისებები არის მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორი ინტელექტთან, წარმოსახვასთან, კომპეტენციასთან და ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ერთად.

## დაინუნეს... გონებრივი უპირატესობის გამო

46 წლის ამერიკელმა რობერტ ჯორდანმა სასამართლოში უჩივლა ქალაქ ნიუ-ლონდონის ხელისუფალთ. მას მიაჩნია, რომ პოლიციაში არ მიიღეს ინტელექტუალური განვითარების მეტისმეტად მაღალი „აი-ქიუს“ კოეფიციენტის გამო, იუწყება ასოშიეიტედ პრესი. ჯორდანის თქმით, პოლიციაში მისაღები გასაუბრების დროს მას განუცხადეს შემდეგი: „ჩვენ არ აგვყავს ჩვენს ქალაქში ასეთი მაღალი „აი-ქიუს“ მქონე ადამიანები პოლიციელებთან სამუშაოდ“. ჯორდანს მიაჩნია, რომ ნიუ-ლონდონის ხელისუფალთ ბრალი მიუძღვით მის ინტელექტუალურ დისკრიმინაციასა და კონსტიტუციური უფლებების დარღვევაში.

სასამართლოს ჯერ არ გამოუტანია საბოლოო გადაწყვეტილება, მაგრამ, როგორც მოსმენის დროს აღინიშნა, რობერტ ჯორდანის სამუშაოდ მიღებაზე უარის თქმა „უცნაური და უსაფუძვლოა“.

## პირველად 1000 წლის შემდეგ

რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურის იოანე პავლე II-ისა და მოსკოვის და სრულიად რუსეთის პატრიარქის ალექსი II-ის ისტორიული შეხვედრა უნდა გაიმართოს მიმდინარე წლის ივნისში ავსტრიაში. ღპა სააგენტოს ინფორმაციით, ასეთი მორიგების მიღწევა აუწყა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს აღმოსავლეთის ეკლესიათა კონგრეგაციის მეთაურმა კარდინალმა აქილ სიველსტრინიმ. სააგენტო აღნიშნავს, რომ ორი კონფესიის მეთაურთა შეხვედრა ნამდვილი მოვლენა გახდება მთელი მსოფლიოს საეკლესიო ცხოვრებაში, ვინაიდან ამგვარი შეხვედრები არ ყოფილა 1054 წლიდან, მას შემდეგ, რაც კათოლიკური ეკლესია დამოუკიდებელ რელიგიურ მიმართულებად გამოიყო. სააგენტო აგრეთვე იუწყება, რომ მომავალი შეხვედრის დღის წესრიგი ჯერჯერობით არ გამოუცხადებიათ.



## „ფერარები“ რომის ქუჩებში გამოვიდნენ

იტალიის ავტოსამშენებლო ფირმა „ფერარიმ“ წარსული წლების მოდელების აღლუმით აღნიშნა ავტორბოლაში თავისი პირველი გამარჯვების 50 წლისთავი. ძველი, მაგრამ კარგად შენახული „ფერარები“ ამაყად დაჰქროდნენ რომის ქუჩებში, წრე დაარტყეს კოლიზეუმის ირგვლივ (სურათზე) მივიდნენ იტალიის დედაქალაქის სხვა სამახსოვრო ადგილებშიც, რათა შეეხსენებინათ რომაელებისა და მრავალრიცხოვანი ტურისტებისათვის იტალიური ავტორბოლის ღირსებები.

## რაც მეტია პოლიციელი, მით ნაკლებია დამნაშავე

შეერთებული შტატების გამოძიების ბიურომ გამოაქვეყნა მონაცემები 1996 წელს ქვეყანაში დამნაშავეობის მდგომარეობის შესახებ, იუწყება როიტერი. სააგენტო აღნიშნავს, რომ მეხუთე წელია ზედიზედ აშშ-ში შეიმჩნევა მკვლელობებისა და მძიმე დანაშაულობების კლების სტაბილური ტენდენცია. 1995 წელთან შედარებით, მკვლელობათა რაოდენობა შემცირდა 11 პროცენტით. აღნიშნული მაჩვენებლის ასეთი მკვეთრი კლება 1961 წლიდან არ ყოფილა. მნიშვნელოვნად იკლო მკვლელობათა რიცხვმა ამერიკის უდიდეს ქალაქებში, ქვეყნის დედაქალაქ ვაშინგტონის გარდა. აშშ პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა გააკეთა სპეციალური განცხადება, რომელშიც აღნიშნა, რომ კრიმინოგენული სიტუაციის გაუმჯობესება შედეგად მოჰყვა იმ გეგმის შესრულებას, ადმინისტრაციამ რომ შეიმუშავა და მიიღო. ეს გეგმა, კერძოდ, ითვალისწინებს პოლიციელთა რიცხვის ზრდას, სასჯელისა და ცეცხლსასროლი იარაღის ვაჭრობის წესების გამკაცრებას.

## ტიმოთი მაკვეი დამნაშავეა 168 კაცის დაღუპვაში

დამნაშავეა — ასეთი ვერდიქტი გამოუტანა ტიმოთი მაკვეის ნაფიც მსაჯულთა ჟიურიმ აქ კოლორადოს შტატის ქალაქ დენვერში მიმდინარე სასამართლოზე. ჟიურის წევრებს ოთხი დღე-ღამე დასჭირდათ მსჯელობისათვის, რათა მაკვეი ეცნოთ დამნაშავედ შეერთებული შტატების ისტორიაში უსასტიკესი ტერორისტული აქტის ჩადენაში — ოკლაჰომა-სიტის ფედერალური შენობის აფეთქებაში.

ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი გამარჯვებაა ბრალდებისა, რომელმაც შეძლო დაემტკიცებინა, რომ სწორედ 29 წლის ტიმოთი მაკვეიმ, რომელსაც სძულს თავისი მთავრობა და შეპყრობილია იდეით, ტერორისტული აქტის მეშვეობით დაიწყოს ქვეყანაში რევოლუცია, ჩაიდინა საზარელი დანაშაული, რისი მსხვერპლიც გახდნენ უდანაშაულო მშვიდობიანი ადამიანები. 1995 წლის 19 აპრილის გაზაფხულის დილას ოკლაჰომა-სიტის ფედერალური შენობის აფეთქების შედეგად დაიღუპა 168 კაცი, რომელთაგან 19 ბავშვი იყო. ისინი მშობლებმა მიიყვანეს ამ შენობაში მოთავსებულ საბავშვო ბაღში. გარდა ამისა, ასობით ადამიანს ფიზიკური და მორალური ტრავმა მიადგა. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო აღნიშნავს, მაკვეის ქმედებამ ამერიკა გამოაღვიძა და აიძულა შეეგნო ის საშიშროება, რომელსაც შეიცავს ამერიკის მიწაზე შობილი ტერორიზმი.

ოთხშაბათს, 4 ივნისს, 1995 წლის 19 აპრილს ჩადენილი სისხლიანი დანაშაულისათვის ტიმოთი მაკვეის — სპარსეთის ყურის ომის დამსახურებულ ვეტერანს, სიკვდილი მიესაჯა.



ასეთი სცენები ჩვეულებრივი ამბავი გახდა რუსეთის ქუჩებში.

## პაპი პოლონელებს აფრთხილებს

გაზეთი „ჯერმანი ლაივი“ აქვეყნებს მასალას, რომელიც ეძღვნება რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურის იოანე პავლე II-ის ვიზიტს პოლონეთში. „ლაივი“ იუწყება, რომ თავისი ვიზიტის დროს, პაპი, რომელიც წინათ იშვიათად ერეოდა პოლიტიკაში, გამოვიდა მწვავე კრიტიკით და გააფრთხილა პოლონელები იმის თაობაზე, თუ რაოდენ ნეგატიურ გავლენას მოახდენს მათზე კაპიტალისტური საზოგადოების ფაქტორები. კერძოდ, გაზეთი აღნიშნავს, რომ რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაური უარყოფითად მოეკიდა პოლონეთის ახალ ხელისუფალთა ტენდენციას, რომლებიც პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებისას პრაქტიკულად ყურს აღარ უგდებენ ეკლესიას და მთლიანად აჰყვნენ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების გავლენას. გაზეთი აგრეთვე ხაზს უსვამს, რომ იოანე პავლე II-ის აზრით, ასეთი პოლიტიკის შედეგად, ქვეყნის მოქალაქენი, რომლებიც სულ უფრო ხშირად განიცდიან დასავლეთის გამრყვნელ ზემოქმედებას, თავიანთი ინსტინქტების მონები გახდებიან, შეითვისებენ ცხოვრებისეულ ფსევდოღირებულებებს და მათი სალოცავი იქნება მხოლოდ და მხოლოდ „ფული, და არა ღმერთი“.



## შვარცენეგერი — კუნთაობის მსხვერპლი

უძლეველი კინოგმირის, სუპერმენისა და სუპერვარსკვლავის არნოლდ შვარცენეგერის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნა. ამ თვენახევრის წინათ მას გაუკეთეს გულის ოპერაცია, ურომლისოდაც იგი დაიღუპებოდა. ახლა კი, ჩააყენეს რიგში და დონორის ორგანოს ელოდება. საქმე ის არის, რომ თანდაყოლილი გულის უკმარისობის მიუხედავად, შვარცენეგერი სისტემატურად იღებდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის დამღუპველ სტეროიდებს — სპეციალურ სუბსტანციებს, რომლებიც ხელს უწყობენ კუნთოვანი მასის ზრდა-განვითარებას. ამის წყალობით იგი ზედიზედ ხუთჯერ გახდა „მისტერ მსოფლიო“. მაგრამ საარაკო კუნთები ძვირად დაუჯდა... გულის ოპერაცია არ აღმოჩნდა საკმარისი. ახლა მას მოელის მეორე: დონორის ღვიძლის გადანერგვის ოპერაცია! გარდა ამისა, ექიმებმა შვარცენეგერს სასტიკად აუკრძალეს მისი კუნთებიდან ერთ-ერთის ხმარება — თუ სიცოცხლე უნდა, ქალების კერპი ნახევარ წელიწადს ქალს არ უნდა გაეკაროს.

## ნუთუ წინასწარმეტყველნი პოლიტიკურ მოვლენებსაც სჭვრეტდნენ?

ბიბლიის ტექსტი შეიცავს ფარულ კოდს, რომლითაც დაშიფრულია ყველა იმ უმნიშვნელოვანესი მოვლენების წინასწარმეტყველება, კაცობრიობას რომ მოელის მისი განვითარების პროცესში — გაზეთ „ბილდის“ ინფორმაციით, ასეთი დასკვნა გამოიტანა მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა ინგლისელმა ილიახუ რიფსმა. გაზეთი აგრეთვე იუწყება: მკვლევარმა შედეგები მიიღო მას შემდეგ, რაც ბიბლიის ტექსტი სპეციალური კომპიუტერული პროგრამით დაამუშავა. გაზეთი აგრეთვე აღნიშნავს, რომ მეცნიერის მტკიცებით, ბიბლიაში ზუსტად არის ნაწინასწარმეტყველები ისეთი მოვლენები, როგორიცაა ისრაელის პრემიერ-მინისტრის იცხაკ რაბინის მკვლელობა, გერმანიაში ადოლფ ჰიტლერის გახელისუფლება, საბჭოთა კავშირის დაშლა და ბევრი სხვა რამ. ამჟამად, იუწყება გაზეთი, ილიახუ მუშაობს იმ ინფორმაციის გასაშიფრად, რომელიც ასახავს მოვლენებს, ჯერ კიდევ წინ რომ უძევს კაცობრიობას.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების, საინფორმაციო ბიურო „მედიანას“ და „პლანეტა-ფორტეს“ მასალების მიხედვით

უძღვება
**არჩილ მანჯგალაძე.**

GCF

№8

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთობლივი ყოველთვიური გამოცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პულა-97

# პირველად - ევროპის ჩემპიონები

**როგორც ცნობილია, მაისის პირველ ნახევარში ხორვატიის ქ. პულაში გაიმართა ევროპის ჩემპიონატი მოჭადრაკე ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის. ქალთა ტურნირზე ჩემპიონის თასი და ოქროს მედლები საქართველოს ნაკრებმა მოიპოვა, ხოლო ვაჟთა ასპარეზობაში ჩვენმა გუნდმა მე-8 ადგილი დაიკავა.**

**ხორვატიაში იმყოფებოდა საქართველოს ტელევიზიის სპეციალური კორესპონდენტი გიორგი ფრანგიშვილი, რომელმაც ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ რამდენიმე შეკითხვით მიმართა ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელს, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტს ვაჟა შუღლაძეს.**

*— ქართველ დიდოსტატ ქალთა გამარჯვებებს უკვე შევეჩვიეთ და სავსებით ლოგიკურიც იყო მათ მიერ პირველობის მოპოვება. რაც შეეხება ვაჟთა ნაკრებს, ისინიც სტაბილურად, თითქმის ყველა ჩემპიონატში მე-8 ადგილს იკავებენ. თქვენ როგორ აფასებთ ჩვენი მოჭადრაკეების შედეგებს?*

— ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს მოჭადრაკე ქალთა და ვაჟთა გუნდების გამოსვლა გახლდათ ქართული საჭადრაკო სკოლის კიდევ ერთი ნათელი გამარჯვება. 1992 წელს, ქ. დებრეცენში, როდესაც ჩვენმა მოჭადრაკეებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა ევროპის ჩემპიონატში, საქართველოს ქალთა გუნდმა II ადგილი დაიკავა, ვაჟებმა — IX. ამდენად, ჩვენმა ქალთა გუნდმა კონტინენტის ჩემპიონატის ოქროს მედლები და ეს მშვენიერი თასი პირველად მოიგეს. მიმაჩნია, რომ ეს არის მნიშვნელოვანი გამარჯვება.

გარდა ამისა, საქართველოს სპორტული დელეგაცია ხორვატიიდან დაბრუნდა ოთხი მედლით, — 3 ოქროს და 1 ვერცხლის მედლით. ერთი გუნდური ოქროს მედალი მოიპოვეს ქალებმა; მ. ჩიბურდანიძემ და ნ. იოსელიანმა ოქროს მედლები დაისაკუთრეს I და II დაფაზე საუკეთესო შედეგებისათვის და ვერცხლის მედალი მოიპოვა თავის დაფაზე გიგა ყაჭეიშვილმა, რომელიც შესანიშნავად გამოვიდა ევროპის ჩემპიონატზე.აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა პირველ დაფაზე ბრინჯაოს მედალი მიიღო ქეთევან კახიანმა (გერმანია), ხოლო ვაჟების მეორე დაფაზე კი ვერცხლი ერგო ი. ეფიმოვს (იტალია).

ვაჟები დებრეცენში IX ადგილზე იყვნენ, ამჯერად კი VIII ადგილი დაიკავეს. თითქოს დაგვებედა მე-8 ადგილი, მაგრამ მათი ეს შედეგი წარმატებად მიმაჩნია, რადგან მჯერა, რომ ვაჟთა ნაკრები იმდენად კარგად იყო მომზადებული, რომ ჩვენ ადგილს დაეიკავებდით პირველ ხუთეულში, რომ არა ის ტრაგიკული შემთხვევა, რომელიც მოულოდნელად დაგვატყდა თავს. ნიუ-იორკიდან სპეციალურად ამ ჩემპიონატისათვის გამოვიძახეთ ჩვენი დიდოსტატი — გ. ზაიჩიკი. იგი ჩამოვიდა ქ. პულაში. პირველ დღეს დავასვენეთ აკლიმატიზაციის საშუალება რომ მიგვეცა. ვფიქრობდით, რომ II-III ტურიდან ვენადიც ჩაერთვებოდა ტურნირში. მაგრამ ამ დროს მივიღეთ ინფორმაცია თბილისიდან, რომ მას დედა გარდაეცვალა, და ჩვენი ერთ-ერთი წამყვანი დიდოსტატიც გამოვამგზავრეთ თბილისში. ისე, რომ მას ერთი პარტიაც არ უთამაშია. ფაქტობრივად, ჩვენი ვაჟთა ნაკრები დარჩა უმძიმეს მდგომარეობაში შემცვლელის გარეშე.

ამ ჩემპიონატში 34 გუნდი მონაწილეობდა და არც ერთს არ ჰქონია მსგავსი პრობლემა. დაერჩით რეზერვის გარეშე და ვინაიდან ყველამ წინასწარ იცოდა ჩვენი შემადგენლობა, მათთვის პრობლემა არ იყო ჩვენს წინააღმდეგ მომზადება. და ეს მაშინ, როდესაც ყველა გუნდი თავისი რეზერვის გამოყენებით სიურპრიზს ამზადებდა. თუ როგორ შემადგენლობას დააყენებდა მეტოქე, ეს ირკვეოდა მატჩების დაწყებამდე ორი საათით ადრე. ასე რომ, ერთადერთი ჩვენი გუნდი იყო წინასწარ „გაშიფრული“.

მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ ჩვენმა ვაჟებმა ძალიან სერიოზულად იბრძოლეს და ეს VIII ადგილი რა თქმა უნდა, თავისთავად არ მოსულა. გია გიორგაძემ მითხრა — მე რომ ერთი დღე დამესვენა, სულ სხვანაირად ვითამაშებდიო. სამწუხაროდ, დასვენების საშუალება საქართველოს ვაჟთა ნაკრების არც ერთ წევრს არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ღირსეულად იასპარეზა ჩვენმა ლიდერმა ზ. აზმაიფარაშვილმა, რომელმაც 5,5 ქულა მოაგროვა და I დაფაზე წაუგებლად შესანიშნავი შედეგი აჩვენა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ამჯერად გუნდი გადავახალისეთ და ავიყვანეთ ახალგაზრდა საერთაშორისო ოსტატი 19 წლის გ. ყაჭეიშვილი და არც შევმცდარვართ — მან ყველაზე მეტი ქულა მოაგროვა. შეასრულა დიდოსტატის ნორმა და, როგორც ვთქვი, თავის დაფაზე ვერცხლის მედალი აიღო. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან მომავალი საჭადრაკო ოლიმპიადისათვის უკვე გვყავს ჩინებული მოჭადრაკე, რომელიც ღირსეულად დაიმკვიდრებს გუნდში ადგილს.

ყველაფერი ეს ერთად აღებული გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ჩვენი ქალთა და ვაჟთა გუნდის ერთობლივი შედეგები მნიშვნელოვან წარმატებად მივიჩნიოთ. ვიმეორებ ვაჟებში ჩვენ მეტის მიღწევა გვინდოდა და მივაღწევდით კიდეც, რომ არა ის ტრაგიკული შემთხვევა.

*— რამდენადაც ვიცი, წლეულს კიდევ რამდენიმე ჩემპიონატი გველის. საინტერესოა ვინ იასპარეზებს ამ ტურნირებში?*

— წლევანდელი სეზონი მეტად დატვირთულია ქართული ჭადრაკისათვის. აგვისტოში 26 წლამდე ასაკის ვაჟთა მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში გამოსვლა მოგვიწევს. შეგახსენებთ, რომ ჩვენმა გუნდმა ორი წლის წინ, ბრაზილიაში მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. სხვათა შორის, როგორც სპორტული ჟურნალისტები აღნიშნავენ, ამ ვაჟთა ნაკრებმა საერთოდ ქართულ სპორტში პირველმა დაისაკუთრა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონობა ჩვენი ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.

დასასრული მე-6 გვ.





| ქალები. საქართველო. | სლოვაკეთი | საბერძნეთი | ინგლისი | უნგრეთი | სომხეთი | პოლონეთი | რუსეთი | რუმინეთი | ლიტვა | ქ. | თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიბურდანიძე | 1 | 1 | 1 | – | 1/2 | 1 | 1/2 | – | – | 5 | 6 |
| 2. იოსელიანი | 1 | – | 1 | 1 | 1 | – | 1/2 | 1/2 | 1/2 | 5,5 | 7 |
| 3. არახამია | – | 1 | – | 0 | – | 1/2 | – | 1/2 | 1/2 | 2,5 | 5 |
| | 2 | 2 | 2 | 1 | 1,5 | 1,5 | 1 | 1 | 1 | 13 | 18 |

| ვაჟები. საქართველო. | ხორვატია-2 | გერმანია | უნგრეთი | რუსეთი | საბერძნეთი | ბოსნია | ესტონეთი | სომხეთი | ჰოლანდია | ქ. | თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აზმაიფარაშვილი | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1 | 1/2 | 1 | 1/2 | 1/2 | 5,5 | 9 |
| 2. გიორგაძე | 1/2 | 1/2 | 1/2 | 0 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 4 | 9 |
| 3. სტურუა | 1 | 1/2 | 1/2 | 0 | 1/2 | 0 | 1 | 1/2 | 1/2 | 4,5 | 9 |
| 4. ზაიჩიკი | – | – | – | – | – | – | – | – | – | 0 | 0 |
| 5. ყაჭეიშვილი | 1 | 1/2 | 1 | 1/2 | 1 | 1 | 1/2 | 0 | 1/2 | 6 | 9 |
| | 3 | 2 | 2,5 | 1 | 3 | 2 | 3 | 1,5 | 2 | 20 | 36 |

## ინფორმაცია

# ჩემპიონატიდან — ტურნირზე

ევროპის გუნდური ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ხორვატიის ქალაქ პულაში ჩატარდა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 152 მოჭადრაკე მონაწილეობდა. შესანიშნავად ითამაშა დიდოსტატმა ზურაბ სტურუამ, რომელმაც 9 თამაშიდან 7 ქულა მოაგროვა და ტურნირში I ადგილი დაიკავა. ამდენივე ქულით მომდევნო ადგილები კოეფიციენტების მიხედვით დაიკავეს დიდოსტატებმა ლუტცმა (გერმანია), დელჩევმა (ბულგარეთი), საქსმა (უნგრეთი) და ელვესტმა (ესტონეთი). 6,5 ქულით მე-6 და მე-7 ადგილებზე გავიდნენ დიდოსტატი გია გიორგაძე და საერთაშორისო ოსტატი გიორგი ყაჭეიშვილი. დიდოსტატმა ნინო გურიელმა 5,5 ქულა მოაგროვა და ქალთა მორის დაწესებული II პრიზი მიიღო. მას მხოლოდ დიდოსტატმა ალისა გალიამოვამ გაასწრო.

გთავაზობთ გამარჯვებულის პარტიას კომენტარების გარეშე.

### ზურაბ სტურუა - ბოგდან ლალიჩი

ქვეინდური დაცვა

1. d4 მf6 2. c4 g6 3. g3 c5 4. მf3 კg7 5. კg2 ლa5 6. მc3 მe4 7. ლd3 cd 8. მd4 მc5 9. ლd1 მc6 10. e3 მe6 11. 0-0 მcd4 12. ed მd4 13. კh6 კh6 14. ლd4 0-0 15. მd5 კg7 16. მe7 მფh8 17. ლd6 ლb6 18. c5 ლb2 19. ეfe1 ლf6 20. ეac1 ლd6 21. cd კb2 22. ეc2 კf6 23. მd5 კd4 24. ეec1 b6 25. მb6 ab 26. კa8 კa6 27. კd5 კc5 28. ეc5 bc 29. ეc5 მფg7 30. ეc7 კb5 31. ეb7 კa4 32. ეa7 კc6 33. კc6 dc 34. ეc7 მფf6 35. ეc6 მფe6 36. ეa6 ეb8 37. ეa7 ეb8 38. d7 მფd6 39. ეa3 მფc5 40.

## ვულოცავთ

### საიუბილეო თარიღები

დაბადების საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ ოსტატები მანანა ტოგონიძე და მზია ლოლიშვილი.

### კიდევაც დაიზრდებიან...

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია და „ლაზიერის“ რედკოლეგია ვაჟიშვილის დაბადებას ულოცავს დიდოსტატ ლაშა ჯანჯღავას და ნანა დანელიას.

## პულა-97

# პირველად - ევროპის .ჩემპიონები

ამჯერად ჩვენ ეს ტიტული უნდა დავიცვათ. რა თქმა უნდა, გუნდი გადახალისდა, მოვიდა ახალი თაობა. პირველ დაფაზე ითამაშებს გიორგი ყაჭეიშვილი, მასთან ერთად იასპარეზებენ ალექსანდრე დგებუაძე, რომან სიჭინავა, გიორგი ბახტაძე... და ჩვენც ისევ პრეტენზია გვაქვს მაღალი ადგილის.

ვფიქრობ, ეს ინფორმაციაც დააინტერესებთ ჭადრაკის თაყვანისმცემლებს. მოხდა ერთი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი. ქალთა ჭადრაკი წლების მანძილზე იბრძოდა თავის ავტორიტეტისათვის, რომ ვაჟთა ჭადრაკის გვერდით ყოფილიყო აღიარებული. და აი წლეულს, ოქტომბერში, შვეიცარიაში მსოფლიოს ვაჟთა გუნდურ ჩემპიონატში, სადაც მსოფლიოს 8 საუკეთესო გუნდი იასპარეზებს, მე-9 დაემატება მასპინძელთა ნაკრები და მე-10, ფიდეს გადაწყვეტილებით, მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადების სამგზის ჩემპიონი საქართველოს ქალთა გუნდი. ამით შეიქმნება პრეცედენტი და მომავალში, საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული ქალთა ნაკრები უკვე სისტემატურად დაიშვება მსგავს ჩემპიონატებში.

ჩვენ სერიოზულად ვფიქრობთ მსოფლიოს ამ ჩემპიონატისათვის ნაკრები გუნდის დაკომპლექტებაზე. იმედი გვაქვს, რომ ამ გამორჩეულ ჩემპიონატზე საქართველოს ქალთა გუნდი ღირსეულად გამოვა.

გარდა ამისა, ივლისში გაიმართება 20 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატი. იქ ჩვენ ვაგზავნით გ. ყაჭეიშვილს ვაჟებში, გოგონებში კი – მ. ლომინეიშვილს და დ. დარჩიას. ვფიქრობთ, რომ აქ სერიოზულად უნდა გაიჟღეროს საქართველოს სახელმა. მ. ლომინეიშვილი, ჩვენის აზრით, უმედლოდ არ უნდა დაბრუნდეს. ანალოგიურ პროგრამას ვუსახავთ გ. ყაჭეიშვილს, რაც (თუკი ეს მოხდა) ქართული ვაჟთა ჭადრაკის ისტორიაში პირველი შემთხვევა იქნება.

ჩატარდება ასევე ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები სხვადასხვა ასაკის მოჭადრაკეებს შორის. ასე, რომ ჩვენი ფედერაცია ერთი წუთითაც არ ანელებს ზრუნვას ახალი ძლიერი მოჭადრაკეების აღსაზრდელად.

***— ქალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონატის პრეტენდენტთა ტურნირი შარშან უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ იგი გადაიდო. ახლა რა ბედი ელის მას.***

— მსოფლიო ჩემპიონატი ვაჟთა შორის 16 დეკემბერს დაიწყება, ე. წ. კ. ილუმჟინოვის მოდელით – 5 მილიონი დოლარის საპრიზო ფონდით და 100 საუკეთესო დიდოსტატის მონაწილეობით. მომავალი წლის იანვარში კი გამოცხადდება მსოფლიოს მორიგი ჩემპიონი.

ამ ტურნირში იასპარეზებს ორი ქართველი დიდოსტატი – ზურაბ აზმაიფარაშვილი და გია გიორგაძე.

რაც შეეხება პრეტენდენტ ქალთა ტურნირს, წლეულს იგი დაგეგმილია სექტემბრისათვის. აქ ითამაშებს მსოფლიოს 10 საუკეთესო დიდოსტატი. თავად განსაჯეთ, ამ ათეულში ოთხი ქართველი მოჭადრაკეა: მ. ჩიბურდანიძე, ნ. იოსელიანი და ქ. არახამია, რომლებიც საქართველოს ღირსებას დაიცავენ; ქ. კახიანი კი გერმანიის სახელით იასპარეზებს.

***— რადგან ათიდან თითქმის ნახევარი ქართველია, ეგებ არის საშუალება საქართველოში ჩავატაროთ ეს ტურნირი?***

— სავსებით ლოგიკურია თქვენი აზრი. მსოფლიოც სწორად გაიგებს და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასაც, ძალიან უნდოდა ამ ტურნირის გამართვა, მაგრამ სამწუხაროდ, როგორც გვითხრეს სპორტის დეპარტამენტში საჭირო სახსრები ვერ გამოინახა. მე კი მიმაჩნია, რომ ეს ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხია და კარგი იქნება, თუ კიდევ ერთხელ გაადაისინჯება შესაძლებლობა, გამოინახება რეზერვები.

თითქმის 30 წელი ვფლობდით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს და ახლა რა საქართველომ ჩაიქნია ხელი, არ ვფიქრობთ ამ ტიტულის დაბრუნებაზე? ამის შანსი ჯერ კიდევ არსებობს და იგი უნდა გამოვიყენოთ.

***— რამდენიმე თვის წინ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ განიხილა ნონა გაფრინდაშვილის სახელობის გარდამავალი თასის დაწესების საკითხი. რა ბედი ეწია ამ პროექტს?***

— ჩვენ გვინდა დავაწესოთ ნ. გაფრინდაშვილის სახელობის საერთაშორისო გარდამავალი თასი. აგვისტო-სექტემბერში გაიმართება ფიდეს მსოფლიო კონგრესი და თუ იგი დაამტკიცებს ჩვენს ინიციატივას, რისი დიდი იმედი გვაქვს, ეს იქნება პირველი მსოფლიო მნიშვნელობის თასი, რომელსაც საქართველო დააწესებს. ვფიქრობთ, ქალბატონ ნონას სახელობის თასისათვის ბრძოლა კარგი სტიმული იქნება ქალთა ჭადრაკის განვითარებისათვის მთელს მსოფლიოში.

დასასრული.
დასაწყისი იხ. მე-5 გვ.





## ციფრების ენით

**ქალთა ტურნირში მონაწილეობდა 30 გუნდი. ვაჟთა ტურნირში კი 34 გუნდი. გთავაზობთ ათი საუკეთესო გუნდის შედეგს. მეორე სვეტში ნაჩვენებია ევროპის წინა ჩემპიონატში (დებრეცენი, 1992 წ) ამ გუნდების მიერ მოგროვილი ქულები და დაკავებული ადგილი.**

**ქალები**

| | პულა 1997 წ. | დებრეცენი 1992 წ.1. |
|---|---|---|
| 1. საქართველო | 13 | 13 (II) |
| 2. რუმინეთი | 12 | 10,5 (VIII) |
| 3. ინგლისი | 12 | 9,5 (XVII) |
| 4. რუსეთი | 11,5 | 9,5 (XVII) |
| 5. სომხეთი | 11 | 9 (XIX) |
| 6. უნგრეთი | 10,5 | 10 (XII) |
| 7. ლიტვა | 10,5 | 8 (XXVII) |
| 8. ბოსნია-ჰერცოგოვინა | 10 | 9,5 (XIV) |
| 9. გერმანია | 10 | 11 (XVI) |
| 10. პოლონეთი | 10 | 11 (IV) |

**ვაჟები**

| | პულა 1997 წ. | დებრეცენი 1992 წ. |
|---|---|---|
| 1. ინგლისი | 22,5 | 21,5 (III) |
| 2. რუსეთი | 22,5 | 25 (I) |
| 3. სომხეთი | 22 | 18 (XIX) |
| 4. უნგრეთი | 21,5 | 19,5 (XI) |
| 5. გერმანია | 21,5 | 20,5 (VIII) |
| 6. ისრაელი | 21 | 21 (IV) |
| 7. ხორვატია | 20,5 | 20,5 (VII) |
| 8. საქართველო | 20 | 20 (IX) |
| 9. ბელორუსია | 19,5 | 17,5 (XXIV) |
| 10. ბოსნია-ჰერცოგოვინა | 19,5 | 19,5 (X). |

# ასე თამაშობდნენ

**ჩიბურდანიძე – ბრუსტმანი**
**მეფის ინდური დაცვა**

1. c4 მf6 2. მc3 g6 3. e4 d6 4. g3 კg7 5. კg2 e5 6. მge2 c5 7. d3 კe6 8. 0-0 ლd7 9. f4 კh3 10. f5 კg4 11. კg5 gf 12. h3 კe2 13. ლe2 მc6 14. ef მd4 15. ლd1 0-0-0 16. კf6 კf6 17. მd5 კg5 18. h4 კh6 19. მფh2 მფb8 20. ეb1 მ c6 21. a3 ე df8 22. f6 ეfg8 23. კe4 ლg4 24. ლe1 მd4 25. b4 b6 26. ეb2 cb 27. ab b5 28. cb ეc8 29. ლf2 ეc1 30. ეc1 კc1 31. ეa2 ეg8 32. მe7 ე d8 33. მc6 1:0.

**იოსელიანი – პოკორნა**
**რეტის დებიუტი**

1. მf3 d5 2. g3 e6 3. კg2 c5 4. 0-0 მf6 5. d3 მc6 6. მbd2 კe7 7. e4 de 8.de 0-0 9. c3 ლc7 10. ეe1 ეd8 11. ლc2 b6 12. მc4 კa6 13. კf1 კb7 14. კf4 ლc8 15. e5 მd5 16. კg5 h6 17. კe7 მce7 18. მd6 ლc7 19. მb7 ლb7 20. ლe4 ლc7 21. მh4 g6 22. a3 მf5 23. მf3 მde7 24. g4 მg7 25. კd3 ეac8 26. ეad1 ეd7 27. ლf4 ეcd8 28. ლh6 მef5 29. gf მf5 30. კf5 ეd1 31. კc2 ეe1 32. მe1 ლe5 33. მფf1 ლd5 34. ლf4 ლh1 35. მფe2 ლc6 36. მd3 ეd5 37. კa4 ლb7 38. ლe4 ლb8 39. კb3 ეf5 40. f4 b5 41. მe5 ეh5 42. კe6 1:0.

**აზმაიფარაშვილი – ელვესტი**
**მეფის ინდური დაცვა**

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 კg7 4. e4 d6 5. კd3 c5 6. d5 e6 7. h3 მa6 8. მf3 მc7 9. კg5 h6 10. კe3 ed 11. ed b5 12. ლd2 bc 13. კc4 g5 14. h4 g4 15 მg1 მd7 16. მge2 მe5 17. b3 ეb8 18. მ g3 კf6 19. ეc1 კh4 20. მce4 კ g3 21. კg5 1:0.

**ყაჭეიშვილი – დიზდარევიჩი**
**კარო-კანის დაცვა**

1. e4 c6 2. d4 d5 3. e5 კf5 4. მf3 e6 5. კe2 მe7 6. 0-0 მc8 7. კe3 კe7 8. მbd2 0-0 9. c3 მd7 10. მe1 f6 11. f4 f e 12. fe კg5 13. კf2 კh4 14. g3 კe7 15. მg2 ლb6 16. მe3 კ h3 17. ეe1 კg5 18. კg4 კe3 19. კe3 კe4 20. ლg4 c5 21. კh6 ეf7 22. ეf1 ეe7 23. კg5 ეe8 24. ეf7! 1:0.

## ბალავარი

# პროგრესი საგრძნობია

დამთავრდა საქართველოს პირველობა ორ ასაკობრივ ჯგუფში. გთავაზობთ ამ ტურნირების ტექნიკურ შედეგებს.

12 წლის გოგონები. 24.04.- 8.05. 40 მონაწილე. 1. სოფიკო ხუხაშვილი 8 ქულა – 9 თამაშიდან. 2. ნანა ძაგნიძე – 8. 3. თამარ წერეთელი 7,5.

12 წლის ბიჭები. 59 მონაწილე. 1. მერაბ გაგუნაშვილი – 8 ქ. 2. კონსტანტინე შანავა – 8, 3. ლევან აროშიძე – 7,5.



სოფიკო ხუხაშვილი.



მერაბ გაგუნაშვილი.

14 წლის გოგონები. 10. – 19.05. 36 მონაწილე 1. ინგა ჭარხალაშვილი – 7,5; 2. ანა მათნაძე – 7,5 3. სოფიკო ხუხაშვილი – 6,5.

14 წლის ბიჭები. 47 მონაწილე. 1. ბაადურ ჯობავა – 8. 2. ზვიად იზორია – 7; 3. დავით არუთინიანი – 6,5.



ინგა ჭარხალაშვილი.



ბაადურ ჯობავა.

10-16 წლის მოჭადრაკეთა ფინალურ ტურნირებს წინ უძღოდა რეგიონული შეჯიბრებები. მასში ჩვენი ქვეყნის ათასზე მეტი ნორჩი მოჭადრაკე მონაწილეობდა.

14 წლის მოჭადრაკეებში მსოფლიო ჩემპიონატის საგზურები გალელმა ჯობავამ და ქუთაისელმა ჭარხალაშვილმა, 12 წლის ასაკში კი ეს უფლება თბილისელებმა სოფიკო ხუხაშვილმა და მერაბ გაგუნაშვილმა მიიღეს. ორივე მათგანის თამაშში საგრძნობი პროგრესი შეიმჩნევა.

მსოფლიო ჩემპიონატი ოქტომბერში საფრანგეთში გაიმართება. მეორე პრიზიორები ევროპის ჩემპიონატში დაიცავენ საქართველოს ღირსებას.

გია დავითაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემორიალი

# ახალი სახელები

შოთა ინწკირველის მემორიალი თანდათან უფრო პოპულარული ხდება. წლეულს მასში 200-მდე ნორჩმა მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა. მოჭადრაკეთა დიდი ნაწილისათვის ეს ტურნირი ჭადრაკის სამყაროში გადადგმული პირველი სერიოზული ნაბიჯები იყო. ყველაზე უფროსი მონაწილე 9 წლის გახლდათ, ხოლო უმცროსი – 6-ის. შეჯიბრებაში საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ. გოგონათა ტურნირში გაიმარჯვა გურჯაანელმა მაკა ფურცელაძემ. პრიზიორთა რიგებში აგრეთვე აღმოჩნდნენ ნინო კიკილაძე და ეკა მხეიძე (ორივე თბილისი). უმცროსი ასაკის ბიჭების ტურნირში ბათუმელმა უჩა დუაძემ იმარჯვა, მას ნახევარი ქულით ჩამორჩნენ თბილისელები კოკა გოგოხია და დათო გაგაძე. უფროსი ასაკის ბიჭებში კი ტოლი არავის დაუდო დათო ბარამიძემ (თბილისი). მეორე ადგილზეა დათო ურუშაძე, ხოლო მესამეზე არჩილ კვატაშიძე.

მწვრთნელებიდან საერთო ჩათვლაში ყველაზე საუკეთესო მაჩვენებელი მაყვალა ხანთაძეს აღმოაჩნდა.

დავით ჯანდიერი.

ფოტოეტიუდი



დიდი გზის დასაწყისი.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

# ამაგი დაუფასდა

შამილ დასნის მოღვაწეობამ თავისი კვალი დატოვა ქართულ საჭადრაკო ცხოვრებაში. როგორც მწვრთნელმა და საჭადრაკო კომპოზიტორმა, მან მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. შამილი ოცი წლის მანძილზე მუყაითად მუშაობდა თბილისის სამგორის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში, სადაც რამდენიმე ასეულ ნორჩს აზიარა ჭადრაკის საიდუმლოებანი.

სამგორის რაიონის გამგეობის და განათლების განყოფილების ინიციატივით 20-21 მაისს შამილ დასნის სახელობის სკოლაში მისი პირველი მემორიალი ჩატარდა. შეჯიბრებაში 42 მოჭადრაკე მონაწილეობდა, მათ შორის დიდოსტატები ნონა გაფრინდაშვილი, ბუხუტი გურგენიძე, ლაშა ჯანჯღავა, ოცზე მეტი საერთაშორისო და ეროვნული ოსტატი.

ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა დიდოსტატმა ლაშა ჯანჯღავამ, რომელმაც 9 შესაძლებლიდან 8 ქულა მოაგროვა, მეორე პრიზი მოიპოვა საერთაშორისო ოსტატმა სანდრო დგებუაძემ, ხოლო მესამე – ოსტატმა დავით ლობჟანიძემ.

დაწესებული იყო სპეციალური პრიზები, რომლებიც გადაეცათ ბაადურ ჯობავას (IV ადგილი), ოსტატ გიორგი ბახტაძეს (V ადგილი) და საერთაშორისო ოსტატ მირანდა ხორავას (VI ადგილი). ჟიურიმ ტურნირის ყველაზე ლამაზ მონაწილედ საერთაშორისო ოსტატი ნათია ჯანჯღავა დაასახელა. სამგორის რაიონის გამგებელმა გივი მაზიაშვილმა სპეციალური პრიზი გადასცა ნონა გაფრინდაშვილს.

ტურნირის საზეიმო დახურვის ცერემონიალი დაამშვენა სამგორის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოცეკვავეთა და მომღერალთა გამოსვლებმა.

გურამ გაბადაძე.

კონტაქტები

# მეგობრების მიწვევით



როგორც ჭადრაკის ქართველმა მოყვარულებმა იციან, გერმანიაში გამართულ სენიორთა მსოფლიო ჩემპიონატებში ორჯერ წარმატებით იასპარეზა საერთაშორისო ოსტატმა თამარ ხმიადაშვილმა. მისი პიროვნებით მოხიბლულმა ჰანოვერის საჭადრაკო კლუბის წევრებმა გერტ ვოლფრამმა და გუტრენ გუდრუნმა თამარი სტუმრად მიიწვიეს სხვადასხვა საჭადრაკო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

ქართველმა მოჭადრაკე ქალმა ერთდროული თამაშის სეანსი გამართა ჰანოვერის საჭადრაკო კლუბში 22 დაფაზე ( 15-2•5).

თამარმა ზედიზედ სამ ტურნირში ითამაშა. ბადენ-ბადენში მან 7-დან 5 ქულით მე-6 ადგილი დაიკავა 100 მოჭადრაკეს შორის... ზულცფელდის ტურნირში მან ნახევარი ქულით მეტი მოაგროვა და მე-5 ადგილი დაიკავა. ამ ტურნირში მან ქალებისთვის დაწესებული პირველი პრიზიც მიიღო.

კარლოს-ჰაინში 7 დიდოსტატი ვაჟი თამაშობდა, მათ შორის პორტი, სუეტინი, ბიშოპი. თამარმა 7-დან 4,5 ქულით 26-ე ადგილი დაიკავა.

იმედია, გერმანელ მეგობრებთან კონტაქტები კვლავაც გაგრძელდება.

დავით ჯაფარიძე.

**სურათზე: ერთდროული თამაშის სეანსის ამსახველი სტატია გერმანულ გაზეთში.**

შედევრი

# შემტევი სტილით

პარტია, რომელსაც დღეს გთავაზობთ, გათამაშდა ვეიკან-ზეეში 1996 წელს. იგი დამახასიათებელია ინდოელი დიდოსტატის ენერგიული, შემტევი სტილისათვის. ვთქვათ ისიც, რომ ანანდს თავისი საჭადრაკო კარიერის მანძილზე არაერთი პრიზი აქვს მოპოვებული ლამაზი თამაშისათვის.

ანანდი – გელფანდი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მc3 d6 3. f4 g6

გელფანდი სიცილიური დაცვის დიდი მცოდნეა. ამიტომ გასაგებია ანანდის გადაწყვეტილება აირჩიოს ნაკლებად გავრცელებული ვარიანტი, რომელსაც სადებიუტო მონოგრაფიები მეტწილად გვერდს უვლიან.

4. მf3 კg7 5. კc4 მc6 6. d3 e6
7. 0-0 მge7 8. ლe1 h6 9. კb3 a6

ასე ითამაშეს ამავე მეტოქეებმა რეჯიო-ემილიაში 1992 წელს. მაშინ თამაში ასე გაგრძელდა: 10. a4 ეb8 11. ლg3 მd4 12. მd4 cd 13. მe2 b5 14 .ab ab 15. ლf2 ლb6 16. f5 ef 17. ef gf და შავებმა გაათანაბრეს მდგომარეობა. ახლა ანანდმა მეტოქეს სიურპრიზი მოუმზადა.

10. e5! მf5 11. მფh1 მfd4 12. მe4! მf3 13. ეf3 de 14. fe მe5 15.ეf1 g5 16. ლg3 0-0

გაბედული გადაწყვეტილებაა, რადგან შავების მეფის ფრთა საკმაოდ დასუსტებულია. მაგრამ თუ ანანდმა ენერგიულად არ ითამაშა გელფანდი მალე მოახერხებს პოზიციის კონსოლიდაციას.

17. კg5! hg 18. მg5 მg6 19.ეae1 ლe7



ფიგურის შეწირვით ანანდმა მთელ თავის ძალებს საიერიშოდ მოუყარა თავი. შავი მეფე ჯერჯერობით თითქოს დაცულია, მაგრამ ინდოელის მომდევნო ბრწყინვალე სვლის შემდეგ ირკვევა, რომ გელფანდს ვერაფერი იხსნის.

20. ეf5!!

ანანდმა დაიცვა მხედარი, რის შემდეგ ლაზიერი h ხაზზე გადავა და სასიკვდილო მუქარას შექმნის. თუ 20....ef 21. ეe7 მe7 22. ლh4 და თეთრები იგებენ.

20. კf6 21. მe6! fe 22. ეe6! მფg7 შავებს ვეღარ 22... კe6 იხსნიდა. 23. ლg6 ლg7 24. კe6 და შეტევის მოგერიება შეუძლებელია.

23. ეe7 კe7 24. ეf8 კf8 25. h4! და შავები დანებდნენ.

გელფანდმა მატერიალური უპირატესობა კი მიიღო, მაგრამ ვერაფრით ვერ მოახერხა ფიგურების განვითარების დამთავრება.

გივი გამრეკელი.

წარსულის ფურცლები

# ერთი კონფლიქტის პერიპეტიები

1965 წელს ალა კუშნირი რომ დამარცხდა ნონა გაფრინდაშვილთან მსოფლიო პირველობის მატჩში, საქვეყნოდ განაცხადა: არ მოვეშვები ბრძოლას ჩემპიონის სახელისათვის, პრეტენდენტი კვლავაც მე ვიქნებიო. მართლაც, 1967 წელს მან მოიგო პრეტენდენტთა ტურნირი.

ნონასა და კუშნირს შორის ახალი მატჩის გამართვა ფიდე-მ სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციას დაავალა. 1968 წლის დამდეგს ორგანიზატორებმა მატჩი დანიშნეს ტალინში, ხოლო მისი სტარტი – 19 სექტემბერს.

მატჩის მასპინძლის შერჩევა უმტკივნეულო არ ყოფილა. კუშნირი ასახელებდა ლენინგრადს, კიევსა და ლვოვს, ნონა – თბილისს-მოსკოვს (მატჩის შუაზე გაყოფით). ყველას უკვირდა, რომ კუშნირს არ სურდა მშობლიურ მოსკოვში თამაში. მხარეები რომ ვერ შეთანხმდნენ, ნონამ მასპინძლად ტალინი დაასახელა. ფედერაციამ მოიწონა იგი, კუშნირმა არ დააყოვნა პრეტენზია: შუშოლტგომაზე ტალინში წვიმები იცისო. მიუხედავად ამისა, იგი მაინც დაემორჩილა ფედერაციის გადაწყვეტილებას.

თითქოს ყველაფერი რიგზე იყო: ნონა და კუშნირი ემზადებოდნენ საპაექროდ, ტალინელები – სტუმრების მისაღებად. მაგრამ სტარტამდე რამდენიმე დღე რომ დარჩა, მოსკოვიდან მოვიდა დეპეშა: მატჩის დაწყება გადატანილია... 6 თვით!

ამ ცნობამ გააოგნა ნონა. საგონებელში აღმოჩნდნენ სპორტის მესვეურნი, რა მოხდა, რატომ ჩაიშალა მატჩი? „ლელოში“ (10 ოქტომბერი) დაიბეჭდა ჩემი მწვავე წერილი „სიმართლისაგან განდაგან“, გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიაში“ – საუბარი საქართველოს სპორტკომიტეტის ჭადრაკში სახელმწიფო მწვრთნელთან გიორგი გაჩეჩილაძესთან. ვწერდი, რომ კუშნირის ზურგს უკან მოქმედებენ შავი ძალები, რომელთაც ხელს აძლევთ მატჩის ჩაშლა, მაგრამ არ ვიცოდით, ვინ იყვნენ ისინი.

მოსკოვიდან შეგვატყობინეს, რომ მატჩი შეაჩერა ფიდე-ს პრეზიდენტმა ფოლკე როგარდმა. თითქოსდა სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციამ კუშნირი „დაჩაგრა“.

მალე საქართველოში მოვიდა ერცელი წერილი „გამოჩენილი საბჭოთა სპორტსმენის“ ალა კუშნირის დასაცავად... ქართველი ჟურნალისტებისაგან. წერილს ხელს აწერდნენ მიხეილ ბოტვინიკი, ალექსანდრე კოტოვი, ლეონიდ შამკოვიჩი და გრიგოლ გოლდბერგი. მერე შევიტყვეთ, რომ სწორედ მათ შეიყვანეს შეცდომაში ფიდე-ს პრეზიდენტი.

სიმართლე კი ის იყო, რომ ბოტვინიკს თავისი პრეტენზიები ჰქონდა საკავშირო ფედერაციის მიმართ და სურდა ფედერაციის ხელმძღვანელების ავტორიტეტის შელახვა. აიყოლიეს კუშნირი და მიზანსაც მიაღწიეს. ამბობდნენ იმასაც, რომ სურდათ ნერვები აეშალათ ნონასათვის, ამოეგდოთ სპორტული ფორმიდან. ეს ახლოს იყო სინამდვილესთან. ორი კვირაც არ იყო გასული მატჩის ჩაშლიდან, რომ მოვიდა კუშნირის დეპეშა: იგი სთავაზობდა ნონას მატჩის თამაშს... ტალინში (!), ოღონდ ცოტა მოგვიანებით. რა იყო ეს: ცინიზმი თუ აბუჩად აგდება?

ჩვენმა ფედერაციამ ნონას სახელით წერილი გაუგზავნა ფოლკე როგარდს. მსოფლიო ჩემპიონი გამოთქვამდა აღშფოთებას, მატჩის გაუქმების გამო და სთავაზობდა თავის წინადადებას, რომელიც კუშნირმა არ მიიღო. ფიდე-ს პრეზიდენტმა საკითხის განხილვა ფიდე-ს 39-ე კონგრესს (ოქტომბერი, ლუგანო) დაავალა.

სალო ფლორი მიამბობდა:

– კონგრესმენები დიდი გაკვირვებით და სიცილით შეხვდნენ საკითხის განხილვას. გასაგებია 50 კონგრესმენის გაკვირვება, რომ მსოფლიოს ერთი მეექვსედის ორმა მოჭადრაკე ქალმა ვერ გამონახა სათამაშო ქალაქი. მართლაც, ნონა კოსმოსში ხომ არ გაფრინდება, თუ კუშნირს დედამიწის პირობები ხელს არ აძლევს!

დაცხრა ვნებათაღელვა. თანდათან ნონამ აღიდგინა სულიერი სიმშვიდე, განაგრძობდა მატჩისთვის მზადებას. დაიწყო ტურნირებში თამაში.

დეკემბერში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის სპორტსაზოგადოების გუნდურ პირველობაში, სადაც შეხვდა ალა კუშნირს. ამ შეხვედრაში ნონამ დიდი ძალა და შემართება გამოავლინა, მკაცრად „დასაჯა“ ჭირვეული მეტოქე.

გთავაზობთ ამ პარტიას კრიტიკული პოზიციიდან:



ნონამ ბრწყინვალედ გამოიყენა **d6** პაიკის სისუსტე გადამწყვეტი უპირატესობის მისაღებად.

**19. კa3! კe7 20. ეb1 ეb8 21. კd5 ლc7 22. ლd3 კd5? (ჯობდა 22. ... ეfd8) 23. ed მa7 24. მf5 (მუქარით მe5) f6 25. მფd4! ეf7 26. de6 ლd7 27. ეb3 dac8 28. ეeb1 კf8 29. მf8 ეf8 30. მd6 მd6 31. ეb6 ეb6 32. ეb6 dc8 33. ეb8 ეd8 34. c4 ლc7 35. ლd3 მd6 36. კd6 ლd6 37. ეd8 ლd8 38. c5 f5 39. d6 მფf8 40. ლe6 1:0.**

როგორც იცით, ნონამ მატჩი დიდი ანგარიშით (8,5:4,5) მოიგო. მან დიდსულოვნად შეუნდო კუშნირს ცოდვა. მათმა მესამე მატჩმა (რიგა, 1972 წ.) უკონფლიქტოდ განვლო. პრეტენდენტი აღარ იყო პრეტენზიული.

თენგიზ გიორგაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სახალისო ჭადრაკი

# გადამწყვეტი პარტია წინაა

ეს უჩვეულო მატჩი დაიწყო ცაში. ათიოდე წლის წინ მოსკოვიდან თბილისში მოვფრინავდი. შემთხვევით ჩემს გვერდით ბატონი არჩილ ჯაკობია აღმოჩნდა. სტიუარდესამ ჭადრაკი მოგვიტანა. მე თეთრი ფიგურები შემხვდა. სიცილიურ გამბიტში ინიციატივას დავეუფლე, შავების მეფე უროქოდ დარჩა, მაგრამ ერთ მომენტში უზუსტოდ ვითამაშე. ბატონმა არჩილმა სული მოითქვა, უშუალო მუქარები მოიგერია და ზედმეტი პაიკით მოგების გზას დაადგა.

მე ავნერვიულდი: „რა არის ბატონო არჩილ ამდენი ფიქრი, ტურნირის პარტიას ხომ არ ვთამაშობთ?“ ბატონი არჩილი არ ჩქარობდა, დრო კი გადიოდა. „მალე თბილისი გამოჩნდება, მეორე პარტიის თამაშს ვერ მოვასწრებ, ამის გადარჩენას კი ალბათ ვეღარ მოვახერხებ“. თვითმფრინავმა ბორბლები თბილისის მიწას შეახო და ბატონმა არჩილმაც ზედმეტი პაიკი ლაზიერში გაიყვანა, რასაკვირველია, დავნებდი. „ცაში ვერ ვთამაშობ“ – იხტიბარი არ გავიტეხე. ბატონი არჩილის რეპლიკა საერთო სიცილ-ხარხარში ვერ გავიგონე. იმ დღიდან რევანშის სურვილი არ მასვენებდა და აი, სასწაული: ერთხელ, როცა ზუგდიდიდან თბილისში მივლინებით ჩამოვედი, ჭადრაკის სასახლეში ბატონ გიორგი გაჩეჩილაძეს ვესტუმრე. ოთახში ბატონი არჩილი დამხვდა. მისალმება-მოკითხვის შემდეგ ბატონი გიორგი ხუმრობს: „ეს როგორ გაგანადგურა არჩილმა რვა ათასი მეტრის სიმაღლეზე“? „ღმერთთან ახლოს თამაშის მერიდება, არ გამომდის“, – ვიმართლე თავი. „აბა, ვნახოთ მიწაზე თუ რამე შეგიძლია“ – მეუბნება ბატონი გიორგი. კენჭი ვყარეთ. მე ისევ თეთრები მერგო. დებიუტი აქტიურად გავითამაშე და პოზიციური უპირატესობა მივიღე.



ბატონმა არჩილმა უკანასკნელი სვლით C6-ით საგონებელში ჩამაგდო: „მხედარი უკან უნდა წამოვიყვანო, შემდეგ შავები d5-ს ითამაშებენ, კუს განავითარებენ და შეიძლება „ცის ვარიანტიც“ განმეორდეს. ასე არ ივარგებს. შავ მეფეს ხომ შავუჯრედოვანი კუ იცავს. აი, ის რომ მომაშორებინა, შეტევაც გამომივა!“ 1. მc7!! ლc7 2. ეe8 კf5 3. ეf8! ეf8 4. ლh6 მd7 5. მg5 მf6 6. მf7! ლf7 7. კf6! და შავები დანებდნენ. რევანში შედგა.

„ცაში არჩილი ყოფილა ძლიერი, მიწაზე — შენ“ დაასკვნა სიცილით ბატონმა გიორგიმ და დაამატა „ახლა ნეიტრალურ „სტადიონზე“ ითამაშეთ, ზღვაზე“.

გადამწყვეტი პარტია ჯერ არ შემდგარა...

**მურმან ღლონტი... მურმან დემურია,**
ეროვნული ოსტატი.

# დაფასთან – მედიკოსები

ქართველ ექიმებს თვალსაჩინო წვლილი აქვთ შეტანილი საჭადრაკო ხელოვნებაში. საკმარისია იმის თქმა, რომ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აღზრდილია, ხოლო მსოფლიოში აღიარებული საჭადრაკო კომპოზიტორი საერთაშორისო დიდოსტატი გია ნადარეიშვილი ცნობილი ნევროპათოლოგი გახლდათ. მისი უმაღლესი ნიჭიერებით აღბეჭდილი შემოქმედების გაცნობისას შექებაზე სიტყვაძუნწმა მიხეილ ბოტვინიკმა დაწერა – „გია ნადარეიშვილის პატივსაცემად ფეხზე ადგომის და მოწიწებით ქუდის მოხდის სურვილი მეუფლება“.

წლების მანძილზე იმართებოდა საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ექიმების პირადი და გუნდური პირველობა ჭადრაკში. ამ ტურნირებში მონაწილეობდნენ აწ გარდაცვლილი: გია ნადარეიშვილი, ანდრო გამრეკელი, ანდრო ლონლაძე, გრიშა კირკიტაძე (თერჯოლა), ანდრო ბებურიშვილი, ირაკლი ნანეიშვილი, გივი ქორქოლაძე, მიხეილ დარსაიძე (ჭიათურა), ნიკუშა ბახტაძე, ზაალ ცინცაძე, კონსტანტინე სომოვი, უჩა რუსაძე და სხვები. აგრეთვე ჩვენი ცნობილი მეცნიერები, პროფესორები: რეზო სიგუა, გოგი კაკოიშვილი, ზურაბ ჩაჩუა, დოცენტი ლარისა მებალიშვილი, ოსტატები ნანა ჩხაიძე და დავით ლობჟანიძე, აგრეთვე თემო მელიქიძე („მედიკის“ 1937 წ. ჩემპიონი) ირაკლი ჩაჩუა, ამირან ჩხაიძე, სოსო თოფურია, დათო წერეთელი, გივი ელიოსიძე (პატარა ცემი), რამაზ გურგენიძე, პაატა ვაშაკიძე და სხვები. ერთ-ერთი ტურნირი ჩატარდა ახალდაბაში. იგი განსაკუთრებით დამამახსოვრდა იმით, რომ ყოველი ტურის შემდეგ იმართებოდა ლიტერატურული საღამოები – ირაკლი ნანეიშვილი ზეპირად კითხულობდა ლექსებს ქართულ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე; გრიშა კირკიტაძე კი ამავე ლექსების ქართულ თარგმანებს; ირაკლი სასიამოვნოდ უკრავდა, ხოლო ზურაბ ჩაჩუა გვატკბობდა სიმღერით, განსაკუთრებით მოგვწონდა მისი შესრულებით „სანტა ლუჩია“.

ირაკლი ნანეიშვილი, ფენომენალური ნიჭიერების ადამიანი, გატაცებული იყო ყოველგვარი თამაშით (ჭადრაკი, ნარდი, ბილიარდი, ფეხბურთი, კარტი), იყო ზედმიწევნით ნაკითხი და სასიამოვნო მოსაუბრე.

ზურაბ ჩაჩუა დიდ საჭადრაკო-საორგანიზაციო მუშაობას ეწევა როგორც თბილისის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მსაჯთა კომისიის თავმჯდომარე.

საგანგებო წერილს იმსახურებს საოჯახო საჭადრაკო კლუბი, რომელიც მოწყობილი ჰქონდა თავის სახლში ცნობილ ქართველ ექიმს გივი ქორქოლაძეს. წლების მანძილზე მასთან იმართებოდა ტურნირები ელვისებურ და სწრაფ ჭადრაკში. ალბათ არ დარჩენილა თბილისში ისეთი მოჭადრაკე, რომელსაც ქორქოლაძეების ოჯახში არ უთამაშია. აქ გულთბილ მასპინძლობას გვიწევდნენ ბატონ გივის მეუღლე ქალბატონი ნაზიკო და შვილები – ექიმები ქეთინო და თამრიკო ქორქოლაძეები. ყოველი ტურნირის შედეგი სათანადოდ აღინუსხებოდა და ასე შეიქმნა დიდი საოჯახო არქივი, რომლის დამუშავება უთუოდ საინტერესო იქნება თბილისის საჭადრაკო ცხოვრების გაშუქებისათვის.

**ვლადიმერ აბაშიძე,**
საქართველოს სამედიცინო ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

## კონკურსი

„ლაზიერის“ 25 იანვრის გამოშვებაში გამოქვეყნდა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მიერ ჩატარებული საჭადრაკო ეტიუდების შედგენის კონკურსის წინასწარი შედეგები. კონკურსი საერთაშორისო ოსტატის ველიმირ კალანდაძის დაბადების 60 წლისთავს მიეძღვნა. კონკურსის მსაჯი თავად იუბილარი გახლდათ.

კონკურსის შედეგები უცვლელი დარჩა. გთავაზობთ დავით გურგენიძის ეტიუდის ახალ ვერსიას.



თეთრები იგებენ

1. b7 ეa3 2. მფa3 ეd3 3. მფ a4 ეd4 4. ეb4 ეd8 5. b8ლ ეb8 6. ეb8 მფg7 7. ეg5 და შემდეგ, ძველი რედაქციით.

## კომპოზიცია

# სიმეტრია - ასიმეტრია

**ვინც გეომეტრია არ იცის, აკადემიაში ნუ შემოაბიჯებს**

(პლატონი).

სიმეტრიის პრინციპები უდიდეს როლს თამაშობს, როგორც მეცნიერებაში, ისე ხელოვნებაში. სიმეტრია ფართო გაგებით წარმოადგენს იმ იდეას, რომლის წყალობითაც ადამიანი და ბუნება ქმნიან წესრიგს, სილამაზესა და სრულყოფილებას. სიმეტრიის მოძებნა იგივე ჰარმონიის მოძებნაა. სიმეტრიის პრინციპებს ხშირად მიმართავენ თავიანთ ნაწარმოებებში საჭადრაკო კომპოზიტორები. სიმეტრიის პრინციპებზე აგებულია მრავალი ნაწარმოები სისტემატიური მოძრაობის იდეებზე. აქ, თამაშის პროცესში იქმნება გარკვეული ნახაზი და მოძრაობაში სიმეტრიის პრინციპები გადმოიცემა. შეიძლება გავატაროთ ანალოგია ქორეოგრაფიულ და საჭადრაკო ხელოვნებას შორის. ეს „მარადიული“ სიმეტრიული რითმული მოძრაობანი ხშირად დაფის გეომეტრიაზეა დამოკიდებული.

სიმეტრიის პრინციპები სულ სხვადასხვა სახით გამოვლინდება საჭადრაკო ეტიუდში. 1924 წელს ინგლისურმა საჭადრაკო ჟურნალმა მოაწყო კონკურსი მოთხოვნით, გამოეხატათ ასიმეტრიის თემა: „ფიგურების სიმეტრიული განლაგების დროს, რომელიც ქმნის ილუზიას, თითქოს არსებობს ეტიუდის ორი გადაწყვეტა ქოლის სახით, ერთ-ერთი უნდა იყოს მცდარი კვალი“.

გ. ადამსონი 1924 წ.



თეთრები იგებენ

1. მფd6!! მფf3 2. მფc5 მფg2 3. b4 მფh2 4. b5 g4 5. b6 g3 6. b7 g2 7. b8 მოგებით. არ იგებდა სიმეტრიული: 1. მფf6 მფd3 2. მფg5 მფc2 3. h4 მფb2 4. h5 c4 5. h6 c3 6. h7 c2 .

როგორც ვხედავთ, სიმეტრიულ პოზიციაში ასიმეტრიული ამოხსნა გამოწვეულია c და g ვერტიკალების არაიდენტურობით. ასეთ ასიმეტრიას შეიძლება ვუწოდოთ პირობითი.

ახლა ვნახოთ სიმეტრიულ პოზიციაში ამოხსნის ერთადერთობა, რომელსაც იგი განპირობებულია დაფის ასიმეტრიით. ასეთ ასიმეტრიას შეიძლება ბუნებრივი ასიმეტრია ვუწოდოთ.

გ. ადამსონი 1924 წ.



თეთრები იგებენ

1. მd5! მd7 2. მფd6 მფd8 3. კd3 მფc8 4. მe7 მფd8 5. მc6 მფe8 6. კg6 მოგებით. არ გადის სიმეტრიული: 1. მf5? მf7 2. მფf6 მფf8 3. კf3 მფe8 4. მg7 მფf8 5. მe6 მფg8! და კუთი მომგებიანი სვლა არ არსებობს.

გავეცნოთ კიდევ ერთ მაგალითს, როცა ასიმეტრია არც დაფის გეომეტრიით და არც განსხვავებული ვერტიკალებითაა გამოწვეული, არამედ – დაფაზე მოქმედი ფიგურების მატერიალური ან თვისობრივი მომენტებით. ასეთი ასიმეტრია ფიზიკაში ცნობილი ტერმინის მიხედვით, „სივრცის გამრუდებითაა“ გამოწვეული.

ვ. კალანდაძე 1968 წ.



ყაიმი

1. b7 ეb2 2. მფc7 ეc2 3. მფ d6! (აგებს სიმეტრიული: 3. მფb6 მc6 4. b8ლ მ:b8 5. d8ლ ეb1 6. მფc5 მa6 გამო)
3... მc6 4. d8ლ მd8 5. b8ლ ეd2 6. მფc5 მe6 7. მფb4 ეb2 8. მფc3! ეb8 პატი.

სიმეტრია ხშირად რომ წონასწორობისა და ჰარმონიის საფუძველია, ეს კარგად ჩანს შემდეგ ეტიუდში. თეთრები რომ არ დამარცხდნენ, ბრძოლის ყველა მონაკვეთზე უნდა შეინარჩუნონ სიმეტრია.

ი. ვანჩურა 1926 წ.



ყაიმი

1. მფe7!! მფa7 2. მფe6! მფa6 3. მფe5 მფa5 4. მფe4 მფa4 5. მფe3 მფa3 6. მფd2 მფb3 7. მფ d3

და სიმეტრიული წონასწორობა შენარჩუნებულია.

სიმეტრიული და ასიმეტრიული იდეები ერთმანეთისაგან მოწყვეტით კი არ არსებობს, არამედ ამ იდეების დიალექტიკური ერთიანობა განაპირობებს იმ სილამაზეს, რომელიც ამგვარ ნაწარმოებს გააჩნია. ჩვენი აზრით, ამ მიმართულებით ეტიუდისტებს ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი.

**ველიმირ კალანდაძე,**
საერთაშორისო ოსტატი.

## ანონსი

29.05-7.06. 10 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა.

8-17.06. 18 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა.

18-19.06. 12 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა სწრაფ ჭადრაკში.

20-21.06. 14 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა სწრაფ ჭადრაკში.

21-22.06. საქართველოს პირველობა საჭადრაკო კომპოზიციების ამოხსნაში.

GCF

ლაზიერი

სარედაქციო კოლეგია: დავით გურგენიძე (რედაქტორი), ნანა ალექსანდრია, ანზორ ბასილაია, გივი გამრეკელი, თენგიზ გიორგაძე, ბუხუტი გურგენიძე, ველიმირ კალანდაძე, გიორგი მახარაძე, ვაჟა შუბლაძე, კახა ჩიგოგიძე.

საქართველოს რესპუბლიკა
№128. ხუთშაბათი, 5 ივნისი, 1997 წელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

იუბილე

# ვლადიმერ ალფენიძე-60

დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ვლადიმერ ალფენიძეს. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს გაუგზავნა მისალმება.

ბატონო ვლადიმერ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ძვირფას თანამოკალმეს, ღვაწლმოსილ შემოქმედსა და საზოგადო მოღვაწეს, გილოცავენ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 60 წლისთავს.

თქვენ მწერლობაში გზა დაგილოცათ საქართველოს სახალხო პოეტმა გიორგი ლეონიძემ. თქვენი პირველი ნაწარმოებები ჟურნალ „დილასა“ და ჟურნალ „პიონერში“ დაბეჭდეს იოსებ ნონეშვილმა და რევაზ მარგიანმა.

მას აქეთ ორმოცი წლის მანძილზე საქართველოსა და უცხოეთში გამოქვეყნდა თქვენი ოცდაათამდე წიგნი (პროზა, პოეზია, ესეისტიკა).



მკითხველი იცნობს თქვენს ისტორიულ რომან-ტრილოგიებს „არმაზის მთვარე“ (წიგნი პირველი — „ჯვარცმა ქთეზიფონში“, წიგნი მეორე — „აჭურა მაზდას ცეცხლი და ქრისტეს ჯვარი“, წიგნი მესამე — „ცურტავის ზარები“) და „სიყვარული და სიკვდილი ქრისტეს ასაკში“ (წიგნი პირველი — „დუელი მგლის ველზე“, წიგნი მეორე — „მწვერვალები და უფსკრულები“, წიგნი მესამე — „სიყვარული და უკვდავება“).

პირველი რომან-ტრილოგია ასახავს იაკობ ცურტაველის ცხოვრებას, მეორე — ალექსანდრე ჭავჭავაძის ეპოქის საქართველოს მხატვრული ქრონიკებია.

თქვენ დიდი წვლილი გაქვთ შეტანილი საბავშვო მწერლობაში („ბიჭი და ოქროს ღრუბლები“, „ფასკუნჯის ჯადოსნური ფრთა“ და სხვ.), ცნობილია თქვენი საბავშვო მოთხრობები და ზღაპრების წიგნი იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაზე“ — „ოცდაცამეტი მზის სახოვანი ბრძენი იაკობი“. ამ წიგნის მიხედვით შეიქმნა სამ სერიად მუსიკალური ფილმი „ქებათა ქება ქართულ ენასა და ქართულ ანბანს!..“

ქართველმა და უცხოელმა კომპოზიტორებმა თქვენი ნაწარმოებების მიხედვით ასზე მეტი სიმღერა შექმნეს.

თქვენ იმოგზაურეთ მსოფლიოს 60-მდე ქვეყანაში. თან ახლდით საქართველოს პრეზიდენტს საზღვარგარეთ სახელმწიფო ვიზიტების დროს. იმ შთაბეჭდილებათა შედეგად შეიქმნა თქვენი წიგნები „პორტუგალიური დღიურები“, „ბრაზილიური დიალოგები“, ოსკარ ნიმაიერის ჟურნალმა „ემ ფოკო“, რომელიც რიო დე ჟანეიროში გამოდის, „ბრაზილიურ დიალოგებს“ აღმოსავლური ბესტსელერი“ უწოდა. თქვენს „პორტუგალიურ დღიურებს“ დადებითად შეხვდა ლისაბონის პრესა.

თქვენ გამოცემული გაქვთ ლიტერატურულ-კრიტიკული და ესეისტური, პუბლიცისტური ნაწარმოებების კრებულები („მთვარის ღვთაების დღე“, „მზე ლომის თანავარსკვლავედში“, „ფიქრიანი გზები“ და სხვ.).

თქვენს საიუბილეოდ გამოვიდა სამი წიგნი „შემაშფოთებელი უცნობი“ („პოეტური ვარიაციები ჰაიდეგერის MAN-ისა და „შემაშფოთებელი უცნობის თემებზე“), „საქართველო — ღვთისმშობლის ქვეყანა“ და „სფინქსის ღიმილი“.

გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას, საყვარელ თანამოკალმეს, ღვაწლმოსილ, ამაგდარ შემოქმედსა და საზოგადო მოღვაწეს, გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და წარმატებებს თქვენს შემოქმედებით მუშაობასა და ცხოვრებაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი.

ხიდები

# „ინტელექტის“ ძალისხმევით

## სამეცნიერო კავშირის აღდგენა ქართველი მეცნიერის ღვაწლის აღიარებით დაიწყო

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სომხეთში ამასწინანდელი ვიზიტის დროს იმ მრავალრიცხოვან დოკუმენტებს შორის, რომლებსაც ხელი მოაწერეს ორივე ქვეყნის პრეზიდენტებმა, ერთ-ერთი სამეცნიერო ურთიერთობის აღდგენას და ქართველ და სომეხ მეცნიერთა დაახლოებას ითვალისწინებდა.

დოკუმენტის ხელმოწერიდან არცთუ ისე დიდი ხანი გავიდა. ურთიერთობის შემდგომი გაღრმავების გზაზე კი პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა. ამ მხრივ თაოსნობა სომეხმა მედიკოსებმა გამოიჩინეს.

ამას წინათ საქართველოსა და სომხეთის საზღვარზე — სადახლოს ხიდთან, ორი ქვეყნის მედიკ-მეცნიერთა მორიგი შეხვედრის დროს, ცნობილ ქართველ დასტაქარს ზაზა კახიანს ქირურგიის დარგში გაწეული დიდი ღვაწლისათვის საზეიმო ვითარებაში გადაეცა სომხეთის ქირურგიის ინსტიტუტის მიერ დაწესებული ოქროს მედალი.



ქართველი მეცნიერის ესოდენ დიდი აღიარება კი ბისეკის ქვეყნების წარმომადგენელთა მონაწილეობით თბილისში 22-25 აპრილს გამართულ აღდგენითი და პლასტიკური ქირურგიაში I-ლი საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის მუშაობის დროს დამსწრეთ აუწყა სომხეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, ჯანდაცვის სამინისტროს ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ჰამლეტ თამაზიანმა.

ჩატარებულმა სიმპოზიუმმა ფართო გამოხმაურება პოვა.

მისი ორგანიზატორები მეცნიერებათა აღორძინების ფონდი „ინტელექტი“ (პრეზიდენტი — ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი გურამ ჩაჩანიძე) და ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ბაადურ მოსიძე იყვნენ.

ფონდი მეტად ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა. მას ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობისათვის გაწეული ქმედითი დახმარების თვალსაზრისითაც. სწორედ მისი ინიციატივით გამოიცა სომხური, აზერბაიჯანული და რუსული სკოლებისათვის განკუთვნილი ქართული ენისა და ისტორიის სახელმძღვანელოები, ხოლო სომეხ და აზერბაიჯანელ მოსახლეობას უფასოდ გადაეცა საქართველოს კონსტიტუცია ქართული და სომხურ-აზერბაიჯანული ტექსტებით.

„ინტელექტმა“ უკვე სამი საერთაშორისო სიმპოზიუმი ჩაატარა, რომელთაგან ორი სასწავლო პროცესების მართვის ინტელექტუალურ სისტემებს მიეძღვნა. „სასწავლო პროცესების მართვის ინტელექტუალური სისტემების საერთაშორისო სკოლა-სემინარს“ თავად გურამ ჩაჩანიძე ხელმძღვანელობს. „ახალი ინფორმაციული პედაგოგიკა“ (ტერმინი ეკუთვნის გ. ჩაჩანიძეს) სწავლების პროცესში სადღეისოდ მეტად მნიშვნელოვან აუდიო, ვიდეო და კომპიუტერული ტექნოლოგიებით დამუშავებას, კომპიუტერული წიგნებისა და სისტემური პროგრამების შემუშავებას ითვალისწინებს და დღეს, რაც განსაკუთრებით მთავარია, ფონდი ქველმოქმედების სახით ინტელიგენციის წარმომადგენლებსაც შეძლებისდაგვარად ეხმარება.

თეიმურაზ კინწურაშვილი.

სურათზე: შეხვედრა სადახლოს ხიდზე.

გიორგი სარქისოვის ფოტო.

## საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის საიუბილეო მილოცვა ვლადიმერ ალფენიძეს

ჩემო ვლადიმერ,

თავს უფლებას ვაძლევ განსაკუთრებული გრძნობებით, პატივისცემით მოგილოცო სამოცი წლისთავი.

არ მეგონა, თუ ამდენი დრო გავიდა.

თითქოს ყველაფერი იყო გუშინ.

რამდენი რამაა მოსაგონარი, გასახსენებელი, საამაყოცა და დასანანიც.

ჩვენი მეგობრობა და თანამშრომლობა ეპოქის ურთულეს მოვლენათა ანარეკლია.

იქნებ მოვიდეს დრო და ერთად გავიხსენოთ ზოგიერთი რამ, რასაც პიროვნულის გარდა, საერთო ეროვნული, იქნებ ზოგადკაცობრიული ელფერიც დაჰკრავს.

მადლობა მინდა გითხრა მრავალწლიანი თანადგომისათვის, დახმარებისათვის, თანამოაზრეობისათვის, რასაც ჩემთვის, ხშირად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამ საუკუნის დასასრულიც გვიახლოვდება. ოცდამეერთე საუკუნის დადგომასაც მოვესწრებით.

მჯერა, სხვა საქართველო შეაბიჯებს მესამე ათასწლეულში.

ოჯახურ ბედნიერებას და შემოქმედებით სიხარულს გისურვებ მუდამ.

შენი **ედუარდ შევარდნაძე.**

თბილისი

4.02.97 წელი.

ლადო ალფენიძე

## „შემაშფოთებელი უცნობი“

### (ფილოსოფიური პოემები. ფილოსოფიური ლირიკა)


ლადო ალფენიძე

შემაშფოთებელი უცნობი

ფილოსოფიური პოემები
ფილოსოფიური ლირიკა

თბილისი
გამომცემლობა „საუნჯე“
1996

ამ წიგნის ავტორს მწერლობაში, პოეზიაში გზა დაულოცა საქართველოს სახალხო პოეტმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა, პოეტ-აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ, მან დაწერა ლადო ალფენიძის პირველ წიგნზე რეცენზია და გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ ფურცლებზე გამოაქვეყნა („ლიტერატურულ საქართველოს“ იმ დროს რედაქტორობდა პოეტი იოსებ ნონეშვილი).

ამ წიგნში ქვეყნდება ლადო ალფენიძის „ფილოსოფიური პოემები“ და „ფილოსოფიური ლირიკა“. ეს ლადო ალფენიძის მეხუთე პოეტური კრებულია. ლადო ალფენიძეს 30-მდე წიგნი აქვს გამოცემული.

ლადო ალფენიძის წიგნებს იცნობს ქართველი და საზღვარგარეთელი მკითხველი.

მწერალმა-პროზაიკოსმა გამოაქვეყნა ორი რომანი-ტრილოგია „არმაზის მთვარე“ და „სიყვარული და სიკვდილი ქრისტეს ასაკში“.

ეს წიგნები აღინიშნა ნინო ჭავჭავაძისა და ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის პრემიით.

მოთხრობების წიგნისათვის „ოცდაცამეტი მზის სახოვანი ბრძენი იაკობი“ ავტორს მიენიჭა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია.

პროზაში, პოეზიაში, პუბლიცისტიკაში, ლიტერატურულ კრიტიკაში, ესეისტიკაში შეტანილი წვლილისათვის ლადო ალფენიძეს მიენიჭა აკაკი წერეთლის სახელობის პრემია.

ლადო ალფენიძის პოეტური ნაწარმოებების მიხედვით ქართველი და საზღვარგარეთელი კომპოზიტორების მიერ შექმნილია ასზე მეტი მუსიკალური ნაწარმოები. მათ შორისაა ოპერა „ცურტავის ფრესკები“ და ორატორია „ქებათაქება ქართულ ენას და ქართულ ანბანს“.

მწერალს გამოქვეყნებული აქვს ისტორიული რომანები, პოემები, ლექსები, ფილოსოფიური ესეები, სენსაციური მეცნიერული აღმოჩენები ქართველოლოგია — ეგვიპტოლოგიის, ქართველოლოგია — ლათინისტიკის, ქართველოლოგია — შუმერულოგიისა და სხვა დარგებში.

მწერლის ნაწარმოებები გამოქვეყნებულია საზღვარგარეთის ხალხთა მრავალ ენაზე.

წიგნის ავტორი არჩეულია ფაზისის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად — ფაზისის აღორძინებული უმაღლესი რიტორიკული სკოლის რექტორად, იყალთოსა და წინანდლის საპატიო მოქალაქედ.

მიმდინარე წელს ავტორის ნაყოფიერი სამწერლო, საზოგადოებრივი და სახელმწიფო მოღვაწეობა აღინიშნა ვაჟა ფშაველას სახელობის პრემიით. ეს პრემია მწერალს მიანიჭა ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელმა კავშირმა.

სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭო.

# ორიოდე სიტყვა ვლადიმერ ალფენიძის ამ წიგნის თაობაზე

მწერლის საიუბილეოდ გამოვიდა სამი წიგნი: „შემაშფოთებელი უცნობი“, „საქართველო — ღვთისმშობლის ქვეყანა“ და „სფინქსის ღიმილი“. ვაქვეყნებთ ორ მათგანზე ანოტაციას და წერილს.

მწერალ ვლადიმერ ალფენიძის „საქართველო — ღვთისმშობლის ქვეყანა“ („სენსაციური აღმოჩენები, ქართულ-ლათინურ-ბერძნულ ურთიერთობათა უცნობი ფურცლები“) მართლაც მეტად საინტერესო და უჩვეულო აღმოჩენათა წიგნია.

მწერალ-მითოლოგმა ვლ. ალფენიძემ აღმოაჩინა არა მხოლოდ დღემდე საქართველოში უცნობი ბერძნულ-ლათინური მითები, ისტორიული დოკუმენტები, არამედ სრულიად ახალი ქართულ-ბერძნულ-ლათინური სამყარო და მოგვცა მისი ჰერმენევტიკული ინტერპრეტაცია.

შეიმუშავა მრავალი ჰიპოთეზა და კონცეფცია.

ეს წიგნი ცვლის ჩვენს წარმოდგენას პრეისტორიულ, პროტოქართველურ სამყაროზე, ის დიდ გავლენას მოახდენს ქართულ მენტალიტეტზე, რადგანაც წიგნის ავტორმა თავისი აღმოჩენებით თავის სამშობლოს — საქართველოს ღვთისმშობლის ქვეყნის სტატუსი მოუპოვა.

ეს უკვე სამშობლოს სრულიად ახალ თვისობრიობაში აყვანას გულისხმობს, ასეთი რამ საუკუნეში ერთხელ ხდება.

მკითხველი იცნობს მწერალ ვლ. ალფენიძის 30-მდე წიგნს. მათ შორის ისტორიულ რომანებსა და ტრილოგიებს („არმაზის მთვარე“, „სიყვარული და უკვდავება“, „ჯვარცმა ქთეზიფონში“, „სიყვარული და სიკვდილი ქრისტეს ასაკში“ და სხვ.), პროზაული ნაწარმოებების, მოთხრობების, ნოველების კრებულებს („მთვარის ღვთაების დღე“, „მზე ლომის თანავარსკვლავედში“, „ოცდაცამეტი მზის სახოვანი ბრძენი იაკობი“ და სხვ.), ფილოსოფიურ პოემებს („ლევილის მისტიკური მთვარე“, „შემაშფოთებელი უცნობი“, „ფიქრები იუდას ხესთან, კაენის ველზე“, „გოდოს მოლოდინში“), „ცოტნე ფაზისში“ („ღმერთი მკვდარია“), „ილიას სახე იერუსალიმის ჯვრის მონასტერში) და სხვ); ლექსებს, ესეებს, ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს, პუბლიცისტურ წიგნებს („ბრაზილიური დიალოგები“, „პორტუგალიური დღიურები“, „ფიქრთა აკიდო“); სამეცნიერო შრომებს (გამოქვეყნებული აქვს ასზე მეტი სამეცნიერო გამოკვლევა).


ლადო ალფენიძე

საქართველო ღვთისმშობლის ქვეყანა

4

ვლ. ალფენიძის წიგნები და ცალკეული ნაწარმოებები გამოცემულია საზღვარგარეთის ხალხთა მრავალ ენაზე ევროპასა და ამერიკაში.

ვლ. ალფენიძე არის საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ამ აკადემიის პოლიტოლოგიისა და პოლიტიკური ფილოსოფიის განყოფილების გამგე, კოლხეთის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი — კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლის (აკადემიის) რექტორი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

**გრიგოლ ჟვანია**

საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის პრეზიდენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

გამოიცა

# მკითხველებს საფიქრალს უჩენს, შეკითხვებს ბადებს

ბოლო წლებში ჩვენი ქვეყნის ცხოვრების სიდუხჭირემ, რაც დღეს ოჯახს, სკოლას, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს აღელვებს, ბევრი მტკივნეული სურათი დაგვანახა, — ეს იმ ბავშვების ბედია, რომლებიც მონათლულნი არიან მაწანწალებად, ძნელადაღსაზრდელებად...

სწორედ ამ დროს წიგნის თაროზე გამოჩნდა წიგნი „ძნელად აღსაზრდელი“, სადაც ლაპარაკია ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილ, გზასაცდენილ მოზარდებზე, ამის მიზეზებზე და მათი გამოსწორების გზებზე. წიგნის ავტორები არიან აზა ბუაძე და გიორგი ალავერდაშვილი. გამოსცა გამომცემლობა „ცის ნამმა“. მასში ვრცლად არის განხილული საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა — ბავშვთა აღზრდაში დაშვებული შეცდომების შედეგად მოზარდთა ერთი ნაწილის ცხოვრების გზის გამრუდება. ავტორები გვთავაზობენ ამ პრობლემების გადაჭრის კონკრეტულ, პრაქტიკულ საშუალებებს, ძნელად აღსაზრდელების გაჩენის თავიდან აცილების გზებს.

— „მიზეზთა მიზეზი“, „ოჯახით დავიწყოთ“, „ახლა სკოლაში შევიხედოთ“, „გარემო მნიშვნელოვანი ფაქტორი“, „მიზეზი უამრავია“, „რომელი გასაღები მოერგება“, „გასაღები სხვაც მრავალია“, „ალერსი“, „ნდობა“... და სხვა ქვესათაურებიც კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით მოგვითხრობს ოჯახის, სკოლის, საზოგადოების შეცდომებზე თუ საზოგადოებრივ გარემოცვაზე, სადაც ჩნდებიან ძნელად აღსაზრდელები; ქვეყნის მომავალზე კი ოჯახს, სკოლას, საზოგადოებას თუ რა პასუხისმგებლობა ეკისრება, — ყოველივე კარგად არის წარმოჩენილი ამ წიგნში. აქ ნათლად არის გახსნილი მოზარდის აღზრდაში დაშვებული შეცდომების მიზეზთა — მიზეზები. გამოუსწორებელი, ძნელად აღსაზრდელი ბავშვები კი პოტენციური რეციდივისტები, ბოროტმოქმედნი, სისხლის სამართლის დამნაშავენი არიან, რაც, თავისთავად, ერთობ საშიში სოციალური მოვლენაა ჩვენი საზოგადოებისათვის.

„ძნელად აღსაზრდელები“ სრულებითაც არ აცხადებს მეცნიერული ნაშრომის პრეტენზიას, მასში უფრო ჟურნალისტისა და პედაგოგთა მიერ ნანახის, მოსმენისა და განცდილის შთაბეჭდილებები, საკუთარი დასკვნებია გადმოცემული ზემოაღნიშნულ საკითხზე.

წიგნის რეცენზენტები არიან: პროფესორები აქვ. მიშველაძე და დოცენტი ა. ჩხიკვაძე. რედაქტორია დალი გვრიტიშვილი.

წიგნი მკითხველს საფიქრალს უჩენს, შეკითხვებს ბადებს.

მაია ედიშერაშვილი.

ფირმების რეგისტრაცია აუდიტი
ტელ: 95-85-58
მისამართი:
დ. აღმაშენებლის 89/24
(თბილქალაქპროექტი)
V სართული

ყურადღება!

ქალაქ თბილისში პრესის გავრცელების საცალო ქსელში დასაქმებულთა და კერძო რეალიზატორთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ მიმდინარე წლის 20 მაისიდან ნებადართულია „საქართველოს რესპუბლიკის“ მხოლოდ იმ ეგზემპლარების გაყიდვა, რომლებზეც ამ გაზეთის გამომცემელი შპს „პრესის“ სპეციალური შტამპი იქნება დარტყმული.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია.

თაობა მოდის

# როცა ზოგი გაფიცვაზე ფიქრობდა...

## 861 მოსწავლის პედაგოგები მათი ცოდნის ზეიმში მონაწილეობდნენ

— „რა იპყრობს ჩემს ყურადღებას? უპირველესად მეცნიერული დარგებისა და დისციპლინების მრავალფეროვნება, რომლებზეც მოსწავლეთა მოხსენებებია წარმოდგენილი; აგრეთვე მრავალფეროვნება გამოყენებული მეთოდისა, თეორიული მოხსენებები გამოირჩევა საინტერესო პრობლემების განზოგადოებით, შეინიშნება კვლევითი ელემენტებიც; ხოლო ექსპერიმენტული შრომები კონსტრუქციული ხასიათისაა, გამომგონებლობის ელემენტების შემცველი. ეს კი პატარა ამბავი როდია.

მეორე ყურადსაღები გარემოება გახლავთ ის მომენტი, რომ მოხსენებებში სადღეისო, საზოგადოებრივი საკითხებიც არის წარმოჩენილი და საინტერესოდ გაშუქებული.

საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენელი გამოვიდა აქ სექციებზე, დასკვნით სხდომაზე; სასიამოვნოა, რომ მომხსენებელთა შორის მთის შვილებსაც ვხედავთ...

სიამაყის გრძნობა აღმიძრა, კმაყოფილება მომგვარა მათმა გამოსვლებმა — ეს სიტყვები აკადემიკოს ევგენი ხარაძეს ეკუთვნის, რომელიც საქართველოს სკოლებში, სკოლისგარეშე დაწესებულებებში მტკიცედ ფესვგადგმულ მოსწავლეთა სასწავლო შემოქმედებით სამეცნიერო კონფერენციას ეხება, როდესაც გამარჯვებულ მოსწავლეებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიპლომები გადაეცათ. აღნიშნული ღონისძიება ნახევარი საუკუნეა მუდამ მეცნიერთა მონაწილეობით მიმდინარეობდა, ასე დაკანონდა და დღემდე გრძელდება. ამ დღეებში იგი 51-ედ ჩატარდა, ეს იყო საუკეთესოდ ორგანიზებული, გამოცდილებით განმტკიცებული ღონისძიება, რომელიც დაიწყო მოსწავლეთა სასკოლო, სარაიონო, საქალაქო, ზონალური კონფერენციით და დედაქალაქში დამთავრდა.

ორი დღე მუშაობდა კონფერენციის 36 სექცია. წაკითხულ იქნა თბილისიდან, საქართველოს ყველა რეგიონიდან წარმოდგენილი 2736 ნაშრომიდან შერჩეული 861 მოხსენება, აქედან საქართველოს ქალაქებიდან და რაიონებიდან — 467. პედაგოგთა, მეცნიერმუშაკთა დახმარებით მომზადებული საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს მოსწავლეებმა საქართველოს ისტორიის, რელიგიის ისტორიის, საერთაშორისო ურთიერთობის, ბიოლოგიის, ქიმიის, მათემატიკის, ფიზიკის, ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხო ენების, ეთნოგრაფიის, ხელმარჯვე ეთნოგრაფთა, გეოგრაფია-გეოლოგიის, გეოეკოლოგიის, სამართალმცოდნეობის, ფსიქოლოგია-ფილოსოფიის, ექსპერიმენტული ბიოლოგიის, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის, ასტრონომიის სექციებზე. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა თბილისისა და ქუთაისის, დასავლეთ საქართველოსა (განსაკუთრებით სამეგრელოსი) და კახეთის ზონის სკოლები, გიმნაზია — ლიცეუმები და სხვა სახის სასწავლებლები!

აღსანიშნავია ისიც, რომ კონფერენციაში აქტიურად მონაწილეობდა აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან იძულებით ადგილნაცვალი და საქართველოს სხვადასხვა რაიონსა თუ ქალაქს დროებით შეხიზნული მოსწავლე ახალგაზრდობა. სექციური სხდომები, გარდა სასახლის კაბინეტ-ლაბორატორიებისა, ჩატარდა საქართველოს მწერალთა კავშირში და გეოგრაფიულ საზოგადოებაში.

ორი დღის დაძაბული მუშაობის შემდეგ სასახლის თეატრალურ დარბაზში შეიკრიბნენ კონფერენციის მონაწილეები, მათი პედაგოგები, მშობლები, მეცნიერები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. შეკრებილთ მიესალმნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტი ანდრია აფაქიძე და განათლების მინისტრი თამაზ კვაჭანტირაძე. კონფერენციის მუშაობა შეაჯამა სასახლის დირექტორმა გია შალამბერიძემ. საქართველოს აკადემიის დიპლომი გადაეცა 46 გამარჯვებულ მოსწავლეს. განათლების სამინისტროს სიგელი — 121, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის პირველი, მეორე ხარისხის დიპლომები და სიგელები ერგო 834 მოსწავლეს, 16 მოსწავლეს 5 დასახელების პრიზები — კომპიუტერები, ფოტოაპარატები, ბოლქმენები და მაჯის საათები. აღნიშნულ ღონისძიებაში წლობით აქტიური მონაწილეობისათვის განათლების სამინისტროს სიგელით დაჯილდოვდა 145 პედაგოგი, მადლობის ფურცელი გადაეცა 277 პედაგოგს.

...თაობა მოდის, თაობა მიდის, აღნიშნული კონფერენცია მაინც შემართებით განაგრძობს არსებობას და კვლავაც დიდი სიყვარულით გაუღებს კარს მეცნიერული და შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდებს.

მოსწავლე ახალგაზრდობის ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას სათანადო დახმარება აღმოუჩინა ფირმებმა „კოკა-კოლამ“, „თერგმა“ და „რიომ“, ქიული შარტავას ფონდმა, საქართველოს ბავშვთა ფედერაციამ, საქართველოს მსოფლიო ლაბორატორიის საგანმანათლებლო ცენტრმა.

... უკვალოდ არაფერი ჩაივლის. კონფერენციამ მის მონაწილეთ დაანახა საკუთარი შესაძლებლობა, მისცა ტრიბუნა ჩატარებული საკვლევ-საძიებო შემოქმედებითი მუშაობით მიღებული შედეგების წარმოსაჩენად, საკუთარი აზრის გამოსათქმელად. დაარწმუნა ახალგაზრდა ღრმა ცოდნის მიღების აუცილებლობაში. ამასთან ერთად ბევრ მათგანს მისცა მეცნიერებთან დამეგობრების შესაძლებლობა, ჩააფიქრა თავისი ქვეყნის და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობაზე.

რაც მთავარია, მაშინ, როდესაც ცხოვრების სიდუხჭირით გამოწვეულ გარკვეულ მიზეზთა გამო თბილისსა თუ ქუთაისში პედაგოგთა მღელვარება წარმოიშვა, უმრავლესობა პროფესიის ერთგულებით თან ახლდა იმ 861 მოსწავლეს, რომლებიც კონფერენციის სექციურ სხდომებზე თავისი სოფლის, რაიონის, ქალაქის ღირსებებსაც იცავდნენ. გამარჯვება კი მათ მოუტანეს სწორედ პედაგოგის პროფესიის ერთგულმა ადამიანებმა, იმ უდიდესმა პასუხისმგებლობამ, რომელიც ამ პროფესიის ადამიანებს ქვეყნის მომავლის აღზრდის პროცესში ეკისრებათ.

ნათელა ფაილოძე.

ყურადღება!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი შპს „პრესა“ ქ. თბილისში ამ გაზეთის გასავრცელებლად ხელსაყრელი პირობებით სამუშაოდ იწვევს კერძო რეალიზატორებს.

მსურველები დაგვიკავშირდნენ:
თბილისი,
მ. კოსტავას 14. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია.
ტელ: 93-26-99.



საქართველოს რესპუბლიკა
№128. ხუთშაბათი, 5 ივნისი, 1997 წელი

# თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას

1997 წლისთვის წარმოებისაგან მოწყვეტით დღის (დასწრებული) სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე: *სამკურნალო (ქართული და რუსული სექტორი), პედიატრიული, სტომატოლოგიური, პროფილაქტიკური მედიცინის, ფარმაცევტული, სამედიცინო ბიოლოგიის (უფასო და ფასიანი სწავლების სექტორები); სამხედრო-სამედიცინო (უფასო სწავლება) ფაკულტეტი, ფსიქოსომატური მედიცინისა და ფსიქოთერაპიის (ფასიანი სწავლება) ფაკულტეტი.*

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი. განცხადებას, რომელიც ადგილზე შეივსება, თან უნდა დაერთოს:

*1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი).*
*2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086).*
*3. 6 ფოტოსურათი (ზომით 3-4).*
*4. პასპორტს (ან მის შემცვლელ პირადობის დამადასტურებელ მოწმობას) და სამხედრო დოკუმენტს აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად.*

*სამხედრო-სამედიცინო ფაკულტეტზე მიიღებიან მხოლოდ ვაჟები, რომლებიც დამატებით წარმოადგენენ შუამდგომლობას სამხედრო კომისარიატიდან ან სამხედრო ნაწილიდან, დახასიათებას, ავტობიოგრაფიას, დაბადების მოწმობის ასლს, შემოწმდებიან საერთო ფიზიკურ მომზადებაში და გაივლიან სამხედრო-სამედიცინო კომისიას 12 ივლისიდან 19 ივლისამდე.*

## მისაღები გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში მითითებული თანამიმდევრობით:

1. სამკურნალო (ქართული სექტორი), პედიატრიული, სტომატოლოგიური ფაკულტეტების უფასო სექტორსა და სამხედრო-სამედიცინო ფაკულტეტზე:

ა) ქიმია (წერა); ბ) უცხო ენა (წერა); გ) ბიოლოგია (ზეპირი); დ) ქართული ენა და ლიტერატურა (წერითი პასუხი ბილეთზე).

2. სამკურნალო ფაკულტეტის რუსულ სექტორზე (უფასო სწავლება):

ა) ქიმია (წერა), ბ) უცხო ენა (წერა), გ) ბიოლოგია (ზეპირი), დ) რუსული ენა და ლიტერატურა (წერა).

3. პროფილაქტიკური მედიცინის, ფარმაცევტული, სამედიცინო ბიოლოგიის ფაკულტეტების უფასო სექტორზე, აგრეთვე სამკურნალო (ქართული და რუსული სექტორი), პედიატრიული, სტომატოლოგიური, პროფილაქტიკური მედიცინის, ფარმაცევტული, ფსიქოსომატური მედიცინისა და ფსიქოთერაპიის, სამედიცინო ბიოლოგიის ფაკულტეტების ფასიან სექტორზე:

ა) ქიმია (ზეპირი); ბ) უცხო ენა (ზეპირი); გ) ბიოლოგია (ზეპირი); დ) მშობლიური ენა და ლიტერატურა (ზეპირი).

უნივერსიტეტში შესვლისას ყველა აბიტურიენტი სარგებლობს თანაბარი უფლებით. ჩარიცხვა მოხდება გამოცდებზე დაგროვილ ქულათა ჯამის მიხედვით. ფაკულტეტების ფასიან და უფასო სექტორებზე ჩარიცხვა იწარმოებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი კონკურსის საფუძველზე.

განცხადებები მიიღება ყოველდღე (გარდა კვირისა), 1 ივლისიდან 19 ივლისის ჩათვლით, 10-დან 15 საათამდე, სამედიცინო უნივერსიტეტის I სასწავლო კორპუსში.

*მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, 29.*

*მისაღები გამოცდები დაიწყება განრიგის მიხედვით 22 ივლისიდან.*

## თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სახელმწიფო სამედიცინო კოლეჯსა და მის ქუთაისის ფილიალში

მიიღებიან ცხრაკლასდამთავრებული პირები, სწავლების ვადა 3 წელია, სწავლება ფასიანია. კურსდამთავრებულები მიიღებენ ზოგადი პროფილის მედდის დიპლომს. მსურველები სწავლას განაგრძობენ უნივერსიტეტის სამკურნალო ან პედიატრიული ფაკულტეტების (ფასიანი სწავლება) მეორე კურსზე.

კოლეჯში მისაღები გამოცდები მოეწყობა ქიმიასა და ბიოლოგიაში ზეპირი ფორმით. კოლეჯში შემსვლელებმა განცხადებას, რომელიც ადგილზე შეივსება, თან უნდა დაურთონ: 1. *არასრული საშუალო განათლების მოწმობა ნიშნების დანართით, 2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086), 3. 6 ფოტოსურათი (ზომით 3-4).*

კოლეჯში განცხადებები მიიღება ყოველდღე (კვირის გარდა). 25 ივნისიდან 12 ივლისის ჩათვლით, 10-დან 15 საათამდე, სამედიცინო უნივერსიტეტის I სასწავლო კორპუსში.

*მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, 29.*

*მისაღები გამოცდები დაიწყება განრიგის მიხედვით 14 ივლისიდან.*

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სახელმწიფო სამედიცინო კოლეჯის ქუთაისის ფილიალში განცხადებები მიიღება ყოველდღე (კვირის გარდა), 28 ივლისიდან 13 აგვისტოს ჩათვლით, 10-დან 15 საათამდე, ადამიანის პათოლოგიისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შენობაში.

*მისამართი: ქუთაისი, კ. მესხის ქ. 5 ა.*

*მისაღები გამოცდები დაიწყება განრიგის მიხედვით 15 აგვისტოდან.*

გამოცდებთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით, როგორც უნივერსიტეტში, ასევე კოლეჯსა და მის ფილიალში აბიტურიენტები საბუთების შეტანისას გადაიხდიან 10 ლარს.

უნივერსიტეტში (ქართულ, რუსულ და ინგლისურენოვან სექტორებზე) საკონტრაქტო სისტემით ჩაირიცხებიან უცხოეთის მოქალაქენი, მსურველთა განცხადებების მიღება დაიწყება ივნისის თვეში და გაგრძელდება სექტემბრამდე.

## აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აწყობს ღია კარის დღეს:

ა) უნივერსიტეტში შემსვლელთათვის 22 ივნისს, კვირას, 13 საათზე (მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, 29).

ბ) თბილისის კოლეჯში შემსვლელთათვის 21 ივნისს, შაბათს, 13 საათზე, (მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, 29).

გ) კოლეჯის ქუთაისის ფილიალში შემსვლელთათვის 6 ივლისს, კვირას, 13 საათზე, (მისამართი: ქუთაისი, კ. მესხის ქუჩა, 5-ა).

დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ მიმღები კომისიის ცნობათა ბიუროში:

*ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი, 27, ტელ: 39-80-22.*
*ქ. ქუთაისი, კოტე მესხის ქ. № 5-ა.*

მიმღები კომისია.

## გამოსათხოვარი



# ნოდარ ჯანბერიძე

გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, რუსეთის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი ნოდარ ჯანბერიძე. მოულოდნელად გამოგვეაკლდა თვალსაჩინო მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი დასდო ქართული ხელოვნებისა და კულტურის განვითარებას.

ნოდარ შალვას ძე ჯანბერიძე დაიბადა 1927 წლის 26 მაისს, თბილისში. მას მძიმე ბავშვობა ჰქონდა, მამამისი პოეტი შალვა ჯანბერიძე, ოცდაათიანი წლების ტერორმა შეიწირა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავისი ნიჭის, სიბეჯითისა და გარჯის წყალობით ნოდარ ჯანბერიძემ საკუთარი ადგილი იპოვა ცხოვრებაში. ჯერ თბილისის პირველი საშუალო სკოლა დაამთავრა, ხოლო შემდეგ – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის არქიტექტურის განყოფილება. მკვლევარის ნიჭი მან ადრე გამოამჟღავნა და თავისი საქმიანობა დაუკავშირა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტს, სადაც გაიარა ყველა საფეხური ასპირანტობიდან – ინსტიტუტის დირექტორობამდე.

სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად ნ. ჯანბერიძე დიდად ნაყოფიერად მოღვაწეობდა საზოგადოებრივ და პედაგოგიურ ასპარეზზე. 1974-81 წლებში იყო საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე. იმ დროს რესპუბლიკაში მიმდინარე სასიკეთო პროცესებს მან შესანიშნავად აუბა მხარი და, შეიძლება ითქვას, რომ მხატვართა კავშირი ფეხზე დააყენა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ასპარეზი გაეხსნა მეტად საინტერესო ძიებებსა და ტენდენციებს, რომლებიც მანამდე საგულდაგულოდ იჩქმალებოდა და რომლებმაც თანამედროვე ქართული მხატვრული აზროვნება მსოფლიოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად წარმოაჩინა.

1981-88 წლებში ნ. ჯანბერიძე მუშაობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგის თანამდებობაზე. მისი თვალთახედვის არეში მოექცა კულტურისა და ხელოვნების უკლებლივ ყველა დარგი და დაწესებულება, რომელთა კარგად ცნობილ მიღწევებში (ჩვენში თუ საზღვარგარეთ) მას მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა.

ჩვენი ქვეყნისათვის უმძიმეს წლებში მოუხდა ნ. ჯანბერიძეს თავისი მშობლიური ინსტიტუტის დირექტორობა (1988-96 წ.წ.) და ამ პირობებშიაც მან ინსტიტუტისათვის ბევრ სასიკეთო საქმეს მოაბა თავი.

ნ. ჯანბერიძე ფართო დიაპაზონის მკვლევარი ბრძანდებოდა. მისი ნაშრომები, რომელთა რაოდენობა მრავალი ათეულია, ეხება როგორც ძველი, ისე თანამედროვე ქართული ხუროთმოძღვრებისა თუ სახვითი ხელოვნების პრობლემებს. მათგან გამოირჩევა ვრცელი გამოკვლევა, მიძღვნილი უახლესი ქართული არქიტექტურის ისტორიისადმი. მასვე ეკუთვნის რამდენიმე მონოგრაფია და ნარკვევების მთელი სერია ქართველ მხატვართა და არქიტექტორთა შესახებ. მისი წიგნი „ძიება და ტრადიციები" წარმოაჩენს მთელი ჩვენი სახვითი ხელოვნების განვითარების რთულ სურათს XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დღემდე.

უკანასკნელ წლებში ნ. ჯანბერიძე სათავეში ედგა ქართული არქიტექტურის მიკროფირების მრავალტომეულის ფუნდამენტურ გამოცემას. იგი იბეჭდება ჰოლანდიაში, ინგლისურ ენაზე და ფაქტობრივად ქართული ხუროთმოძღვრების ენციკლოპედიას წარმოადგენს. გამოსულია პირველი ტომი. მომზადებულია გამოსაცემად მეორე და მესამე ტომები.

ნ. ჯანბერიძის თანაავტორობითა და ძალისხმევით ახლახანს მოსკოვში გამოიცა უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ალბომი, ვრცელი ტექსტით, რომელშიც ნაჩვენებია ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზა და უმნიშვნელოვანესი ძეგლები.

ნ. ჯანბერიძის თაოსნობით მოეწყო ექსპედიციები ტაო-კლარჯეთის ძეგლების შესწავლის მიზნით.

ნ. ჯანბერიძე დიდი ენთუზიაზმით ეხმაურებოდა თანამედროვე ხელოვნების პრობლემებთან დაკავშირებულ ყველა საყურადღებო მოვლენას. იგი იყო აქტიური წევრი მხატვრულ კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციისა. მისი ინიციატივით თბილისში გაიმართა ქართული კულტურისადმი მიძღვნილი ცნობილ სპეციალისტთა რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრა, კონფერენცია, კონგრესი. მას არაერთხელ წარუდგენია ქართული ხელოვნება უცხოეთში გამართულ სამეცნიერო ფორუმებზე.

სულ რამდენიმე დღის წინათ ჩვენმა საზოგადოებრიობამ დიდი სიყვარულით მიულოცა ნ. ჯანბერიძეს 70 წლის იუბილე. მას არ უგრძვნია სიკვდილის მოახლოება. არც იცოდა, რომ უკურნებელი სენით იყო დაავადებული. ჰქონდა უამრავი გეგმა და ოცნება, რომელთაც, სამწუხაროდ, განხორციელება აღარ უწერია. წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი, იგი დაგვაკლდება ჩვენც და დააკლდება ქართულ მეცნიერებასა და ქართულ კულტურას.

**ე. შევარდნაძე, ზ. ჟვანია, ნ. ლეკიშვილი, ვ. აბაშიძე, ვ. ასათიანი, ე. ამაშუკელი, ი. ანდრიაძე, ვ. ბერიძე, მ. ბერძენიშვილი, ლ. გაბუნია, ვ. დავითაია, ნ. ზაქარაია, ა. თავხელიძე, გ. თევზაძე, რ. თორდია, გ. თოიძე, კ. იმედაშვილი, ნ. ინაიშვილი, თ. კვაჭანტირაძე, ნ. ლომოური, კ. მახარაძე, რ. მეტრეველი, ა. მჭედლიშვილი, გ. ოჩიაური, თ. სანიკიძე, თ. საყვარელიძე, გ. ფანჯიკიძე, ჯ. ფაჩუაშვილი, ი. ქორიავა, გ. ყანდარელი, ზ. შენგელია, ბ. შოშიტაიშვილი, ი. ციციშვილი, გ. წერეთელი, ს. ჭიაურელი.**

# გამორჩეული პიროვნება

ბატონი ნოდარ ჯანბერიძე ცნობილი ავტორიტეტი იყო საქართველოს კულტურის მოღვაწეთა საკრებულოში, როდესაც ის გავიცანი. ჩემთვის, ჩემი ახლობლებისათვის დაუვიწყარია მისი სულიერი სიწმინდე, ინტელიგენტურობა, ადამიანური სათნოება, მგზნებარე მამულიშვილობა. რამდენიმე დღე მასთან ერთად გავატარე, ეს ბედის სახსოვარი იყო. ახლაც თვალწინ მიდგას ბატონ ნოდართან ერთად ტაო-კლარჯეთში მოგზაურობა. ეს იყო სამშობლოს ისტორიის ცოდნისა და სიყვარულის განუმეორებელი გაკვეთილი ყველასათვის, ვინც ამ მოგზაურობაში მასთან ვიყავით, ვისაც გვქონდა შესაძლებლობა, გვესმინა ამ პიროვნებისათვის.

ბატონ ნოდართან ერთად სარფიდან თითქმის 200 კილომეტრი ვიარეთ თურქეთის მთიანეთში. ვნახეთ ოშკის ტაძარი, იქ განცდილმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, მიუხედავად იმისა, რომ ტაძარი ნახევრად დანგრეულია, სიდიადე შენარჩუნებული აქვს, და უნებლიედ გაგახსენდება, რომ ოდეს საქართველო ყოფილა დიდი და მძლავრი. ბატონმა ნოდარმა დაწვრილებით აგვიხსნა ყველაფერი ტაძრის შესახებ, გვიჩვენა კედელს შეყენებული დიდი ხნის ბოძი და გვითხრა, რომ პირველ ჩამოსვლაზე, კედელი რომ არ ჩამონგრეულიყო, სხვებთან ერთად შეუდგამს იგი. ტაძარს თურქები არც უვლიან და არც ერჩიან. დავანთეთ ბათუმის ეკლესიიდან წაღებული სანთლები. საოცარი სიკამკამით იწოდნენ ისინი და ეს ყველამ ცალ-ცალკე შევამჩნიეთ. ბატონმა ნოდარმა მაშინ ბრძანა, რარიგ გვჭირდება დღეს ძლიერი საქართველო თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ წინაპარი დიდოსტატების ნამოღვაწარს ვუპატრონოთ. გული სტკიოდა ყოველივე ამის შემყურეს.

გავემგზავრეთ იშხანის ტაძრისაკენ. იგი მდებარეობს ოშკიდან დაახლოებით 50-60 კილომეტრის მოშორებით ყველაზე მაღალი მთის წვერში. დავიღალეთ, საშინლად ცხელოდა, სახიფათო გზის მონაკვეთს რომ მივადექით, უკან დაბრუნება დავაპირეთ, ბატონმა ნოდარმა მაშინ ბრძანა, რომ ჩვენი სახელოვანი მამულიშვილები ირაკლი აბაშიძე, გოგლა ლეონიძე ოცნებობდნენ ამ ადგილების მონახულებას. ჩვენ კი აქ ვდგავართ და ვინ იცის, კიდევ როდის მოგვეცემა ასეთი შანსი! ნათქვამმა ძალა შეგვმატა, გზა განვაგრძეთ და რამდენიმე წუთში მივადექით იშხანის ტაძარს, ბატონი ნოდარი უაღრესად კმაყოფილი იყო, რომ გვაზიარა ქართული ხუროთმოძღვრების ამ შედევრს.

ჩვენი იქ ყოფნისას ხანდაზმული ცოლ-ქმარი მოვიდა, ამერიკელები ალმოჩნდნენ. ჩვენი ვინაობა რომ გაიგეს, ძალიან გაუხარდათ, ხოლო ბატონ ნოდართან საუბრის შემდეგ კი მათ აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა.

მაშინ დავთქვით, რომ გაისად, თუ ღმერთი მოგვცემდა, გვენახა ხახული, პარხალი...

გასულ კვირას, დილით პრესას რომ ვეცნობიდი, „საქართველოს რესპუბლიკაში" წავიკითხე ნოდარ ჯანბერიძის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სტატია, გული დამწყდა, რომ დროულად ვერ მივულოცე ბატონ ნოდარს იუბილე. დავურეკე სახლში, მიპასუხა მამაკაცმა დამწუხრებული ხმით, მოვიკითხე ბატონი ნოდარი, ვინ ბრძანდებითო, მკითხა და მერე – „მამა წუხელ გარდაიცვალაო". – ეს დიდი ელდა, ტკივილი იყო ჩემთვის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონი ნოდარის სული, საქართველოს დიდ სულეთში. ნოდარისნაირ კაცზეა ნათქვამი სახარებაში „ნეტარ არიან გულით სუფთანი, ვინაიდან ისინი ღმერთს იხილავენ".

მოგონებათა განცდებმა დამაწერინა ეს წერილი. ბატონო ნოდარ, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველაფრისათვის, ღმერთმა გაცხონოთ.

ჯემალ გახოკიძე.

## ხსოვნა

# შალვა სალარიძე



ჩვენს საზოგადოებრიობას გამოაკლდა ქართული კულტურის თვალსაჩინო მუშაკი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე შალვა სალარიძე.

დაიბადა 1918 წელს თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და პედაგოგიურ ინსტიტუტში. სწავლასთან ერთად, ახალგაზრდობის წლებში მუშაობდა ქარხნის მუშად, სოფლის სკოლის მასწავლებლად, იმავე წლებში ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა წერილებს ახალგაზრდული ცხოვრების პრობლემებზე.

1940 წელს არმიაში გაიწვიეს. 1946 წელს, არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ, შალვა სალარიძე სწავლას აგრძელებს თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, მუშაობს საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციებში, მასწავლებლობს თბილისის მუშა-ახალგაზრდობის მე-5 სკოლაში. 1952 წელს მედის უნივერსიტეტის ასპირანტურაში. იმავე წლებში არის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მრავალტირაჟიანი გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი, გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიას" განყოფილების გამგე. ასპირანტურის კურსის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტში ტოვებენ პედაგოგად. 1955 წლიდან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქართული და რუსული ენების კათედრის გამგეა.

1964-1965 წლებში შალვა სალარიძე გაზეთ „ზარია ვოსტოკას" მთავარი რედაქტორის მოადგილეა. 1966 წლიდან ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში მუშაობს. მრავალი წლის განმავლობაში იყო საქართველოს მინისტრთა საბჭოს განყოფილების გამგის მოადგილე, პერსონალური პენსიების საქმეთა სახელმწიფო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი, საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისიის კოლეგიის წევრი. რამდენჯერმე არჩეული იყო ადგილობრივი და საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო შალვა სალარიძის მოღვაწეობა საქართველოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე. აქ გამოვლინდა მისი ორგანიზატორული ნიჭი და უნარი – მხარში ამოსდგომოდა ქართული კინოს წარმოების კეთილშობილურ საქმეს. მისი ფართო განათლება, ცხოვრებისეული დიდი გამოცდილება, სახელმწიფო მოღვაწის პრინციპულობა და კეთილგანწყობილება ბევრად უწყობდა ხელს ჩვენი კინოშემოქმედების განვითარებას. ამის დასტურია 60-იანი წლების მიწურულსა და 70-იანი წლების დასაწყისში შექმნილი ფილმების მაღალი ხარისხი, მათი საყოველთაო საერთაშორისო აღიარება.

გაწეული შრომისა და მოქალაქეობრივი ღირსებებისათვის შალვა სალარიძეს არაერთი სახელმწიფო ჯილდო ჰქონდა მინიჭებული.

ხანგრძლივი შრომითი საქმიანობის განმავლობაში იგი გარშემომყოფთა დიდი პატივისცემით სარგებლობდა და დამსახურებული ავტორიტეტი ჰქონდა მოხვეჭილი.

მაღალი ზნეობრივი თვისებების განათლებული პროფესიონალი, პრინციპული და უანგარო მუშაკი, ერთგული მეგობარი და მოსიყვარულე მეოჯახე – ასეთი იყო და დარჩება ბატონი შალვა მისი ახლობლებისა და კოლეგების მეხსიერებაში.

საქართველოს კულტურის სამინისტრო,
საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი,
სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმი",
საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია.

## ხსოვნა

# ბადრი ნოდია



გარდაიცვალა პროკურატურის დამსახურებული მუშაკი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების უფროსი, იუსტიციის უმცროსი მრჩეველი ბადრი შოთას ძე ნოდია.

ბადრი ნოდია დაიბადა 1943 წელს, ქალაქ ხონში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1972 წელს ამთავრებს ყუბანის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს.

იგი 1973 წლიდან პროკურატურის ორგანოებშია, წლების მანძილზე მუშაობდა: ქალაქ სოხუმის პროკურატურაში გამომძიებლად, ჩოხატაურის რაიონის პროკურატურაში გამომძიებლად, აფხაზეთის ა.რ. პროკურატურის უფროს გამომძიებლად, ქალაქ ქუთაისის პროკურორის მოადგილედ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურაში ბუნების დაცვაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსად.

ყველგან, სადაც კი მუშაობდა, ბადრი ნოდია გამოირჩეოდა პროფესიონალიზმით და პრინციპულობით, რამაც მას დამსახურებული ავტორიტეტი და სიყვარული მოუტანა თანამშრომლებში და აფხაზეთის მოსახლეობაში.

მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სოხუმის დაცვისათვის წარმოებულ ბრძოლებში.

ტრაგიკული შემთხვევის გამო კიდევ ერთი მამულიშვილი დააკლდა ჩვენს ქვეყანას, წავიდა ჩვენგან ღირსეული მოქალაქე და მესანიშნავი მეოჯახე, რომლის ნათელი სახელი დიდხანს დარჩება ჩვენს გულებში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურა.

---

მეუღლე ფიქრია კაპანაძე-ტალიაშვილისა, შვილები ავთანდილი, თამარი, ვანო, ირაკლი, მარიამ ტალიაშვილები, სიძე ამირან იაშვილი, შვილიშვილი ნინო იაშვილი, და – მერი ტალიაშვილი-ლაცაბიძისა, სიდედრი მარიამ მიქაბერიძე, სიძე ამირან ლაცაბიძე, დისწულები ლია, ლალი, გიორგი ლაცაბიძეები, ძმა ნოდარ ტალიაშვილი, რძალი გუგული ფორჩხიძე-ტალიაშვილისა, ძმისწულები ეკა, ნინო, სოფიკო, თამუნა, რუსუდან, სალომე, მარიამ, ელენე, მერი, ნატო, იოსებ ტალიაშვილები, ცოლისძმა გოდერძი კაპანაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ელგუჯა (ანზორი) ივანეს ძე ტალიაშვილი

პანაშვიდები 5, 6 VI, 5 00 სთ-ზე. გამოსვენება 7 VI, 1 00 სთ-ზე. დიღმის მასივი V კვ. 20 კორპ. ბ. 75.

---

თბილისის მერია და თბილისის აღორძინების ფონდი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის აღორძინების ფონდის ვიცე-პრეზიდენტი

ნოდარ შალვა ძე ჯანბერიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს შპს „საქპრესა" სამძიმარს უცხადებს თანამშრომელს ზაურ ხომერიკს დის

ნარგიზა მიხეილის ასულ ხომერიკის

გარდაცვალების გამო.

---



დედა ზინა ლონდარიძე, მამობილი გაბრო მეზიაშვილი, შვილები სოფიკო, ნოდარი, გვანცა ნიშნიანიძეები, დეიდები ელენე, ტასო ლონდარიძეები, მამიდა ქუჩუნა ნიშნიანიძე, ბიძები დემურ ნიშნიანიძე, თეიმურაზ ლონდარიძე, ბიძაშვილები ნოდარ ნიშნიანიძე, კობა, გელა, მარინა, მანანა ლონდარიძეები, დეიდაშვილები კაკო, ზურაბი, ემზარი, ჯამბულად იკულაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნიკოლოზ (კოლია) ნოდარის ძე ნიშნიანიძე

პანაშვიდი 5, 6 VI, 4 სთ. მისამართი: გუგა გურგენიძის (ყოფილი გრომოვის შესახვევი), 7. გამოსვენება 7 VI, 3 სთ. ქაშვეთის ეკლესიიდან.

---



მამა ქვიტი დევდარიანი, დედა თინა ჩოფლიანი, ძმები მალხაზ, ზურა, და ქეთინო, რძალი რუსუდან ჯიბლაძე, სიძე დათო შენგელია, ძმისწულები ლაშა, ალექსანდრე, გიორგი, დისწულები კახა, ლევან შენგელიები, ბიძები შოთა, ოთარ, მამიდა ლოლა დევდარიანები, დეიდები მარო, ლამარა, სულიკო, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბესო ქვიტის ძე დევდარიანი

პანაშვიდი 5, 6 VI, 4 სთ. მისამართი: ნუცუბიძის პლატო II მ/რ III კვარტ. IV კორპ. ბ. 1. გამოსვენება: 7 VI, 3 სთ-ზე. ქაშვეთის ეკლესიიდან.

---

დედა ალექსანდრა (შურა), შვილი თამაზი, ძმა ზაური, რძლები ლაურა მოისწრაფიშვილი, ნათია რუხაძე, შვილიშვილი მიხეილი, ძმისწულები მიხეილი, ირაკლი, მძახლები ლილი სოსელია, ვახტანგ რუხაძე, დეიდაშვილები, ბიძაშვილები ოთარ ბახტაძე, რუსუდან მიქელაძე, ეთერ ჯორთმენაძე, ლამარა ცენტერაძე, ლენა ჩიტაიშვილი, თემურ ხაბაძე, ლია, თამაზი ჯორბენაძეები, ნანა მასალკინა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნარგიზი მიხეილის ასული ხომერიკი

პანაშვიდი 6, 7 VI, 6 სთ. დაკრძალვა 8 VI, 4 სთ. ქ. ბათუმში, ვ. ფშაველას (ყოფილი მარქსის), 39.

---

დედა ნანა ფაილოძე, და ნინო, სიძე თემურ ჯანელიძე, ბიძები, დეიდები, მამიდა, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით ვახტანგის ძე ვახანია

დაკრძალვა 7 VI, 3 სთ. კახეთის გზატკეცილი № 36 ბ, ბ. 32.

---

საქართველოს პროკურატურა იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების უფროსი, იუსტიციის უმცროსი მრჩეველი

ბადრი შოთას ძე ნოდია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

დაკრძალვა ქ. ქუთაისში, კვირას 3 სთ-ზე. მელიქიშვილის 8. სახ. 54.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურა იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების უფროსი

ბადრი შოთას ძე ნოდია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის უფროსი თანაშემწე

ბადრი შოთას ძე ნოდია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## განცხადება

მიმდინარე წლის 14 ივლისს დღის 11 საათზე ჩატარდება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ხელშემწყობი სააქციო საზოგადოება „ტუია"-ს აქციონერთა საერთო კრება. (მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. 55).

დღის წესრიგი:

1. 1996 წლის გაწეული საქმიანობის შესახებ.
2. სააქციო საზოგადოების ეკონომიკური განვითარების მიმართულებების შესახებ.
3. ორგანიზაციული საკითხები.

*აქციონერთა დასწრება აუცილებელია.*

სამეთვალყურეო საბჭო.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქოზულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორები: რუსლან რუსია, სპარტაკ ქოზულია.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბაში, ხოშარაულის 29.